

ფრანგულ მოკლე ტექსტურ დისკურსში გამოყენებული სამეტყველო
ფორმები

ნათია ამაღლობელი

*სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ფილოლოგიის დოქტორის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მაია თევზაძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2012

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

/ ნათია ამაღლობელი /

აბსტრაქტი

სადისერტაციო ნაშრომი ეხება ფრანგულ სმს დისკურსში გამოყენებულ ენობრივ თავისებურებებს, მათ მიზეზებსა და ფუნქციებს. კვლევის მიზანია, გამოიკვეთოს და აღიწეროს ის ძირითადი ენობრივი ფორმები, რომლებიც ახასიათებს მოკლე ტექსტურ შეტყობინებებში გამოყენებულ მეტყველებას და აყალიბებს მას კონკრეტულ ენობრივ ვარიაციად. კვლევა ეყრდნობა ვარაუდს იმის შესახებ, რომ მოკლე ტექსტური შეტყობინებების ენობრივი თავისებურებები, განსაკუთრებით გრამატიკული და გრაფიკული მახასიათებლები, მნიშვნელოვნად განსხვავდება როგორც წერითი, ისე ზეპირი მეტყველებისგან და საშუალებას იძლევა განვსაზღვროთ სმს მეტყველება, როგორც ახალი ენობრივი ვარიაცია; ენობრივი თავისებურებების მიზეზი არის არა მხოლოდ მედიუმისათვის დამახასიათებელი ტექნიკური შეზღუდვებიდან გამომდინარე დროისა და სივრცის ეკონომია, არამედ მომხმარებელთა სურვილი, შექმნან პირისპირ საუბრის არაფორმალური გარემო, ხაზი გაუსვან კონკრეტული ენობრივი საზოგადოების წევრობასა და მასში საკუთარ იდენტობას. ამ მოსაზრებიდან გამომდინარე, ნაშრომში დასმულია შემდეგი საკითხები: რომელია ის ენობრივი ფორმები, რომლებიც განასხვავებს სმს მეტყველებას ზეპირი და წერითი მეტყველებისგან და განსაზღვრავს მას კონკრეტულ ენობრივ ვარიაციად? რომელი სიტუაციური ფაქტორები განაპირობებს აღნიშნულ ენობრივ ფორმებს?

მონაცემთა შეგროვებისთვის გამოყენებულ იქნა ონლაინ კითხვარი, რომლის საფუძველზე შეიქმნა 260 მოკლე ტექსტური შეტყობინებისგან შემდგარი საკვლევო კორპუსი.

გრაფიკული კვლევის პროცესში დავეყრდენით ფონოგრაფისტულ და ავტონომისტურ მიდგომებს იმისდა მიხედვით, თუ რა ტიპის აღწერა იყო საჭირო. მონაცემთა ანალიზმა აჩვენა, რომ მოკლე ტექსტურ შეტყობინებებში გამოყენებული ორთოგრაფია სტანდარტული წერითი მეტყველების ნორმებისგან

საგრძნობლად განსხვავდება და არის ერთი მხრივ ჰეტეროგენული: ერთი სიტყვა შეიძლება ჩაწერილ იყოს სხვადასხვაგვარად, მეორე მხრივ - პოლისემიური: ერთი და იგივე ელემენტი შეიძლება წაკითხულ იქნას სხვადასხვაგვარად. ორთოგრაფიული ადაპტაციების მიზანი კი არის როგორც დროისა და სივრცის ეკონომია, ასევე ენობრივი იდენტიფიკაცია.

ხატულების მორფოლოგიური და სემანტიკური ანალიზის შედეგად დავასკვნით, რომ მათი გამოყენების პირველადი მიზანი არის წერით მეტყველებაში არავერბალური მონაცემების გამოხატვა. ამავდროულად, ასრულებენ სტრუქტურული მარკერების როლს და ემსახურებიან მომხმარებლის ენობრივი იდენტობის ხაზგასმასა და მის ჩართულობას კონკრეტული საზოგადოების წიაღში.

სინტაქსური ანალიზი წარმართეთ წერითი და ზეპირი გრამატიკის ინტეგრირებული მოდელის მიხედვით და განვიხილეთ ისეთი კატეგორიები, როგორიცაა: კლაუზების კომბინაცია, დისლოკაცია, ე.წ. „კუდიანი კითხვები“, მოკლე საპასუხო რეპლიკები დისკურსული მარკერები, მისალმება-დამშვიდობების ფორმულები, სიტუაციური ელიფსი, გამეორება, სინტაგმატური სტრუქტურის მარკერები და კონვერსია. შედეგად დავინახეთ, რომ მედიუმის შეზღუდვებთან შედარებით მომხმარებლებისთვის პრიორიტეტულია ინტერპერსონალური ურთიერთობები და ხშირად იყენებენ ზეპირმეტყველების რესურსებს პირისპირ მეტყველებისთვის დამახასიათებელი არაფორმალურობის ეფექტის შესაქმნელად.

საბოლოო ჯამში, შეიძლება დავასკვნათ, რომ სმს მეტყველება განსხვავდება როგორც წერითი, ასევე ზეპირი მეტყველებისგან, გააჩნია საკუთარი ენობრივი მახასიათებლები და საფუძველს იძლევა ვისაუბროთ მასზე, როგორც ახალი საკომუნიკაციო სიტუაციის გავლენით შექმნილ სამეტყველო ვარიაციაზე.

ძირითადი საძიებო სიტყვები: სმს დისკურსი, გრაფიკული ანალიზი, დიქტომია წერა/ზეპირი, ორთოგრაფია, ელექტრონული მეტყველება, ფრანგული ენა, სოციოლინგვისტიკა, ხატულა, სინტაქსი.

Abstract

The thesis investigates linguistic features of French SMS discourse, their reasons and functions. The main objective is to provide a description of the new linguistic forms that characterize language used in French SMS communication and shape it as a concrete language variety. The study is based on the hypothesis that the linguistic features of text messaging differ from both spoken and written French language, that gives grounds to define texting as a new language variety; The reason of these unique features are not only technical restrictions, but also users' intention to construct informal, like face-to-face situation and underline group membership as well as personal identity. The questions that emerge from this hypothesis include the following: which linguistic features distinguish texting from speech and standard writing and what are their motivations?

The research corpus covers 260 French text messages collected with anonym questionnaire.

Consideration of graphical features of SMS language, using phonographic and autonomous approaches, allows concluding that the orthography used in SMS language differs from standard norms and is heterogenous and polyvalent. The aim of these graphical changes are space and time saving, forming user's visual style and introducing spoken elements.

Morpho-semantic analysis of emoticons has shown that they are not only paraverbal devices, but also structural markers, and they play a significant role in the formation of the sentence. Like graphical and syntactic adaptations, emoticons allow users to underline their identity and group membership.

Analysis of grammatical features, based on the integrated model of spoken-written grammar, reveals that compared to the restrictions of the medium, users give priorities to the interpersonal relationships and often use spoken elements to create effects of face-to-face informality. Although there are a lot of similarities between spoken grammar and texting, this latter considerably differs from both spoken and written grammar and gives grounds to be studied separately.

The presented study shows that SMS language differs from both spoken and written languages, has its own linguistic features. It can be viewed as a new language variety shaped from new communicational situation.

Key words: sms discourse, graphical analysis, spoken/written language, orthography, CMC, French language, syntax, sociolinguistics, emoticon.

სარჩევი

განაცხადი	i
აბსტრაქტი	ii
სარჩევი	v
ცხრილების ჩამონათვალი	viii
ილუსტრაციების ჩამონათვალი	viii
შესავალი	1
თავი 1: ლიტერატურის მიმოხილვა.....	7
1.1. თეორიული საფუძვლები	7
1.2. ელექტრონული მეტყველების შესახებ არსებული კვლევები	11
1.2.1. ელექტრონული კომუნიკაცია	11
1.2.2. სმს კომუნიკაცია	15
1.2.3. დასკვნა	19
1.3. სამეტყველო ვარიაცია და კორპუსული კვლევა	19
1.3.1. სამეტყველო ვარიაცია	19
1.3.2. კორპუსული კვლევა.....	22
თავი 2. კვლევის არეალი და საკვლევი კორპუსი.....	24
2.1. სმს კომუნიკაციის ისტორიული და ტექნიკური ასპექტები	26
2.1.1. მოკლე ტექსტური შეტყობინების სერვისის წარმოშობა და განვითარება	26
2.1.2. სმს-ის ფუნქციონირება.....	27
2.1.3. ტექსტის ზომა.....	28
2.1.4. სმს-ის ტექნიკური უპირატესობები და შეზღუდვები	29
2.2. სმს სერვისის სოციოფუნქციონალური ასპექტები	31
2.2.1. სმს-ის მზარდი პოპულარობის მიზეზები	31
2.2.2. სმს კომუნიკაციის ფსიქოლოგიური და სოციალური ასპექტები.....	33
2.3. სმს – ენობრივი საზოგადოება.....	35
2.4. საკვლევი კორპუსი	36
თავი 3. ახალი სამეტყველო ფორმები	43
3.1. დისკურსი	43

3.1.1. დისკურსის ცნება და სტრუქტურა.....	43
3.1.2. მოკლე ტექსტური დისკურსის საკომუნიკაციო მახასიათებლები.....	52
3.1.3. მოკლე ტექსტური შეტყობინებების კომუნიკაციური ფუნქციები	54
3.2. გრაფიკული ადაპტაციები	56
3.2.1. თეორიული და მეთოდოლოგიური ელემენტები.....	57
3.2.1.1. გრაფიკულ კვლევათა თეორიული კონცეფციები	57
3.2.1.2. ფრანგული ენის გრაფიკული სისტემა და გრაფემების ტიპოლოგია.....	62
3.2.1.3. ფონოგრაფიზმი თუ ავტონომიზმი.....	68
3.2.1.4. გრაფიკული აღწერა სოციოლინგვისტური კომპეტენციის ჩარჩოში	69
3.2.1.5. მეთოდოლოგიური ელემენტები.....	71
3.2.2. ორთოგრაფიული ადაპტაციები.....	77
3.2.2.1. შემოკლების ფორმები	79
3.2.2.2. ორთოგრაფიული ვარიანტების აღწერა.....	87
3.2.2.3. ორთოგრაფიული ვარიანტები – ენობრივი იდენტიფიკაცია.....	91
3.2.2.4. დასკვნა	92
3.2.3. ტიპოგრაფიული ადაპტაციები.....	93
3.2.3.1. ტიპოგრაფიული ადაპტაციის ხერხები.....	94
3.2.3.2. ტიპოგრაფიული ადაპტაციების აღწერა	97
3.2.3.3 ტიპოგრაფიული ადაპტაციები – ენობრივი იდენტიფიკაცია.....	99
3.2.3.4. დასკვნა	100
3.3. სინტაქსური ადაპტაციები	101
3.3.1. სინტაქსური ანალიზი - ძირითადი სირთულეები	101
3.3.2. სმს ფრანგული და კრეოლი.....	106
3.3.3. დიქტომია წერა-ზეპირი	110
3.3.4. წერისა და ზეპირის სპექტრული და მრავალგანზომილებიანი მოდელები.....	114
3.3.5. “მოკლე ტექსტური სინტაქსი”	117
3.3.5.1. კლაუზების კომბინაცია	118
3.3.5.2. დისლოკაცია.....	121
3.3.5.3. „კუდიანი კითხვები“	123
3.3.5.4. მოკლე საპასუხო რეპლიკები	123
3.3.5.5. დისკურსული მარკერები.....	125

3.3.5.6. მისაღმება-დამშვიდობების ფორმულები.....	128
3.3.5.7. სიტუაციური ელიფსი.....	131
3.3.5.8. გამეორება.....	132
3.3.5.9. სინტაგმატური სტრუქტურის მარკერები.....	136
3.3.5.10. კონვერსია.....	141
3.3.6. დასკვნა	143
3.4 ხატულა	145
3.4.1. წარმოშობა	146
3.4.2 თეორიული საფუძვლები.....	148
3.4.3. ტიპოგრაფიული ხატულას სტრუქტურა.....	149
3.4.4. ხატულების ფუნქციები.....	151
3.4.4.1 ხატულების არავერბალური ფუნქციები.....	151
3.4.4.2 ხატულების ვერბალური ფუნქციები.....	154
3.4.5. ხატულები - ენობრივი იდენტიფიკატორები	154
3.4.6. დასკვნა.....	156
დასკვნა.....	157
ბიბლიოგრაფია	163
დანართი	176
დანართი 1: თხოვნა პროექტში მონაწილეობის შესახებ.....	176
დანართი 2: კითხვარი.....	177
დანართი 3: საკვლევი კორპუსი	179

ცხრილების ჩამონათვალი

ცხრილი 1: სმს კორპუსები	37
ცხრილი 2: კორპუსის სპეციფიკაცია	40
ცხრილი 3: მონაწილეთა სოციალური მონაცემები	41
ცხრილი 4: სიგლი და აკრონიმი	79
ცხრილი 5: სილაბოგრამები	80
ცხრილი 6: ლოგოგრამები	82
ცხრილი 7: ფონეტიზირება	83
ცხრილი 8: კლიპინგი	85
ცხრილი 9: კოსონანტური ჩონჩხი	86
ცხრილი 10: გრაფიკული ვარიანტები - ფორმალური კრიტერიუმები	89
ცხრილი 11: ტიპოგრაფიული ვარიანტები - ფორმალური კრიტერიუმები	98
ცხრილი 12: წერა/ზეპირი - სიტუაციური მახასიათებლები	110
ცხრილი 13: წერა/ზეპირი - ენობრივი მახასიათებლები	111

ილუსტრაციების ჩამონათვალი

სურათი 1: სმს მეტყველების აკრძალვა	3
სქემა 1: TELCU	10
სურათი 2: ტრადიციული ფიჭვური ტელეფონის კლავიატურა	30
სურათი 3: სმარტფონის QWERTY კლავიატურა	31
სურათი 4: აიფონის სენსორული კლავიატურა	31
დიაგრამა 1: შეტყობინებათა ფუნქციები	54
სურათი 5: Scripta continua	78
სურათი 6: ტიპოგრაფიული ხატულები	146
სურათი 7: გრაფიკული ხატულები	146

შესავალი

1990-იანი წლებიდან მოკლე ტექსტური შეტყობინების სისტემის¹ გამოყენება საგრძნობლად გაიზარდა. ახალგაზრდებს შორის ე.წ. სმს² მედიატიზირებული ინტერაქციის საუკეთესო საშუალებაა, რომელიც პოპულარობით უკვე ონლაინ ჩატს³, ელექტრონულ ფოსტას⁴, ხმოვან შეტყობინებებსა⁵ და თვით სატელეფონო საუბარსაც კი უსწრებს. ინტერნეტის მსგავსად სმს კომუნიკაციაც მეტყველებასა და სამეტყველო უნარ-ჩვევებში მნიშვნელოვანი ცვლილებების მიზეზი გახდა. ეს განსაკუთრებით თვალშისაცემია ახალგაზრდებში, რომელთა დაახლოებით 80% სმს-ის ხშირი მომხმარებელია.

მოკლე ტექსტურ შეტყობინებას რამდენიმე ისეთი მახასიათებელი გააჩნია, რომლის წყალობით არა მხოლოდ ახალგაზრდების, არამედ სხვა სოციალური ჯგუფების ინტერესი მისდამი სულ უფრო იზრდება. პირველ რიგში, იგი ინტერაქციის სხვა საშუალებებთან შედარებით იაფია. ამას ისიც ემატება, რომ სმს ასინქრონულია, ანუ არ საჭიროებს მიმღების მიერ დაუყოვნებელ რეაქციას. მოკლე ტექსტური შეტყობინება უხმაუროა, სურვილისამებრ შესაძლებელია მომხმარებელმა გამორთოს მიღების სიგნალი და სმს-ის მოსვლას ტელეფონის მფლობელის გარდა ვერავინ გაიგებს. ეს მახასიათებელი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია

¹ ფიქვური ტელეფონის საშუალებით ტექსტური შეტყობინებების მიღება-გაგზავნის სერვისი. აღნიშნულ სერვისს დღეისთვის ინტერნეტ გვერდებიც გვთავაზობს, თუმცა ჩვენს ნაშრომში განვიხილავთ მხოლოდ მობილურ სატელეფონო კომუნიკაციას.

² მოკლე ტექსტური შეტყობინების, ისევე, როგორც თავად სერვისის აღსანიშნად ჩვენს ნაშრომში გამოვიყენებთ პოპულარულ აკრონიმს - სმს.

³ კომპიუტერული (ინტერნეტ) ქსელის საშუალებით რეალურ დროში შეტყობინებათა გაცვლის სისტემა. აღნიშნული ტერმინის ქვეშ ჩვეულებრივ იგულისხმება ჯგუფური მიმოწერა, თუმცა მასვე შეიძლება მივაკუთვნოთ ერთი-ერთზე მიმოწერა, რაც ხორციელდება ისეთ მყისიერ შეტყობინებათა სერვისების საშუალებით, როგორიც არის ICQ, Skype, Messenger და სხვ.

⁴ კომპიუტერულ ქსელში წერილების მიღება-გაგზავნის ტექნოლოგია.

⁵ სატელეფონო ხმოვანი შეტყობინებების რეგისტრაციის, შენახვისა და გადამისამართების ელექტრონული სისტემა.

მოზარდებისათვის, რომელთა უმრავლესობა ძირითადად ღამით მიმოწერას ამჯობინებს, შეტყობინებების ხასიათი კი ბევრ შემთხვევაში სასიყვარულოა.

მოკლე ტექსტური შეტყობინებები გამოიყენება ყოველდღიური მოვლენების შესახებ ინფორმირებისათვის, სოციალური კავშირების შესანარჩუნებლად და უბრალოდ, გასართობად, თავისუფალი დროის შესავსებად. მისი ფუნქცია, მართალია, ახალი არ არის, მაგრამ, სამაგიეროდ, მრავალმხრივია. მან შეიძლება შეცვალოს ტრადიციული წერილი: ადრესატს მოუთხოვრებდეს რაიმე შემთხვევის შესახებ, ყოველდღიურ ამბებს, ჰქონდეს სასიყვარულო და ინტიმური გზავნილის სახე, შეცვალოს ტელეგრამა (რომლის მიზანი ყოველთვის იყო ადრესატამდე სწრაფი მიღწევა) ფრაგმენტური წერის მანერით, პრაქტიკული, ყოველდღიური ცხოვრებიდან გამომდინარე შინაარსით. ხშირია სმს-ის მისალოცი ბარათების მაგივრად გამოყენება დაბადების დღისა თუ სხვა დღესასწაულების მისალოცად. თუკი მისალოცი ბარათების ტონი უფრო ფორმალურია, მოკლე ტექსტური შეტყობინების შემთხვევაში საქმე გვაქვს უფრო ხალისიან, თავისუფალ, თამაშის მაგვარ ტონთან. ტრადიციული სტანდარტული ფორმულები შეცვლილია მომხმარებლის ფანტაზიის მიხედვით.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ მომხმარებელს შეუძლია სმს-ის კონტროლი. შესაძლებელია მობილურ ტელეფონში გაგზავნილი სმს-ის შენახვა და საჭიროების დროს მისი გამოყენება. მაგალითად, თუკი ადრესატი აცხადებს, რომ არ მიუღია არავითარი სმს, გამგზავნელს შეუძლია მონახოს აპარატში შენახული გაგზავნილი შეტყობინება, რომელსაც მითითებული აქვს გაგზავნის თარიღი და დრო და ამგვარად გაფანტოს ეჭვები. შენახული სმს-ები შესაძლოა გამოყენებულ იქნას გაუგებრობების თავიდან ასაცილებლად.

სმს-ის მომხმარებელთა რაოდენობის ზრდას ხელს უწყობს ასევე სატელევიზიო გადაცემები, სადაც მოკლე ტექსტური შეტყობინებების საშუალებით ხდება აზრის დაფიქსირება თუ ხმის მიცემა. ამავე პრინციპზეა აგებული ინტერნეტ-საიტები, ხშირია სმს კონკურსები და ა.შ. სმს ხდება ერთგვარი კულტურა, რომელსაც მრავალმხრივი მოხმარება და მომხმარებელთა მრავალფეროვანი წრე გააჩნია. სმს

უკვე საგრძნობლად გასცდა თავის თავდაპირველ - კომუნიკაციისა და სოციალიზაციის ფუნქციებს და გახდა შემოქმედებისა და არტისტული ინოვაციის საშუალება.

აქედან გამომდინარე, სმს-ის გამოყენება შეიძლება განვიხილოთ ორი კუთხით: საკომუნიკაციო კუთხით და საიდენტიფიკაციო კუთხით. საკომუნიკაციო ასპექტი გლისხმობს სმს-ის, როგორც კომუნიკაციისა და სოციალური რეგულაციის საშუალების განხილვას. საიდენტიფიკაციო პლანში კი მოიაზრება სმს, როგორც ახალგაზრდებისთვის დამახასიათებელი თანამედროვე წერის მანერა, რომელიც უფრო და უფრო იჭრება მათ ყოველდღიურ ცხოვრებაში. უფრო მეტიც, ინტერნეტ-სივრცეში უკვე დიდი ხანია გაჩნდა ჯგუფები თუ ორგანიზაციები, რომლებიც თავგამოდებით ებრძვიან ე.წ. სმს მეტყველებას, მიიჩნევენ რა მას ენის დაბინძურების წყაროდ. ბევრ ინტერნეტ ბლოგსა თუ ფორუმზე ვხვდებით მომხმარებლის გაფრთხილებას, რათა არ გამოიყენოს სმს მეტყველება. (იხ. სურათი 1).

სურათი 1: სმს მეტყველების აკრძალვა



სმს შეტყობინებას თავისი შეზღუდვებიც გააჩნია. ძნელია პატარა, შედარებით რთულ კლავიატურაზე ასოების აკრეფა, შეტყობინების სიგრძე 160 ნიშნითაა შეზღუდული, ეკრანიც პატარაა. აპარატი სწრაფად იცლება და ხშირად სჭირდება დამუხტვა.

ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარე, ადვილი მისახვედრია, რომ მოკლე ტექსტურ შეტყობინებას უნდა ჰქონდეს როგორც ასინქრონული

(ელექტრონული წერილი, ფორუმი) ასევე სინქრონული (ჩატი) ელექტრონული მეტყველების მახასიათებლები, რადგან, მართალია, დროის მხრივ იგი ასინქრონულ ხასიათს ატარებს, მაგრამ ნიშანთა შეზღუდული რაოდენობა მას ჩატისთვის დამახასიათებელ მეტყველებასთან აახლოებს. გარდა ამისა სმს მეტყველებას გააჩნია როგორც ზეპირი, ასევე წერითი მეტყველების ნიშნები, რაც მის ერთ-ერთ ყველაზე დიდ თავისებურებად მიიჩნევა.

ასეა თუ ისე, ამჟამად სმს-ს ძალზე მყარად აქვს ფეხი მოკიდებული ჩვენს ცხოვრებაში და სულ უფრო მეტად პოპულარული ხდება. აქედან გამომდინარე, აუცილებელი ხდება კომუნიკაციის აღნიშნული ფორმის სამეცნიერო შესწავლა როგორც ლინგვისტური, ასევე საკომუნიკაციო და ფსიქოლოგიური თვალსაზრისით.

წინამდებარე კვლევა მხოლოდ ლინგვისტური ასპექტებით შემოიფარგლება და ინტერესდება ისეთი საკითხებით, როგორიცაა სმს მიმოწერაში გამოყენებული ფრანგული ენის თავისებურებები და ამ თავისებურებების ფუნქცია, კერძოდ, თუ როგორ არის ადაპტირებული წერითი მეტყველება მოკლე ტექსტური შეტყობინებების ფორმატზე, გამოყენებულია თუ არა სინტაქსური, ორთოგრაფიული და ტიპოგრაფიული რედუქციები და რა არის ამის მიზეზები.

შესაბამისად, კვლევის საგანს წარმოადგენს ფრანგული მოკლე ტექსტური დისკურსი და მასში გამოყენებული სამეტყველო ფორმები.

კვლევის მიზანია გამოიკვეთოს და აღიწეროს ის ძირითადი ენობრივი ფორმები, რომლებიც ახასიათებს მოკლე ტექსტურ შეტყობინებებში გამოყენებულ მეტყველებას და აყალიბებს მას კონკრეტულ ენობრივ ვარიაციად.

ნაშრომში დასმულია შემდეგი საკითხები:

- რამდენად ძლიერია მსგავსება მოკლე ტექსტურ შეტყობინებებში გამოყენებულ მეტყველებასა და ზეპირმეტყველებას შორის.
- რომელია ის ენობრივი ფორმები, რომლებიც განასხვავებს სმს მეტყველებას ზეპირი და წერითი მეტყველებისგან და განსაზღვრავს კონკრეტულ ენობრივ ვარიაციად.

- რომელი სიტუაციური ფაქტორები განაპირობებს აღნიშნულ ენობრივ ფორმებს?

კვლევის ჰიპოთეზა:

- მოკლე ტექსტური შეტყობინებების ენობრივი თავისებურებები, განსაკუთრებით გრამატიკული, ორთოგრაფიული და ტიპოგრაფიული მახასიათებლები, მნიშვნელოვნად განსხვავდება როგორც წერითი, ისე ზეპირი მეტყველებისგან და საშუალებას იძლევა, განვსაზღვროთ სმს მეტყველება, როგორც ახალი ენობრივი ვარიანტი.
- სმს მიმოწერისთვის დამახასიათებელი ენობრივი თავისებურებების მიზეზი არის არა მხოლოდ მედიუმისათვის დამახასიათებელი ტექნიკური შეზღუდვებიდან გამომდინარე დროისა და სივრცის ეკონომია, არამედ მომხმარებელთა სურვილი, შექმნან პირისპირ საუბრისთვის დამახასიათებელი არაფორმალური გარემო, ხაზი გაუსვან კონკრეტული ენობრივი საზოგადოების წევრობასა და მასში საკუთარ იდენტობას.

კვლევის მეთოდოლოგია, მიდგომები: ერთი მხრივ, სამეტყველო ფორმებსა და უნარ-ჩვევებს, მეორე მხრივ კი ინფორმაციისა და კომუნიკაციის ახალ ტექნოლოგიებს შორის ურთიერთკავშირიდან გამომდინარე, კვლევაში გამოყენებული იქნება ე.წ. „მეტყველების ცვლილებისა და გამოყენების მიმართ ტექნოლოგიურად განპირობებული მიდგომის მოდელი“ (Technology-conditioned approach to Language Change and Use) (იხ. 1.1. თეორიული საფუძვლები). ამასთან, კორპუსის კვლევა სხვადასხვა ენობრივ დონეზე (ორთოგრაფიული, სინტაქსური) დამყარებულ იქნება სხვა თეორიულ ნაშრომებზეც, რომლებიც განხილული იქნება კვლევის შესაბამის ეტაპებზე.

მონაცემთა შეგროვებისთვის გამოყენებული იქნება ორი ნაწილისგან შემდგარი ონლაინ კითხვარი: პირველ ნაწილში მოცემული იქნება შეკითხვები გამოკითხულთა ზოგადი სოციალური მონაცემების და სმს-ის მოხმარების შესახებ. კითხვარის მეორე ნაწილში გამოკითხულებს ვთხოვთ ბოლოს გაგზავნილი და მიღებული რამდენიმე შეტყობინების ჩაწერას. კითხვარის ვებ-გვერდის ბმული

განთავსდება საძიებო სისტემებში და გადაიგზავნება დაგზავნის სიების მეშვეობით სოციალური საიტებიდან შეგროვებულ მისამართებზე. საკვლევი კორპუსის შექმნის შემდეგ მოვახდენთ მის თვისობრივ და რაოდენობრივ ანალიზს ენის სხვადასხვა დონეებზე.

კვლევის საბოლოო შედეგები და მათი გამოყენება:

სმს კონტექსტში გამოვლენილი ენობრივი ფორმები, რომლებიც დღეს შეიძლება ახალი იყოს, მომავალში შესაძლოა რეალურ და ფორმალურ წერით სიტუაციებშიც შეგვხვდეს. აქედან გამომდინარე, კვლევის შედეგები მნიშვნელოვანი იქნება მომავალში ლინგვისტური კვლევებისათვის.

გარდა ამისა, კვლევის შედეგები, ვფიქრობთ, დაგვანახებს, რომ ენის სწავლების მეთოდისტებმა, მასწავლებლებმა და მკვლევარებმა ყურადღება უნდა მიაქციონ ამ ახალ სამეტყველო ვარიაციას და გარკვეულწილად ჩართონ იგი სწავლების პროცესში. აღნიშნული სამეტყველო გარემო თავისი ახალი ფორმებითა და უნარ-ჩვევებით აღიარებულ უნდა იქნას როგორც სამეციერო, ასევე სასწავლო პროცესში.

თავი 1: ლიტერატურის მიმოხილვა

მოცემულ თავში წარმოვადგენთ სადისერტაციო ნაშრომის თეორიულ საფუძვლებსა და საკვლევ საკითხის შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვას. პირველ ნაწილში შევჩერდებით ე.წ. “მეტყველების ცვლილებისა და გამოყენების მიმართ ტექნოლოგიურად განპირობებულ მიდგომაზე” (Technology-conditioned approach to Language Change and Use’ (TeLCU)), რომელიც 2000-იან წლების დასაწყისში განავითარეს ბოდომომ და ლიმ (Bodomo and Lee 2002) ვეცდებით დავაზუსტოთ ის ძირითადი ცნებები, რომლებსაც დაემყარება კვლევა.

მეორე ნაწილში მიმოვიხილავთ ზოგადად ელექტრონული მეტყველების შესახებ არსებულ კვლევებს, მათ შორის ელექტრონული ფოსტით, მყისიერ შეტყობინებათა სერვისით, ჩატითა და სმს-ით მიმოწერის შესახებ.

1.1. თეორიული საფუძვლები

“მეტყველების ცვლილებისა და გამოყენების მიმართ ტექნოლოგიურად განპირობებული მიდგომის” მოდელი ხაზს უსვამს ინფორმაციისა და კომუნიკაციის ახალი ტექნოლოგიების განვითარებასა და მეტყველების და სამეტყველო უნარ-ჩვევების ახალი ფორმების წარმოშობას შორის მიზეზობრივ კავშირს. იგი ემყარება მეტყველებას, სამეტყველო უნარ-ჩვევებსა და ახალ ტექნოლოგიებს შორის ურთიერთკავშირის ანალიზს. აქედან გამომდინარე, აღნიშნული მოდელის წარმოდგენამდე აუცილებელია განვსაზღვროთ მასთან დაკავშირებული ძირითადი ცნებები, როგორიცაა: მეტყველება და სამეტყველო უნარ-ჩვევები, ახალი ტექნოლოგიები და ახალი სამეტყველო უნარ-ჩვევები.

მეტყველება სხვადასხვა კუთხით შეიძლება იქნას შესწავლილი: სტრუქტურული თუ ფორმალური ლინგვისტიკის, ფუნქციონალური,

კოგნიტივისტური მიდგომის და ა.შ. თვალსაზრისით. “მეტყველების ცვლილებისა და გამოყენების მიმართ ტექნოლოგიურად განპირობებული მიდგომის” მოდელი ეფუძნება მეტყველებისადმი კონსტრუქტივისტულ მიდგომას, რომელიც მეტყველებას სამი მთავარი მიმართულებით იკვლევს: ისტორიული, დაუფლებისა და გამოყენების კუთხით. აქედან გამომდინარე, მეტყველების კვლევა გულისხმობს არა სტრუქტურათა სისტემის კვლევას, არამედ შესწავლას დინამიური სოციალური აქტივობისა, რომელიც ადამიანთა გარკვეულ მიზნებს ემსახურება (Barton 1994:54).

“სამეტყველო უნარ-ჩვევებს” ხშირად განმარტავენ, როგორც “წერა-კითხვის ცოდნასა და უნარს” (Cambridge Dictionary Online). ბოდომოს აზრით, აღნიშნული ცნების ვერც ერთი განმარტება ადექვატური ვერ იქნება, თუკი მასში არ ფიგურირებს კონკრეტული სიმბოლური სისტემის კოდირებისა და დეკოდირების უნარი. აქედან გამომდინარე, ავტორი სამეტყველო უნარ-ჩვევებისთვის შემდეგ განსაზღვრებას გვთავაზობს: “კომუნიკაციისა და ინფორმაციის დამუშავების ენობრივი და სხვა სიმბოლური სისტემების კოდირებისა და დეკოდირების უნარი” (Bodomo 2002:1).

მეტყველებასა და სამეტყველო უნარ-ჩვევებს შორის ურთიერთკავშირის კონცეპტუალიზება მრავალნაირად შეიძლება. მეტყველება თავისთავად წარმოადგენს დისკურსის ნაწილს. სამეტყველო უნარ-ჩვევებიც ჩართულია დისკურსში, რომელიც ახდენს ჩვენი ცოდნის სტრუქტურირებას. დისკურსი თავის მხრივ ტექსტების სახით წარმოდგება, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულია ინტერტექსტუალობით. აქედან გამომდინარე, სამეტყველო უნარ-ჩვევების კვლევა, ისევე, როგორც მეტყველების, მოიცავს პრაქტიკული ქმედებებისა და ტექსტების კვლევას.

თავად სამეტყველო უნარ-ჩვევების მნიშვნელობაც განსხვავდება ლინგვისტური გარემოს მიხედვით. გარდა ამისა, წერა და ზეპირმეტყველება შერეულია სამეტყველო მოვლენებთან და აქედან გამომდინარე, როცა საქმე

ეხება მეტყველებასა და სამეტყველო უნარებს შორის კავშირის ანალიზს, ორივე მათგანი უნდა იქნას შესწავლილი (Bodomo and Lee 2002:28).

“მეტყველების ცვლილებისა და გამოყენების მიმართ ტექნოლოგიურად განპირობებული მიდგომის” მოდელის ამოსავალი წერტილია კომუნიკაციისა და ინფორმაციის ახალ ტექნოლოგიებსა და მეტყველებისა და სამეტყველო უნარების ახალ ფორმებს შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობა.


ახალი ტექნოლოგიების შემოსვლას ხშირად თან ახლავს ახალი ცნებებისა და იდეების აღმოცენება. ამ უკანასკნელთა გამოსახატად ახალი ენობრივი ფორმები და სამეტყველო უნარებია საჭირო. მაშასადამე, მეტყველებამ შეიძლება ცვლილება განიცადოს იმის მიხედვით, თუ რომელი მედიაა გამოყენებული. აღნიშნულის საწინააღმდეგო მოსაზრებად შეიძლება განვიხილოთ ლაბოვის აზრი, რომლის მიხედვით ახალმა მედიამ შეიძლება სულაც არ მოახდინოს მნიშვნელოვანი ეფექტი ადამიანების მეტყველებაზე. ამ მოსაზრებას ამტკიცებს ლაბოვის მიერ ჩატარებული კვლევა, რომელმაც აჩვენა, რომ ტელევიზია და რადიო მეტყველებაში მნიშვნელოვან ცვლილებებს არ განაპირობებს (Labov 2000). თუმცა ინფორმაციისა და კომუნიკაციის ახალი ტექნოლოგიები, რომლებსაც უკავშირდება “მეტყველების ცვლილებისა და გამოყენების მიმართ ტექნოლოგიურად განპირობებულ მიდგომა”, ტელევიზიისა და რადიოსგან საფუძვლიანად განსხვავდება.

აღნიშნული განსხვავების ხაზგასასმელად შეიძლება ჩამოვთვალოთ ბლარტონის მიერ გამოყოფილი (Blurton 1999), ახალი ტექნოლოგიებისათვის დამახასიათებელი ოთხი ნიშანი: 1. მოქნილობა, 2. ორმხრივი კავშირის შესაძლებლობა, 3. ხელმისაწვდომობა, 4. ინტერაქტიულობა.

მოცემული ნიშნები განასხვავებენ ახალ ტექნოლოგიებს ძველი, პასიური, ცალმხრივი ტექნოლოგიებისგან, როგორცაა ტელევიზია და რადიო, რომლებსაც არ გააჩნიათ საკმარისი მოქნილობა და ინტერაქტიულობა. TeLCU მოდელის მიხედვით, რაც უფრო მეტი ხარისხით იქნება ახალი ტექნოლოგიების მიერ ზემოთ ჩამოთვლილი ოთხი მახასიათებელი ნიშანი გამოვლენილი, მით მეტად

მოხდება ახალი ენობრივი ფორმებისა და სამეტყველო უნარების წარმოშობა და განვითარება. ახალ ტექნოლოგიებსა და ახალ ენობრივ ფორმებსა და სამეტყველო უნარებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ სქემას (იხ. სქემა 1) (Bodomo and Lee 2002:29).

სქემა 1: TELCU



სურათზე ნაჩვენებია ინფორმაციისა და კომუნიკაციის ახალი საშუალებებისა და TeLCU მოდელის შედეგად წარმოშობილი ახალი ენობრივი ფორმები, მაგ. ე.წ. “technobabble”, რომელიც მოიცავს ინტერნეტ და სმს

მიმოწერაში გამოყენებულ ელექტრონულ ტერმინოლოგიას, აკრონიმებსა და აბრევიატურებს; ახალი სამეტყველო უნარ-ჩვევები, რომლებიც ციფრულ უნარ-ჩვევებს ეფუძნება. ეს უკანასკნელი ნიშნავს “კომპიუტერში წარმოდგენილი ინფორმაციის სხვადასხვა ფორმატში გაგებისა და გამოყენების უნარს” (Gilster 1997:1).

„თავად TeLCU იძლევა ახალი ენობრივი და სამეტყველო ფორმების შესაძლებლობას, სადაც ამ ახალი ფორმების გამოყენება შეიძლება აიხსნას სოციალური კონტექსტებისა და პრაქტიკული ქმედებების დინამიურობით” (Bodomo and Lee 2002:30). აქედან გამომდინარე, TeLCU შესაძლებელია ჩართულ იქნას ახალი უნარ-ჩვევების შესწავლაში.

1.2. ელექტრონული მეტყველების შესახებ არსებული კვლევები

სმს მეტყველების შესახებ არსებული ნაშრომების მიმოხილვას იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ მართალია, ზოგადად ელექტრონული მეტყველების შესახებ ლიტერატურა საკმაო რაოდენობითაა, მაგრამ კონკრეტულად სმს მეტყველება, განსაკუთრებით კი ფრანგული სმს მეტყველება, ჯერ კიდევ არ არის საფუძვლიანად შესწავლილი. უფრო ხშირად გვხვდება მოკლე სტატიები, რომლებიც სმს დისკურსს განიხილავს ფსიქოლოგიურ, სოციოლოგიურ, ეთნოგრაფიულ და ლინგვისტურ პლანში. საკუთრივ სმს დისკურსის გარდა გამოვყოფთ ზოგადად ელექტრონული დისკურსის შესახებ ნაშრომებს, რომლებიც ლინგვისტური თვალსაზრისით მნიშვნელოვნად მიგვაჩნია.

1.2.1. ელექტრონული კომუნიკაცია

ელექტრონული მეტყველების შესახებ კვლევებიდან აღსანიშნავია ჰერინგის ნაშრომი (Herring 1996) მამაკაცებისა და ქალების მიერ გაგზავნილი ელექტრონული წერილების შესახებ. გავრცელებული აზრის მიხედვით მამაკაცები ელექტრონულ მეტყველებას უფრო საინფორმაციო თვალსაზრისით იყენებენ, ხოლო ქალები სოციალური ურთიერთობებით არიან

დაინტერესებულნი. ჰერინგმა, გააანალიზა რა შეტყობინებათა სქემატური ორგანიზება, დაასკვნა, რომ მამაკაცებიც არანაკლებ იყენებენ ელექტრონულ კომუნიკაციას ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლისგან განსხვავებული სოციალური ინტერაქციის მიზნით, მაშინ, როდესაც ქალი მომხმარებლები ხშირად საკმაოდ ინფორმაციულები არიან. სამაგიეროდ აღმოჩნდა, რომ ქალებსა და მამაკაცებს ინფორმაციის მიმართ სხვადასხვაგვარი დამოკიდებულება აქვთ: მამაკაცები უფრო ხშირად ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს და დისკუსიაში შედიან, ქალები კი ცდილობენ ჰარმონიული ატმოსფერო შეინარჩუნონ.

მყისიერ შეტყობინებათა ფუნქციონირებას ეხება სინტია ლევისა და ბეტინა ფაბოს კვლევა (Lewis and Fabos 2005), რომლის მიზანია გაარკვიოს, თუ როგორ იმერწება მომხმარებლის სოციალური იდენტობა ელექტრონული მეტყველების საშუალებით. ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად ავტორებმა გამოიყენეს გამოკითხვის მეთოდი და ვიდეოთი გადაიღეს მყისიერი შეტყობინებების საშუალებით საუბრები. გაირკვა, რომ მეტყველების დონეზე მონაწილეები მანიპულირებენ ტონით, სიტყვათა არჩევით, შეტყობინებათა შინაარსით, რათა მოარგონ ეს ყველაფერი თავიანთ საკომუნიკაციო საჭიროებებს. სოციალური ქსელის დონეზე ისინი მეტყველების საშუალებით კონტექსტის მიხედვით არეგულირებენ თავიანთ სოციალურ პოზიციას და ურთიერთობებს, განასახიერებენ სხვადასხვა, ალტერნატიულ იდენტობებს. ყოველივე ეს ცხადყოფს, რომ მყისიერი შეტყობინებების ტექნიკური სიახლე, რაც ძირითადად უკავშირდება ტექსტუალობის ჰიბრიდულ ხასიათს, დასაბამს აძლევს მრავლობით, პერფორმაციულ სოციალურ სუბიექტს. ამ შედეგებიდან გამომდინარე, ნაშრომში განხილულია ახალი კონცეპტუალური მიმართულებები ციფრული მედიაციის უნარ-ჩვევების სწავლების მხრივ.

ზოგადად ელექტრონული კომუნიკაციის შესახებ კვლევებს გვთავაზობს კრისტალი (Crystal 2001). იგი ინტერესდება როგორც სინქრონული, ასევე ასინქრონული კომუნიკაციის საშუალებებით, როგორცაა ელექტრონული ფოსტა, ჩატი და მოკლე ტექსტური შეტყობინება.

სინქრონული ინტერნეტ კომუნიკაციის სოციოლინგვისტურ ანალიზს ეხება პიეროზაკის სადოქტორო ნაშრომი სახელწოდებით “Le français tchaté. Une étude en trois dimensions: sociolinguistique, syntaxique et graphique d’usages IRC » («ჩატის ფრანგული. კვლევა სამი განზომილებით: IRC-ის⁶ გამოყენების სოციოლინგვისტიკა, სინტაქსი და გრაფიკა») (Pierozak 2003). მართალია, ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს არა კონკრეტულად სმს კომუნიკაციასთან, მაგრამ ლინგვისტური თვალსაზრისით სმს მეტყველება და სინქრონული ინტერნეტ კომუნიკაცია ახლოს დგას ერთმანეთთან და ამდენად აღნიშნული ნამუშევარი საინტერესოა ჩვენი კვლევისთვისაც.

ფრანგული ელექტრონული მეტყველების ერთ-ერთ ავტორიტეტულ მკვლევარად ითვლება ჟაკ ანისი, რომელიც თავის წიგნში – *Parlez-vous texto?* – საუბრობს მეტყველების ევოლუციაზე, ახალ ტექნოლოგიებთან დაკავშირებულ სამეტყველო კოდებსა და ქმედებებზე (Anis 2001).

ზოგადად ელექტრონულ მეტყველებაში წერილობითი და ზეპირი მეტყველების ნიშნების გარჩევას ეხება მილენა კოლოსა და ნენსი ბელმონის ნაშრომი (Collot and Belmore 1996). ავტორთა მიერ ჩატარებული კვლევა აჩვენებს, თუ როგორ უნდა მივუდგეთ ამ ახალი ტიპის მეტყველების შესწავლას. კვლევაში ერთმანეთს იქნა შედარებული ერთი მხრივ ელექტრონულ მეტყველებაში გამოყენებული, მეორე მხრივ კი 1985 წელს რასიეკის მიერ სალაპარაკო ინგლისურ ენაში აღმოჩენილი შედარებითი ზედსართავი სახელები. კვლევამ ცხადყო ინფლექსიური და პერიფრაზული შედარებების სიხშირეებს შორის განსხვავება, თუმცა იმის გამო, რომ კვლევა ეხებოდა მხოლოდ ერთ ენობრივ მოვლენას, იგი ვერ გამოდგება ელექტრონული მეტყველების მთლიანი დახასიათებისთვის. ამასთან, აღმოჩენილი განსხვავება შესაძლოა უკავშირდებოდეს როგორც ელექტრონული მეტყველების თავისებურებას, ასევე 30 წლის მანძილზე ინგლისური ენის გრამატიკაში განხორციელებულ ცვლილებებს.

⁶ Internet Relay Chat (en.) - რეალურ დროში ინტერნეტ მიმოწერის პროტოკოლი.

ჰარდ აფ სეგერსტადის (Hard af Segerstad 2002) ნაშრომში განხილულია, თუ როგორ ხდება შვედური ენის ადაპტირება ოთხი სხვადასხვა ტიპის ელექტრონულ კომუნიკაციაზე: ელექტრონული ფოსტა, ჩატი, მყისიერ შეტყობინებათა სერვისი და მოკლე ტექსტური შეტყობინება. ავტორი ასკვნის, რომ სამი ძირითადი ფაქტორი ახდენს მეტყველებაზე გავლენას: სინქრონულობა, გამოხატვის საშუალება და სიტუაცია. ავტორი არ ეთანხმება გავრცელებულ აზრს იმის შესახებ, თითქოს ინტერნეტ მეტყველების გამო ენა დეგრადირებას განიცდის და ამტკიცებს, რომ ელექტრონული მეტყველება ერთ-ერთ სამეტყველო ვარიანტს წარმოადგენს.

კომპიუტერულ კომუნიკაციაში გამოყენებულ კენიურ მეტყველებას ეხება ბარაზას სადისერტაციო ნაშრომი (Baraza 2010), რომელშიც გაანალიზებულია სმს მიმოწერაში, ელექტრონულ ფოსტაში, მყისიერ შეტყობინებებსა და ჩატში გამოყენებული სამეტყველო ფორმები.

საინტერესო კვლევა აქვს განხორციელებული ლის (Li 2000) ჰონგ-კონგში ინგლისურენოვანი ელექტრონული მეტყველების შესახებ.

ელექტრონული კომუნიკაციის ანალიზისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს კონკრეტულად არავერბალური მონაცემების გამოხატვის შესახებ კვლევებს. ამ მხრივ საინტერესოა მარკოჩას ნაშრომი (Marcoccia 2000), სადაც ავტორი განიხილავს ექსპრესიულ პუნქტუაციას, “ავტომატურ ციტირებებს”, ასომთავრულ წერასა და ხატულებს. ამ უკანასკნელის ანალიზს ეხება ასევე მარკოჩასა და გოდუშოს (Marcoccia, Gauducheu 2007) კვლევა, რომელშიც ავტორები წერითი და ზეპირი მეტყველებისთვის დამახასიათებელი ნიშნების განხილვის შემდეგ ხატულებს განიხილავენ, როგორც ზეპირმეტყველების ნიშნების შემოტანას წერაში.

კრის ფალვუდისა და ორსოლინა მარტინოს მიერ ჩატარებული გამოკვლევა (Fullwood and Martino 2007) ცხადყოფს, რომ იმ მომხმარებლებს, რომლებიც ელექტრონულ კომუნიკაციაში იყენებენ ხატულებს, მოსაუბრეები

გაცილებით მეტად გულლიად და მეგობრულად აღიქვამენ, ვიდრე მათ, რომლებიც ხატულების გარეშე წერენ შეტყობინებებს.

კომპიუტერულ მეტყველებაში გრაფიკული აქცენტების გამოხატვის გენდერულ ანალიზს წარმოადგენს უიტმერისა და კაცმანის კვლევა (Witmer and Katzman 1997), რომელიც ადასტურებს, რომ ქალები გაცილებით ხშირად იყენებენ არავერბალურის გამომხატველ ნიშნებს და მეტად აფორმებენ ემოციურად თავიანთ შეტყობინებებს.

საინტერესოა მაკარტურის (McArthur 2000) კვლევები ხატულების გამოყენების კულტურული პერსპექტივების შესახებ. ავტორი ხაზს უსვამს განსხვავებას დასავლურ და აღმოსავლურ ხატულებს შორის, რასაც საფუძვლად კულტურული განსხვავება უდევს.

1.2.2. სმს კომუნიკაცია

ფიჭურ ტელეფონთან და კონკრეტულად სმს მიმოწერასთან დაკავშირებული კულტურისა და იდენტობის საკითხის შესახებ საინტერესო მასალას გვთავაზობს ტეილორისა და ჰარპერის ნაშრომი (Taylor and Harper 2003), რომელიც ეფუძნება მობილური ტელეფონის მომხმარებელთა შორის ჩატარებულ კვლევას. ამ უკანასკნელმა აჩვენა, რომ მობილური ტელეფონის საშუალებით ახალგაზრდები არა მხოლოდ კომუნიკაციას ამყარებენ, არამედ ახდენენ თავიანთი სოციალური ქსელის დემონსტრირებას. აქედან გამომდინარე, ავტორი ასკვნის, რომ მობილური ტექნოლოგიები მნიშვნელოვან როლს თამაშობს თინეიჯერების ცხოვრებაში, საკუთარი იდენტობის შექმნის საკითხში. კულტურულ რეპრეზენტაციებს ეხება ჰოლის ნაშრომიც (Hall 1997), სადაც ავტორი საუბრობს იდენტობის სტრუქტურაზე და მის ფონზე. იგივე თემატიკაა გაშლილი ჰოლისა და დიუ გეის ერთობლივ ნაშრომში (Hall and Du Gay 1996). ამავე საკითხის შესწავლას ეხება ვუდვორდის (Woodward 1997), რიჩარდ ლინგის (Ling 2000) და ჰელმერსენისა და ლინგის ერთობლივი ნაშრომები (Ling and Helmersen 2000).

საინტერესოა კეროლის, ჰოუარდისა და ვეტერის ნაშრომი, სახელწოდებით “იდენტობა, ძალაუფლება და ფრაგმენტაცია კიბერსამყაროში” (Carroll, Howard, Vetere et al. 2001), სადაც ავტორები ცდილობენ პასუხი გასცენ შეკითხვებზე: “რა სურთ ახალგაზრდებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისგან? რატომ იყენებენ ამა თუ იმ ტექნოლოგიას და უარს ამბობენ დანარჩენზე? რა როლს ასრულებს მობილური ტექნოლოგიები მათ ცხოვრებაში ბავშვობის ასაკიდან ზრდასრულ ასაკში გადასვლის ეტაპზე?” ნაშრომში გამოკვლეულია მობილური ტელეფონის მიმართ ახალგაზრდების დამოკიდებულება. კვლევა აღიარებს, რომ მოკლე ტექსტური შეტყობინება მობილური ტელეფონის ფუნქციონირების მნიშვნელოვანი სერვისი გახდა, მისი მოხმარება არ არის დიდ სირთულეებთან დაკავშირებული, ამიტომ მან მალე დაიმკვიდრა ადგილი ახალგაზრდებს შორის და მათი სოციალური ცხოვრების მნიშვნელოვან ნაწილად იქცა.

მობილური ტელეფონების მოხმარებაზე კიდევ ერთი საინტერესო კვლევა ეკუთვნის ლინგს (Ling 1998), რომელიც განიხილავს ნორვეგიაში ახალგაზრდების გენდერული იდენტობის საკითხს. კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების საფუძველზე ლინგი ვარაუდობს, რომ სმს მიმოწერა განხილულ უნდა იქნას თამაშად, გართობის საშუალებად. რიჩარდ ლინგი ერთ-ერთია იმ ავტორიტეტულ მეცნიერთა შორის, რომლებმაც თავიანთი წვლილი შეიტანეს ახალგაზრდების ცხოვრებაში მობილური ტელეფონის როლის შესწავლაში. იგი ხაზს უსვამს იმას, თუ როგორ ათავისუფლებს მობილური ტელეფონი ახალგაზრდებს მშობელთა “ზეწოლისგან”.

სმს კომუნიკაციაში აკრონიმებისა და აბრევიაციების გამოყენებას ეხება ნიკოლა დორინგის ნაშრომი (Döring 2002). კვლევაში მოცემულია საინტერესო მონაცემები და დაკვირვებები იმაზე, თუ როგორ არის წარმოდგენილი ენობრივი შემოკლებული ფორმები მოკლე ტექსტურ შეტყობინებებში. 1000 ავთენტური მოკლე ტექსტური შეტყობინებისა და 124 მობილური ტელეფონის მომხმარებელი სტუდენტის გამოკითხვის საფუძველზე შესწავლილ იქნა შემოკლებული ენობრივი ფორმების ტიპები, სიხშირე და ფუნქცია. ანალიზმა აჩვენა, რომ სმს-

ისტვის სპეციფიური აკრონიმები და აბრევიაციები იშვიათად იყო გამოყენებული და ემსახურებოდა შეტყობინების ინტერპრეტაციას. დორინგის კვლევა (Döring 2002) კონკრეტულად გერმანულ ენას ეხება, მაშინ, როდესაც აბრევიატურებისა და აკრონიმების გამოყენება უფრო პოპულარულია ინგლისურენოვან კომუნიკაციაში. ამას ადასტურებს კორტის კვლევა (Kortti 1999) ტექნოლოგიური მედიუმით დისკურსსა და პირისპირ დისკურსს შორის მსგავსებების შესახებ, ისევე, როგორც მატელარისა და არმონის (Mattelart, Armond 1998) ნაშრომი.

ინგლისური და გერმანული ელექტრონული მეტყველების შედარებით ანალიზს ეხება ბიესვანგერის კვლევა (Bieswanger 2007), რომელმაც აჩვენა, რომ სივრცისა და დროის დაზოგვის სტრატეგიები ინგლისურსა და გერმანულენოვან შეტყობინებებში განსხვავდება ერთმანეთისგან სტრუქტურულად და სიხშირის მხრივ. შემოკლებული ენობრივი ფორმები გაცილებით ნაკლებად აღინიშნება გერმანულენოვან შეტყობინებებში, ვიდრე ინგლისურში. თუმცა არის შემოკლებათა გარკვეული ტიპები, რომლებიც გერმანულ ენაში უფრო გამოყენებადია, მაგ. სიგლი, მაშინ, როდესაც ფონეტიკური სპელინგი ინგლისურ შეტყობინებებში ჭარბობს. გარდა ამისა, გაირკვა, რომ შემოკლებული ფორმების ხმარებას საფუძვლად უდევს არა მხოლოდ დროის დაზოგვა, არამედ “გონებამახვილად” გამოჩენის სურვილიც. “ტექნოლოგიურად გაშუალებული კომუნიკაციის ინდივიდუალური ტიპების გადაჭარბებული განზოგადება, მოცემულ შემთხვევაში ტექსტური მეტყველება, არის ასევე სახიფათო განსაკუთრებით მაშინ, როდესაც დაფუძნებულია ძირითადად მონოლინგვურ პერსპექტივაზე. საჭიროა გაცილებით მასშტაბური სისტემური და კონტრასტული კვლევა სანამ რაიმე კომპეტენტურ დასკვნას გავაკეთებთ ტექსტური მეტყველების შესახებ, კერძოდ მულტილინგვურ დონეზე” (Bieswanger 2007: 11-12). სმს მეტყველების ეთნოგრაფიული კუთხით მიმოხილვას გვთავაზობს მოიზი თავის კვლევაში (Moise 2007), რომელიც ხორციელდებოდა სამი წლის მანძილზე ბუქარესტისა და ბრიუსელის მოზარდებს შორის. ავტორი თავიდანვე ხაზს უსვამს რუმინულ და ფრანგულ ენებს შორის განსხვავებას: თუკი რუმინელ ახალგაზრდებს არ გააჩნიათ პრობლემა ორთოგრაფიასთან მიმართებაში

(რუმინული ენა თითქმის ფონეტიკურია), ბელგიელებს ეს პრობლემა ხვდებათ შეტყობინების სტანდარტული ფრანგულით წერისას. სამაგიეროდ ახალგაზრდა რუმინელებთან დიდი მნიშვნელობა ენიჭება სინტაქსურ მხარეს: კვლევაში მონაწილე მოზარდები ხშირად დასცინოდნენ იმათ, ვინც სინტაქსურ შეცდომებს უშვებდა (სინტაქსური წესები ძალიან კარგად არის ცნობილი მოსწავლეებისთვის. ამ მხრივ რუმინელებს საკმაოდ ნათელი და მკაცრი პრინციპები გააჩნიათ). ამგვარად, წერის კომპეტენციები განსხვავდება ენების მიხედვით. საკუთრივ სმს მეტყველებას ეხება სარლოუსა და ბრაუნის მიერ ვაშინგტონში ჩატარებული კვლევა (Thurlow and Brown 2003), რომელიც მოიცავს მონაცემთა დისკურსულ ანალიზს. ავტორს გადამეტებული ეჩვენება სმს მეტყველების ჩაკეტილობასა და ექსკლუზიურობის შესახებ მსჯელობები და აღნიშნავს, რომ ახალგაზრდების ცხოვრებაში, მართალია, დიდი ადგილი უჭირავს სმს მიმოწერას, მაგრამ ეს მეტყველება ლინგვისტური თვალსაზრისით ნაკლებად საინტერესოა.

სმს-ის ნორვეგიელ მომხმარებლებს შორის ჩატარებულ კვლევას ემყარება ლინგის (Ling 2005) სტატია, სადაც განხილულია ისეთი თემები, როგორიცაა: ვინ და რა სიხშირით იყენებს სმს სერვისს, შეტყობინებათა თემატიკა, ყველაზე ხშირად გამოყენებული სიტყვები, შეტყობინებათა სიგრძე და სირთულე, აბრევიატურებისა და დიალექტების გამოყენება, კაპიტალიზაცია და პუნქტუაცია, მისალმება-დამშვიდობების ფორმულები, წერიტი და ზეპირი ხასიათი.

ფრანგულენოვანი სმს-ების შეგროვება-ანალიზს ეხება ფერონის, კლენისა და პომიეს ერთობლივი წიგნი “სმს მეტყველება” (Fairon, Klein, Paumier 2006), რომელიც ეფუძნება ლუვენის კათოლიკურ უნივერსიტეტში განხორციელებულ პროექტს – “დაეხმარეთ თქვენი სმს-ით მეცნიერებას”. პროექტის ფარგლებში შეგროვებულ იქნა 30 000 ფრანგულენოვანი მოკლე ტექსტური შეტყობინება, რომლებიც შემდგომ ითარგმნა სტანდარტულ ფრანგულ ენაზე. ამგვარად შეიქმნა ნათელი სურათი იმ ლინგვისტური თავისებურებებისა, რაც სმს მეტყველებას ახასიათებს. აღნიშნული პროექტი მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისითაც, რომ სახავს ახალ პერსპექტივებს სმს-ის ლიგვისტური კვლევის სფეროში.

1.2.3. დასკვნა

მობილური ტექნოლოგიების შესახებ გამოკვლევები ძირითადად ფოკუსირდება იმაზე, თუ ვინ და რატომ იყენებს აღნიშნულ ტექნოლოგიებს. კვლევებში გამოყენებულია შედარებით მცირე (Eldridge and Grinter 2001; Grinter and Eldridge, 2001, 2003; Grinter and Palen 2002) ან დიდი ზომის (Lenhart 2003; Lenhart, Madden and Hitlin 2005; Lenhart, Rainie and Lewis 2001) კითხვარების საფუძველზე შეგროვებული მონაცემები. ამგვარი კვლევების ძირითადი მონაცემები სამ ჯგუფად შეიძლება დავყოთ: 1. ახალგაზრდები მობილურ ტექნოლოგიებს იყენებენ, რათა ურთიერთობა ჰქონდეთ მეგობრებთან, ოჯახთან, დასახონ გეგმები, შეინარჩუნონ სოციალური კონტაქტი; 2. ეს ტექნოლოგიები სწრაფად და ადვილად აითვისეს ახალგაზრდებმა, რადგან სმს-ები უფრო ხელსაყრელი, ინტიმური, სხვებისთვის შეუმჩნეველი, იაფი და მეტად სწრაფია, ვიდრე ტრადიციული საშუალებები. ამას ემატება დროში შეუზღუდავობა და საუბრის ასინქრონული ხასიათი, რაც მეტ თავისუფლებას იძლევა; 3. მოკლე ტექსტური შეტყობინებების წერისას ახალგაზრდები იყენებენ სტანდარტული წერითი მეტყველებისგან მეტ-ნაკლებად განსხვავებულ მეტყველებას, რომელიც ზეპირს უახლოვდება.

ელექტრონული მეტყველების შესახებ არსებული მასალების გარდა ნაშრომში გამოვიყენეთ მეთოდოლოგიური, ეპისტემოლოგიური თუ თეორიული მასალები ენათმეცნიერების, სოციოლოგიის, ფსიქოლოგიის, კულტუროლოგიისა და ეთნოგრაფიის სფეროებიდან, რაც კვლევის ობიექტის შესახებ ჩვენი საკუთარი შეხედულების ჩამოყალიბებაში დაგვეხმარა.

1.3. სამეტყველო ვარიაცია და კორპუსული კვლევა

1.3.1. სამეტყველო ვარიაცია

წინამდებარე კვლევა წარმოადგენს კონკრეტული სამეტყველო ვარიაციის კვლევას მისი მოხმარების მიხედვით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საქმე ეხება

ენის გამოყენებას არა მომხმარებლების, არამედ სიტუაციების მიხედვით. მაგალითად, ერთი და იგივე ადამიანი განსხვავებულ სამეტყველო ფორმებს ხმარობს მეგობართან და უფროს კოლეგასთან, ან მოკლე ტექსტური შეტყობინებისა და მოხსენების წერის დროს. ყოველ სიტუაციაში მეტყველება იძერწება ექსტრალინგვისტური ფაქტორების გავლენით, რომლებსაც ხშირად სამ ძირითად კატეგორიად აჯგუფებენ: კომუნიკაციის მიზანი ან თემა; თანამოსაუბრეთა შორის დამოკიდებულება და მათი როლი ინტერაქციაში; კომუნიკაციის საშუალება: წერიტი, ზეპირი ან ელექტრონული. აღნიშნული კვლევა ერთი მხრივ აგრძელებს იმ ტრადიციას, რომლის მიხედვით ხდება ტექსტის ტიპების განთავსება წერა-ზეპირის სპექტრულ ხაზზე, მეორე მხრივ, აღწერს სმს მეტყველებას, როგორც ტექნოლოგიურად გაშუალებული სხვა სამეტყველო ტიპებისგან იზოლირებულ სამეტყველო ვარიაციას და აჩვენებს, რომ ვარიაციათა განსაზღვრა მხოლოდ საკომუნიკაციო საშუალებების მიხედვით არასაკმარისია. ამგვარი მიდგომა ხაზს უსვამს ტექნოლოგიურ შეზღუდვებთან ერთად მომხმარებლის ქმედებებისა და განზრახვის მნიშვნელობას. აღნიშნული პერსპექტივის შედეგად ტექნოლოგიური შეზღუდვები შეიძლება გააზრებულ იქნას, როგორც *შესაძლებლობები* (Gibson 1986), რომლებსაც მომხმარებელი იყენებს კონკრეტული მიზნით.

სამეტყველო ვარიაციის შესახებ კვლევებს აერთიანებს ძირითადად ის, რომ ყოველი მათგანი ცდილობს ერთი მხრივ წარმოაჩინოს თუ რა ზეგავლენას ახდენს სიტუაციური ფაქტორები ენობრივ მახასიათებლებზე, მეორე მხრივ, ვარიაციათა ურთიერთშედარებაზე დამყარებით გამოავლინოს კონკრეტული სამეტყველო ვარიაციისთვის დამახასიათებელი ფორმები. ერთ-ერთი მთავარი ნაკლოვანება, რაც აღნიშნულ სფეროში კვლევათა უმრავლესობას გააჩნია, არის მხოლოდ ერთ პარამეტრზე, უმრავლეს შემთხვევაში – კომუნიკაციის მედიუმებს შორის განსხვავებაზე კონცენტრირება (Biber 1995). ამ მხრივ, ბიბერის მიერ შემოთავაზებული მრავალგანზომილებიანი ანალიზი (MDA - Multi-Dimensional Analyses), რომელიც სამეტყველო ვარიაციათა ურთიერთგანსხვავებისას ერთდროულად რამდენიმე განზომილებას ითვალისწინებს, აღნიშნული წონასწორობის შენარჩუნების მცდელობაა. ამას გარდა აღსანიშნავია სხვა

ანალიტიკური სისტემები. მაგალითად, კრისტალისა და დევის (Crystal and Davy 1969) მცდელობა «ჩამოაყალიბონ ტექსტური შედარების თეორია» (Quirk 1969 :v); ჰოლოდის ე.წ. SFL⁷ მოდელი სამეტყველო ვარიაციების ანალიზისათვის (Eggins and Slade 1997; Yates 1996).

წინამდებარე კვლევისათვის ამოსავალ წერტილად ავიღეთ წერა-ზეპირის დიქტომია და ბიბერის მიერ შემოტანილი სპექტრული ხაზის ცნება: კომუნიკაციის მედიუმის გამოყენება, როგორც ძირითადი პარამეტრისა, რომლის საფუძველზეც წერითი და ზეპირი ვარიაციები შეიძლება ერთმანეთს შედარებულ იქნას. კვლევაში საკომუნიკაციო მედიუმზე ამგვარი ექსპლიციტური ფოკუსირება ერთგვარი აღიარებაა იმისა, რომ წერით და ზეპირ მეტყველებას შორის განსხვავებები წარმოადგენს ყველაზე ფართოდ გამოკვლეულ ცვლადს სიტუაციურად განსაზღვრულ სამეტყველო ვარიაციაში (Biber 1995: 12). ამავდროულად შევეცდებით ხაზი გავუსვათ შეზღუდულობას იმგვარი მიდგომისა, რომელიც სხვა ცვლადების გაუთვალისწინებლობის ხარჯზე ახდენს მხოლოდ საკომუნიკაციო არხზე კონცენტრირებას; დაბოლოს, შევეცდებით ჩამოვაყალიბოთ სმს მეტყველება, როგორც ცალკე მდგომი, თავისთავადი სამეტყველო ვარიაცია, რომელსაც ამავდროულად ბევრი აქვს საერთო როგორც წერით, ასევე ზეპირ დისკურსთან.

აუცილებელია ასევე გარკვეული ტერმინოლოგიური დაზუსტებები. წინამდებარე კვლევაში გამოვიყენებთ კრისტალის (Crystal 2001: 6) მიერ შემოტანილ ტერმინს «სამეტყველო ვარიაცია», რომელიც ნაკლებად წინააღმდეგობრივია ვიდრე «რეგისტრი», «ჟანრი» თუ «სტილი». ამ უკანასკნელებს ხშირად სხვადასხვა გაგებით იყენებენ და მათზე საერთო ჩამოყალიბებული თეორიული მოსაზრება არ არსებობს. «ვარიაცია» აღნიშნული

⁷SFL - Systemic-Functional Linguistics სისტემურ-ფუნქციური ლინგვისტიკა ფუნქციასა და სემანტიკას მიიჩნევს მეტყველებისა და საკომუნიკაციო აქტივობის ძირითად საფუძვლად. სტრუქტურული მიდგომისგან განსხვავებით, რომელიც უპირატესობას ანიჭებს სინტაქსს, სისტემურ-ფუნქციური ლინგვისტიკა გამომდინარეობს სოციალური კონტექსტიდან და ინტერესდება თუ რა გავლენას ახდენს იგი მეტყველების ფუნქციონირებაზე. ჰოლიდის მიდგომის მთავარი ცნებაა “სიტუაციის კონტექსტი”, რომელიც მიიღწევა “ერთი მხრივ სოციალურ გარემოსა და მეორე მხრივ მეტყველების ფუნქციონალურ ორგანიზაციას შორის სისტემური ურთიერთობით” (Halliday, 1985:11).

კვლევის ფარგლებში ნიშნავს ტექსტებს, რომლებიც წარმოქმნილია წარმოების, გადაცემისა ან ფუნქციის ერთი ან რამდენიმე საერთო ნიშნის მქონე სიტუაციებში, რომლებიც შეიძლება დაკავშირებულ იქნას აღნიშნულ ტექსტებში არსებულ ერთ ან რამდენიმე ენობრივ ფორმასთან.

ვარიაციები, რომლებიც თავდაპირველად განსაზღვრულია საერთო სიტუაციური მახასიათებლებით, შეიცავს ერთი პარამეტრის ირგვლივ მდებარე ზოგად ვარიაციებს, რომლებსაც რამდენიმე საერთო ენობრივი ფორმა გააჩნია, და ასევე სპეციფიურ ვარიაციებს, რომლებიც აღმოცენებულია სხვა პარამეტრების გადაკვეთის საფუძველზე და ლინგვისტურად უფრო მეტ მსგავსებას ამჟღავნებენ. ამგვარი განსაზღვრება აღიარებს საკომუნიკაციო მედიუმის გარდა სხვა ცვლადების მნიშვნელობას: სმს მეტყველება განსაზღვრულია ფიზიკური არხის საფუძველზე – მობილური სატელეფონო აპარატების საშუალებით გაგზავნილი მოკლე ტექსტური შეტყობინებები (სმს), თუმცა მისი სპეციფიურობა საფუძველს იღებს არა მხოლოდ ტექნოლოგიური შეზღუდვებიდან, არამედ მომხმარებელთა მიერ მათი გამოყენებიდანაც.

1.3.2. კორპუსული კვლევა

სამეტყველო ვარიაციის შესწავლაში კორპუსულ კვლევას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ამის ერთ-ერთი მიზეზი არის ის, რომ ამგვარი სახით თავმოყრილი მონაცემებიდან სიტყვათა და გრამატიკულ ფორმათა სიხშირისა და დისტრიბუციის განსაზღვრა სხვადასხვა სამეტყველო ვარიაციებში შედარებით ადვილად ხდება (Hunston 2002: 161-164).

კორპუსულ კვლევაში ორი ძირითადი მიდგომა გამოირჩევა (Tonini-Bonelli 2001): კორპუსზე დამყარებული (corpus based) და კორპუსით მიმართულ (corpus driven) მიდგომა. პირველი კორპუსს იყენებს, როგორც რესურსს, რომლისგანაც უნდა მიიღოს მეტყველების პრე-კორპუსული აღწერის დამადასტურებელი მონაცემები ან, გაამყაროს არსებული თეორიები, რომლებიც არ იყო კორპუსულ მონაცემებზე დაყრდნობით მიღებული. ამგვარი მიდგომა ნაკლებად ეფექტურია იმის გასარკვევად, თუ როგორ ხდება ენობრივი ვარიაციებისა და სიტუაციების

მიხედვით სიტყვათა სიხშირისა და ფუნქციათა ცვლილება (Hunston 2002; Gledhill 2000:33/102). სხვაგვარად რომ ვთქვათ, ფართო კორპუსზე დაფუძნებული მიდგომა შეზღუდულია წინასწარ განსაზღვრული კატეგორიებით, რომლებიც ერთი მხრივ ხელს უშლის იმის აღმოჩენას, თუ როგორ შეიძლება იყოს გამოხატული აზრი სხვადასხვა საშუალებებით, მეორე მხრივ ყურადღების მიღმა ტოვებს კონკრეტული ფორმების სხვადასხვაგვარ ფუნქციონირებას სამეტყველო ვარიაციების მიხედვით. მიუხედავად იმისა, რომ კორპუსზე დამყარებული კვლევა საკმაოდ შედეგიანია სამეტყველო ვარიაციის შესწავლაში, ჩვენი კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, უპირატესობა მივანიჭეთ ინდუქტიურ, კორპუსით მიმართულ მიდგომას, რომელიც წინასწარ განსაზღვრული კატეგორიების გარეშე, მონაცემებიდან მიღებული ფორმების ანალიზს ახდენს.

სამეტყველო ვარიაციის კორპუსით მიმართული კვლევა გულისხმობს იმას, რომ სამეტყველო ვარიანტის ლინგვისტური პროფილი არსებული მოდელებისადმი არ არის წინასწარ მორგებული. მკვლევარი, ყოველგვარი წინასწარი კონცეპტუალიზაციის გარეშე, იმისდა მიხედვით, თუ რა ფაქტები გამოვლინდება კვლევის პროცესში, ახდენს დასკვნების გამოტანას. თუმცა, ამგვარი ინდუქტიური მიდგომა ნაკლებად ხელსაყრელია ენობრივი ვარიაციების შედარებითი ანალიზისას და უფრო მეტად გამოიყენება ერთი ვარიაციის სიდრმისეული კვლევისას.

თავი 2. კვლევის არეალი და საკვლევი კორპუსი

ნაშრომში მოკლე ტექსტური შეტყობინების სისტემის, როგორც კვლევის არეალის, წარმოდგენამ შესაძლოა დაბადოს ეჭვი, მართლა არის თუ არა საჭირო მედიუმის (ჩვენს შემთხვევაში მობილური აპარატისა და საკუთრივ მოკლე ტექსტური შეტყობინების სისტემის) ტექნიკური თუ ისტორიული ასპექტების განხილვა ლინგვისტური კვლევისთვის, რომელიც, საბოლოო ჯამში ინტერესდება ენის გამოყენებითა და მასთან დაკავშირებული წარმოდგენებით. ამიტომ უნდა დავაზუსტოთ, რომ სიტყვა «არეალი» ჩვენს შემთხვევაში გაგებულია არა თავისი გეოგრაფიული მნიშვნელობით, თუმცა გარკვეული გეოგრაფიული ელემენტებს მაინც შეიცავს, როგორიცაა მაგალითად ადგილთან (და დროსთან) მიმართება.

ერთი შეხედვით შეიძლება დავინახოთ გარკვეული მოჩვენებითი საზღვრები, რომლებსაც ამგვარი არეალი აყალიბებს კონკრეტული სოციოლინგვისტური კვლევისთვის: ეს საზღვრები პირველ რიგში ითვალისწინებს იმ სოციოლინგვისტური ცვლადების კონტროლის შეუძლებლობას, რომლებიც ვარიაციონისტულ სოციოლინგვისტიკაში ცენტრალურ ადგილს იკავებს. მაგრამ თუკი ვამბობთ, რომ თავისი დეფინიციით სოციოლინგვისტიკა არის არეალის მეცნიერება (განსაკუთრებით ზოგადი ლინგვისტიკის საპირისპიროდ), ვნახავთ, რომ სმს სივრცე საუკეთესო სოციოლინგვისტური არეალია, სადაც ლინგვისტიკა არა მხოლოდ ცენტრალურ ადგილს იკავებს, არამედ ასევე დაკავშირებულია სპეციფიურ «სოციალურ ცვლადებთან», რომლებიც თავის მხრივ მომხმარებელთა სტატუსზეა დამოკიდებული. ამ საკითხის დასასრულს შეგვიძლია გავიხსენოთ, რომ:

”არეალი, ფართო გაგებით, [...] მოიცავს კვლევის ყველა ასპექტს, რომლებსაც კავშირი აქვს მონაცემთა შეგროვებასა და მათზე დაკვირვებასთან. » (in Mahmoudian et Mondada, eds. 1998 :7).

სმს ერთდროულად არის კომუნიკაციის საშუალება, რასაც ზოგჯერ მედიუმის სახელითაც მოიხსენიებენ, და მედია, რომელიც ხშირად მედიუმის ცნებასაც მოიცავს. დავაზუსტებთ, რომ ამ შემთხვევაში კლასიკური დაპირისპირება გვაქვს მედიის (შინაარსზე კონცენტრირებული) და მედიუმის (არხის ტიპზე მიმართული) ცნებებს შორის, თუმცა ეს ოპოზიცია თავიდანვე პრობლემატურია: ყოველი მედია ასოცირებულია გარკვეული ტიპის მედიუმთან და თავის მხრივ, მედიუმის ტიპი ნაწილობრივ აყალიბებს და ძერწავს შინაარსს. სხვათა შორის, მედიუმი ზოგჯერ აღებულია, როგორც მედიის მხოლოდითი ფორმა და ტერმინი მედიუმი ზოგჯერ ჩანაცვლებულია «კომუნიკაციის მედიით» (Lamizet et Silem, eds. 1997: 360-362). მართლაც, ტერმინი მედია ტრადიციულად მიუთითებს შინაარსის გარკვეულ ტიპზე, რომელსაც განსაზღვრული ინსტანცია ავრცელებს. სმს-ის შემთხვევაში კი ეს ტერმინი თავიდანვე პრობლემას ქმნის. ამიტომ მას, ისევე როგორც ინტერნეტს, ახალი მედიის სახელწოდებით მოიხსენიებენ.

მომდევნო ქვეთავებში ჩვენ გლობალურად განვიხილავთ მოკლე ტექსტური შეტყობინების სერვისის ისტორიულ, ტექნიკურ და ფუნქციონალურ ასპექტებს ისე, რომ თითოეულ შემთხვევაში უპირატესობას მივანიჭებთ მათ სოციალურ მნიშვნელობას. ეს ერთი შეხედვით მეორადი ასპექტები საშუალებას მოგვცემს ზოგიერთი სოციალური წარმოდგენის გაგებისა, რისი გათვალისწინებაც აუცილებელია ჩვენი პერსპექტივისთვის.

ბოლოს, აღსანიშნავია ისიც, რომ რამდენადაც ზოგადად ელექტრონულ მეტყველებასთან და სმს სისტემასთან დაკავშირებული წმინდად ქართული ტერმინოლოგია იშვიათია, ამიტომ გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად ნაშრომში ხშირად გამოვიყენებთ ანგლოფონურ ტერმინებს.

2.1. სმს კომუნიკაციის ისტორიული და ტექნიკური ასპექტები

2.1.1. მოკლე ტექსტური შეტყობინების სერვისის წარმოშობა და განვითარება

მობილური ტელეფონის მომხმარებელთათვის ტექსტური შეტყობინებების შეთავაზების იდეა 1980-იანი წლების დასაწყისში ბევრ მობილურ ოპერატორს ჰქონდა. სმს ძირითადად განიხილებოდა, როგორც მობილური ოპერატორისგან მომხმარებელთა გაფრთხილების საშუალება, მაგალითად, ხმოვანი შეტყობინების მიღებისას. მაშინ თითქმის არავინ ფიქრობდა, რომ ეს ახალი სერვისი თავად მომხმარებელთა შორის ტექსტური შეტყობინებების გაგზავნის საუკეთესო გზა გახდებოდა.

1985 წლის თებერვალში, მას შემდეგ, რაც GSM-ის ქვეჯგუფში ჩატარებული განხილვის შედეგად სმს მიჩნეულ იქნა ახალი ციფრული ფიჭვური სისტემის შესაძლო სერვისად, დასკვნის სახით შემუშავდა GSM-ის რეკომენდაცია “Teleservices supported by a GSM PLMN”⁸, სადაც მოცემული იყო სამი ახალი სერვისის აღწერა:

1. Short message Mobile Terminated (SMS-MT)/ Point-to-Point: ქსელის უნარი გადასცეს მოკლე ტექსტური შეტყობინება მობილურ ტელეფონს. შეტყობინება შეიძლება გაგზავნილ იქნას როგორც ტელეფონიდან ასევე კომპიუტერული აპარატით.

2. Short message Mobile Originated (SMS-MO)/ Point-to-Point: ქსელის უნარი გადასცეს მობილური ტელეფონებიდან ერთმანეთისადმი გაგზავნილი მოკლე ტექსტური შეტყობინებები. შეტყობინება შეიძლება გაგზავნილ იქნას მობილურ ტელეფონსა ან კომპიუტერულ აპარატზე.

3. მოკლე ტექსტის დაგზავნის სიები: რამდენიმე აბონენტისთვის ტექსტის ერთდროულად გაგზავნა.

⁸ (<http://www.3gpp.org/ftp/Specs/html-info/0203.htm> Teleservices Supported by a GSM Public Land Mobile Network (PLMN).)

აღნიშნულ საკითხზე მუშაობა დაევალა GSM-ის ახალ ჯგუფს, IDEG-ს (the Implementation of Data and Telematic Services Experts Group), რომელმაც ახალი სერვისი დაიწყო 1987 წელს ფრედჰელმ ჰილბრანდის ხელმძღვანელობით. დღეისთვის არსებული ტექნიკური სტანდარტების უმეტესობა IDEG-ის მიერ იქნა შექმნილი.

პირველი მოკლე ტექსტური შეტყობინება გაგზავნილ იქნა GSM-ის ქსელით კომპანია Vodafone-ის მიერ ინგლისში 1992 წლის 3 დეკემბერს, ნეილ პეიპორსის მიერ რიჩარდ ჯარვისისადმი პერსონალური კომპიუტერის გამოყენებით⁹. შეტყობინების ტექსტი იყო “Merry Christmas”¹⁰. მობილური ტელეფონზე აკრეფილი პირველი სმს კი 1993 წელს გაგზავნა სტუდენტმა რიკუ პიკონენიმ¹¹.

თავიდან სმს-ის მომხმარებელთა რიცხვი ძალიან ნელა იზრდებოდა. 1995 წელს თვეში GSM-ის ერთ მომხმარებელზე საშუალოდ 0,4 შეტყობინება იქნა აღრიცხული¹². ამის ერთ-ერთი მიზეზი იყო ის, რომ თაღლითობების თავიდან ასაცილებლად ოპერატორები სისტემას ძალიან ნელა ტვირთავდნენ. დროთა განმავლობაში ეს შეფერხება აღმოფხვრილ იქნა და 2000 წლისათვის ერთ მომხმარებელზე შეტყობინებათა რიცხვმა 35-ს მიაღწია¹³, მხოლოდ 2007 წლის 1 იანვარს მარტო ინგლისში ყოველ საათში 9 მილიონი მოკლე ტექსტური შეტყობინება იგზავნებოდა¹⁴.

2.1.2. სმს-ის ფუნქციონირება

მოკლე ტექსტური შეტყობინების სერვისის ფუნქციონირება შემდეგი სახით ხდება: შეტყობინებები იგზავნება მოკლე ტექსტური შეტყობინებების სერვისის ცენტრში (SMSC), რომელიც, თავის მხრივ, გადასცემს მას ადრესატს.

⁹ (I put the Gr8 in Britain May 2007, London Magazine. <http://www.thelondonmagazine.co.uk/>)

¹⁰ (UK hails 10th birthday of SMS, December 2002, The Times of India. <http://timesofindia.indiatimes.com/articleshow/30216466.cms>)

¹¹ (False dawn of the photo phone boom, Jan 2003, The Scotsman. <http://thescotsman.scotsman.com/ViewArticle.aspx?articleid=2393456>) .

¹² (GSM World press release http://www.gsmworld.com/news/press_2001/press_releases_4.shtml)

¹³ (GSM World press release http://www.gsmworld.com/news/press_2001/press_releases_4.shtml)

¹⁴ (Stats & Research: 9 Million New Year Greetings An Hour, 160 Characters, 26 January 2007. <http://www.3gpp.org/ftp/Specs/html-info/0203.htm>).

თუკი ადრესატი მიუწვდომელია შეტყობინება ინახება ცენტრში და მოგვიანებით იგზავნება. ზოგიერთ სმს ცენტრს შეტყობინებათა შენახვის ფუნქცია არ გააჩნია. მომხმარებელს საშუალება აქვს მოითხოვოს ასევე შეტყობინებათა გადაცემის მოხსენება, რომელიც ამცნობს მას სმს-ის ადრესატამდე მისვლის ფაქტს.

იმისათვის, რომ ტელეფონმა შეძლოს სმს-ის მიღება/გაგზავნა საჭიროა მიეთითოს მობილური კავშირის სმს ცენტრის ნომერი. უმეტეს შემთხვევაში ეს ნომერი უკვე ჩაწერილია სიმ ბარათზე და ხელით მისი ჩაწერა აღარაა საჭირო.

შემომავალი შეტყობინებები ინახება სპეციალურ სიაში, რაც მომხმარებელს სურვილის შემთხვევაში მათი ხელახალი გადაკითხვის საშუალებას აძლევს. ზოგიერთი მოდელის ტელეფონი ამ სიას სიმ ბარათზე ინახავს და ამდენად, შენახულ შეტყობინებათა რაოდენობა შეზღუდული აქვს. უფრო თანამედროვე მოდელები შეტყობინებებს აპარატის მეხსიერებაში ინახავენ და ამ შემთხვევაში, მათი რიცხვი ტელეფონის მეხსიერებაზეა დამოკიდებული. არსებობს ასევე ცალკე სიები მიღებული და გასაგზავნი შეტყობინებებისთვის.

მობილურ ტელეფონზე შეტყობინების ასაკრებად, როგორც წესი, გამოიყენება ტელეფონის ციფრული კლავიატურა. ტექსტის დაწერა ხორციელდება კლავიშზე რამდენჯერმე დაჭერით საჭირო ასოს აკრეფამდე. ზოგიერთი მოდელის ტელეფონებს ანბანურ-ციფრული კლავიატურა გააჩნიათ, რაც მნიშვნელოვნად აადვილებს ტექსტის დაწერას.

2.1.3. ტექსტის ზომა

მოკლე ტექსტური შეტყობინების ტექსტი შეიძლება შედგებოდეს ანბანურ-ციფრული სიმბოლოებისგან. GSM-ის სტანდარტით შეტყობინების მაქსიმალური ზომა 140 ბაიტია. აქედან გამომდინარე, 7-ბიტის კოდირების გამოყენებისას (ლათინური ანბანი და ციფრები) შესაძლოა 160 ნიშნიანი შეტყობინების გაგზავნა. 8-ბიტის კოდირების შემთხვევაშიც (გერმანული, ფრანგული ენა) 160 სიმბოლოთი შედგენილი ტექსტის გაგზავნაა შესაძლებელი, ხოლო 16-ბიტის

კოდირება (ჩინური, არაბული, რუსული და ა.შ) ერთი სმს-ით მხოლოდ 70 სიმბოლოს გაგზავნის საშუალებას იძლევა.

სტანდარტში ასევე გათვალისწინებულია სეგმენტირებული შეტყობინებების გაგზავნის შესაძლებლობა, ამგვარად, მომხმარებელს შედარებით გრძელი ტექსტის გაგზავნის საშუალება ეძლევა. ხშირად სატელეფონო აპარატი შეტყობინებათა სეგმენტების რაოდენობას თავად ზღუდავს (3 ან 5 სეგმენტი). ზოგ აპარატს კი სეგმენტირების ამგვარი შესაძლებლობა საერთოდ არ გააჩნია, ამგვარი აპარატები თითოეულ მიღებულ სეგმენტს ცალკე შეტყობინების სახით აჩვენებს. ჩვეულებრივ, თითოეული სეგმენტის ფასი იგივეა რაც ცალკე შეტყობინების.

2.1.4. სმს-ის ტექნიკური უპირატესობები და შეზღუდვები

მოკლე ტექსტური შეტყობინების სერვისის მზარდი პოპულარობა კომუნიკაციის სხვა ფორმებთან შედარებით მის გარკვეულ უპირატესობებს ემყარება:

- შეტყობინება, როგორც წესი, რამდენიმე წამში აღწევს ადრესატამდე. გამგზავნს კი შეუძლია მიიღოს სმს-ის ადგილზე მისვლის დამადასტურებელი მოხსენება. აქედან გამომდინარე, გამგზავნმა დანამდვილებით იცის მიიღო თუ არა ადრესატმა გაგზავნილი შეტყობინება.
- შეტყობინების გაგზავნა შესაძლოა მაშინაც კი, როცა ადრესატის ტელეფონი გამორთულია ან გასულია მომსახურების ზონიდან. როგორც კი ადრესატი ხაზზე გამოვა, შეტყობინება ავტომატურად მიეწოდება. გამგზავნი კი ამ დროს მიიღებს მოხსენებას, რითაც შეიტყობს როგორც თავისი გაგზავნილი სმს-ის დანიშნულების ადგილზე მისვლას, ასევე ადრესატის ხაზზე გამოსვლას.
- სმს-ის გაგზავნა შეიძლება მაშინაც, როცა ადრესატი ტელეფონით საუბრობს ისე, რომ მას ხელი არ შეემალოს საუბარში.

- სმს შესაძლოა უხმაურო იყოს. ზარის გამორთვის შემთხვევაში სმს-ის მიღება შეიძლება გარშემომყოფთათვის შეუმჩნეველი დარჩეს.
- სატელეფონო ზარისგან განსხვავებით სმს არ მოითხოვს დაუყოვნებელ პასუხს.
- მომხმარებელს შეუძლია სმს-ის კონტროლი, რედაქტირება. შესაძლებელია მობილურ ტელეფონში გაგზავნილი/მიღებული შეტყობინების შენახვა და საჭიროების დროს მისი გამოყენება.
- ზოგიერთი აპარატი ერთი და იგივე ტექსტის რამდენიმე ადრესატისთვის ერთდროულად გაგზავნის საშუალებას იძლევა, რაც მომხმარებელს თავიდან აცილებს ტექსტის რამდენჯერმე აკრეფას.

მოკლე ტექსტური შეტყობინების სერვისს თავისი შეზღუდვებიც გააჩნია. ძნელია პატარა, შედარებით რთულ კლავიატურაზე ასოების აკრეფა (იხ. სურათი 2). მართალია ახალი თაობის აპარატები (სმარტფონი, აიფონი) გაუმჯობესებულ კლავიატურას გვთავაზობენ და ერთსა და იმავე კლავიშზე რამდენჯერმე დაჭერა აღარ არის საჭირო (იხ. სურათები 3 და 4), მაგრამ მცირე ზომის კლავიატურაზე ტექსტის აკრეფა პერსონალურ კომპიუტერთან შედარებით მაინც რთულია. შეტყობინების სიგრძე საუკეთესო შემთხვევაში 160 ნიშნითაა შემოფარგლული. პატარა ეკრანზე ტექსტის წაკითხვა შედარებით ძნელია. აპარატი სწრაფად იცლება და ხშირად სჭირდება დამუხტვა.


სურათი 2: ტრადიციული ფიჭვური ტელეფონის კლავიატურა.



სურათი 3: სმარტფონის QWERTY კლავიატურა



სურათი 4: აიფონის სენსორული კლავიატურა



2.2. სმს სერვისის სოციოფუნქციონალური ასპექტები

2.2.1. სმს-ის მზარდი პოპულარობის მიზეზები

მობილური ტექსტური შეტყობინებების მოხმარება, გარკვეული ტექნიკური შეზღუდვების მიუხედავად, მცირე დროში საოცარი სისწრაფით გაიზარდა. აღნიშნული პოპულარობის მიზეზებს სამ ძირითად კატეგორიად აჯგუფებენ: რაციონალური, ინტერაქციის ახალ ფორმასთან დაკავშირებული და ეთნოგრაფიული მიზეზები (Svendsen and Svartdal 2003).

სმს-ის პოპულარობის რაციონალურ მიზეზებს განეკუთვნება ისეთი ფაქტორები, როგორიცაა კომუნიკაციის სხვა საშუალებებთან შედარებით დაბალი ფასი (თუმცა აღსანიშნავია, რომ ინტერნეტ კომუნიკაციის ტარიფთან შედარებით სმს-ის ფასი მაინც მაღალი რჩება), ხელმისაწვდომობა. მიუხედავად იმისა, რომ მობილური ტელეფონის ეკრანი პატარაა და მასზე დაწერა ან წაკითხვა შედარებით ძნელია, კომპიუტერისგან განსხვავებით ამგვარი მცირე ზომის აპარატი უფრო ადვილი მოსახმარია. მისი წაღება და გამოყენება ნებისმიერ ადგილასაა შესაძლებელი და ნაკლებად თვალშისაცემიცაა. ამას ემატება დროში შეუზღუდავობა: სმს-ის გაგზავნა ნებისმიერ დროსაა შესაძლებელი, მაშინაც კი, როცა ადრესატი დაკავებულია, თან ისე, რომ მას ხელი არ შეეშალოს. ამ კატეგორიის მიზეზები გაანალიზებულია რიჩარდ ლინგის წიგნში: «ამგვარი პოპულარობიდან გამომდინარე ისმის კითხვა, რა გვიზიდავს ასე ტექსტურ შეტყობინებებში. პასუხთა უმეტესობა დაკავშირებულია იმასთან, რომ შეტყობინებები შედარებით იაფი და მოსახერხებელია. ტექსტური შეტყობინებები საშუალებას გვაძლევს კონტაქტი შევინარჩუნოთ მეგობრებთან და კოლეგებთან და ამავე დროს შეუმჩნეველია. ტექსტური მიმოწერა ექსპრესიის საშუალებას გვაძლევს მაშინაც კი, როცა კომუნიკაციის სხვა საშუალებების გამოყენება შეუძლებელია. მაგალითად, შეგვიძლია მიმოწერა გვქონდეს ავტობუსში ჯდომისას, საკლასო ოთახში ან, სოციალურად ზეწოლის ქვეშ მყოფი თინეიჯერების შემთხვევაში, საწოლში, საბნის ქვეშ შუა ღამისას.» (Ling 2004 : 147).

ინტერაქციის ახალ ფორმებთან დაკავშირებული მიზეზები ხშირად განიხილება, როგორც რაციონალური კატეგორიის ქვეჯგუფი. სმს გეგმების დაწყობის, შეხვედრების დაგეგმვის უფრო მოქნილი საშუალებაა. სმს-ის გამოყენებით შეხვედრის ადგილისა თუ დროის შეცვლა მაშინაც კი შესაძლებელია, როცა ადრესატს გარკვეული მიზეზების გამო არ შეუძლია სატელეფონო ზარზე პასუხი. რიჩარდ ლინგმა ამ ფენომენს «მიკრო-კოორდინაცია» უწოდა. (Ling and Yttri 2002).

ეთნოგრაფიულ მიზეზებს საფუძვლად უდევს სმს-ის შესაძლებლობა, ხელი შეუწყოს სოციალური ურთიერთობების დამყარება/შენარჩუნებას. მომხმარებელთა დიდი ნაწილი მოკლე ტექსტურ შეტყობინებას იყენებს უფრო მეტად სოციალური ურთიერთობების დამყარების მიზნით ვიდრე პრაქტიკული გეგმებისთვის. (Ling and Yttri 2002). ძალიან ხშირად მოკლე ტექსტური შეტყობინებების საშუალებით მომხმარებლები უბრალოდ მოიკითხავენ ერთმანეთს. ის გაცილებით მოსახერხებელია, ვიდრე სატელეფონო ზარი და ხელს უწყობს სიახლოვის შეგრძნებას.

ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორების გარდა არის კიდევ ერთი, შეიძლება ითქვას ყველაზე მნიშვნელოვანი, ფსიქოლოგიური ფაქტორი, რომელიც მოქმედებს როგორც ნაცნობებთან მიმოწერისას, ასევე განსაკუთრებით ძლიერია უცნობებთან ტექსტური ურთიერთობისას. აღნიშნულ ფაქტორს და სმს-ის ფსიქოლოგიურ ასპექტებს ზოგადად შევხებით მომდევნო ქვეთავში.

2.2.2. სმს კომუნიკაციის ფსიქოლოგიური და სოციალური ასპექტები

ხშირად სმს-ის რეგულარული გამოყენება სასიკეთო გავლენას ახდენს მომხმარებლის სოციალურ ცხოვრებაზე, აძლევს ახალი ურთიერთობების, ახალი ნაცნობების შეძენის საშუალებას და უფრო მრავალფეროვანს ხდის მის ცხოვრებას. მოკლე ტექსტური შეტყობინებებით ურთიერთობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ მომხმარებლებისათვის, რომლებიც რეალურ ცხოვრებაში მარტოსულები, მარგინალები, ნაკლებად კომუნიკაბელურები არიან. (Bamrud 2002 ; Mckenna et al. 2002). სმს-ის მთავარი უპირატესობა ამ შემთხვევაში არის შედარებით «უსაფრთხო» გარემო, რასაც საფუძვლად უდევს ვიზუალური ანონიმურობა და ასინქრონული ხასიათი. ამგვარად მომხმარებლებს გააზრებისა და ტექსტის უკეთ მოფიქრების საშუალება აქვთ. მოსაუბრეები ერთმანეთს ვერ ხედავენ და არც ესმით, აქედან გამომდინარე, ისეთი ადამიანები, რომელთაც გარკვეული კომპლექსები (ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური) აწუხებთ, გაცილებით თავისუფლად გრძნობენ თავს და საკუთარი თავის გამოხატვის მეტი შესაძლებლობა აქვთ. კომუნიკაციის ეს საშუალება შესაძლებელს ხდის ისეთ ადამიანებს შორის ახლო ურთიერთობებს, რომლებსაც ამის შესაძლებლობა

პირისპირ თუ სატელეფონო საუბრის შემთხვევაში არასოდეს ექნებოდათ. კვლევებმა დაადასტურა, რომ მაღალი სოციალური შფოთვის მქონე და მარტოსული ადამიანები გაცილებით უკეთ ახდენენ საკუთარი რეალური მე-ს გამოხატვას სმს მიმოწერისას (ან ინტერნეტით ურთიერთობისას) ვიდრე პირისპირ საუბრისას, ისინი გაცილებით მეტ და მეტად გრძელ შეტყობინებებს აგზავნიან, ვიდრე ის მომხმარებლები, რომლებსაც პირისპირ საუბრისას არ გააჩნიათ კომპლექსები, სამაგიეროდ გაცილებით ნაკლებად მოიხმარენ სატელეფონო საუბრებს (Reid and Reid F. 2004). სმს-ის მომხმარებელთა გარკვეული ნაწილი აღიარებს, რომ მისი ოჯახის წევრები ან უბრალოდ ახლო ნაცნობები შეიძლება გაკვირვებულებიც კი დარჩნენ მის მიერ გაგზავნილი სმს-ების წაკითხვისას, იმდენად განსხვავებული «მე» ჩანს მათი ტექსტებიდან. არადა ხშირ შემთხვევაში სწორედ ეს, «ვირტუალური» «მე» არის ჭეშმარიტი, რომლის გამოხატვას რეალობაში დაკომპლექსებული ადამიანები ვერ ახერხებენ.

მოკლე ტექსტური შეტყობინებების მომხმარებლებს ახასიათებთ სმს-მეგობართა გარკვეული ვიწრო ჯგუფის შექმნა და მათთან მიმოწერა. ასე იქმნება ერთგვარი «ტექსტური წრეები», რომლის წევრები ერთმანეთთან რეგულარულ სმს კონტაქტში არიან. ხშირად ამგვარი ტექსტური მიმოწერა წერითი საუბრის სახესაც კი იღებს. სმს მეგობრებთან ხშირად გაცილებით ღრმა და მყარი ურთიერთობები იბმება, ვიდრე რეალურ ან სატელეფონო ნაცნობებთან. მოკლე ტექსტური შეტყობინებები უშუალოს, ძალდაუტანებელსა და თანასწორს ხდის ურთიერთობებს, იმისდა მიუხედავად, თუ რამდენი ხანი გრძელდება მიმოწერა.

ყველასთვის კარგადაა ცნობილი თუ რამხელა სტრესს განიცდის დღეს ადამიანი ყოველდღიურ ცხოვრებაში. სმს კარგი საშუალებაა ამგვარი სტრესის შესამსუბუქებლად. თუნდაც თანამშრომლებს შორის ერთმანეთისადმი მიწერილი შეტყობინებები, ხუმრობები თუ რაიმე საინტერესო ამბები. ამგვარი სმს-ები ცოტა ხნით მაინც ავიწყებს ადამიანს გადაღლილობას და მოდუნების საშუალებას აძლევს, რასაც ძალიან დიდი დადებითი ეფექტი აქვს როგორც მისი ფსიქოლოგიური ასევე ფიზიკური ჯანმრთელობისთვისა და განწყობისთვის.

ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარე, გასაკვირი არ არის, რომ მოკლე ტექსტურ შეტყობინებათა უმრავლესობა სოციალურ-რელაციურ ან ფატიკურ ფუნქციას უფრო ემსახურება, ვიდრე ინფორმაციულ თუ პრაქტიკულ მიზნებს (Thurlow and Brown 2003).

2.3. სმს – ენობრივი საზოგადოება

ყოველივე იქიდან, რაზეც ზემოთ ვილაპარაკეთ, ცხადია, რომ სმს მიმოწერაში ცენტრალური როლი ენას უკავია. რამდენადაც ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ცალსახად დისკურსულ გარემოსთან, უდიდეს მნიშვნელობას იძენს სოციოლინგვისტური კომპეტენცია.

მნიშვნელოვანია გავიხსენოთ, რომ სმს-თან დაკავშირებით არა მარტო შეგვიძლია საზოგადოებაზე ლაპარაკი, როგორც ამას აკეთებენ ონლაინ ვირტუალურ სამყაროსთან დაკავშირებით, არამედ უნდა ვილაპარაკოთ კონკრეტულად «ენობრივ საზოგადოებაზე». ეს უკანასკნელი ემყარება სოციალურ ორგანიზაციას, რომელიც დაკავშირებულია სოციოტექნიკურ სისტემასთან, რომლის საგანიც და საშუალებაც არის დისკურსი. აქედან გამომდინარე არის მოცემული საზოგადოება ენობრივი. დისკურსის საშუალებით შეიძლება წარმოიშვას კონკრეტული საზოგადოება, რომელიც თავის მხრივ შესაძლებელს ხდის დისკურსს.

ამგვარად, სმს მიმოწერა წარმოდგება არა მხოლოდ როგორც უბრალოდ კომუნიკაციის საშუალება, არამედ ეს არის დისკურსული გარემო, რომელიც საზოგადოებრივი თანაცხოვრების საშუალებას იძლევა და რომელსაც თამამად შეგვიძლია ვუწოდოთ ენობრივი საზოგადოება. ეს არის კომპლექსური სოციალური ორგანიზაციის მქონე საზოგადოება, სადაც მოსაუბრეები ვიზუალურად არ არიან წარმოდგენილი და ამდენად დაცულობის დონე ფსიქოლოგიური თვალსაზრისით მაღალია. სოციალური თვალსაზრისით კი მოსაუბრეები, რომლებიც ერთმანეთს ვერ ხედავენ და ხშირ შემთხვევაში

შეიძლება არც კი იცნობდნენ (სმს ჩატის ან ვირტუალური ნაცნობობის შემთხვევაში, რაც დღეს ძალიან ხშირად გვხვდება), უფრო დაუცველად შეიძლება წარმოვიდგინოთ. ამგვარი ორმაგი ხასიათი, ვფიქრობთ, უნდა განვიხილოთ წარმოდგენების ცნებასთან კავშირში.¹⁵ ჩვენი აზრით, სმს მიმოწერაში, რომელიც სოციოლინგვისტურ პერსპექტივაში შედგება საერთო ლინგვისტური ქმედებებისგან, ცენტრალურ ადგილს იკავებს წარმოდგენები, რომლებიც აუცილებლად გასათვალისწინებელია. საბოლოო ჯამში, თუკი ვაღიარებთ, რომ ქმედებები და წარმოდგენები მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან, მაშინ ენობრივ ქმედებებსა და წარმოდგენებს ერთნაირი მნიშვნელობა უნდა მივანიჭოთ.

2.4. საკვლევი კორპუსი

მოკლე ტექსტური შეტყობინებების შეგროვება საკმაოდ რთული ამოცანაა, რადგან, განსხვავებით ინტერნეტ-საუბრებისა, მათ პირადი, კონფიდენციალური ხასიათი აქვთ და მომხმარებლის თანხმობის გარეშე მათი მოპოვება თუ გამოყენება შეუძლებელია. მონაცემთა შეგროვების მეთოდი დამოკიდებულია იმ მიზნებზე, რომლებსაც კვლევა ისახავს. ზოგადად სმს მიმოწერის კვლევებში კორპუსის შექმნის ორი ძირითადი მიმართულება შეინიშნება: ერთი მხრივ გვაქვს შედარებით მცირერიცხოვანი, ახლობლების, მეგობრებისა თუ ოჯახის წევრების მიერ გაგზავნილი თუ მიღებული სმს-ებით შექმნილი კორპუსები, რაც ძირითადად უფრო ღრმა, თვისობრივი კვლევისას გამოიყენება (Hard af Segersteg 2002 ; Grinter and Eldridge 2002 ; Kasesniemi and Rautianen 2002), მეორე მხრივ კი

¹⁵ სოციოლინგვისტიკაში წარმოდგენების ცნება ნაწილობრივ უკავშირდება სოციალურ ფსიქოლოგიაში არსებულ სოციალურ წარმოდგენებს, რომელიც “1961 წელს მოსკოვიჩიმ დარხეიმის მიერ შემოტანილ კოლექტიური წარმოდგენის ცნებას ჩაუნაცვლა [...] რათა შეექმნა ინსტრუმენტი, რომელიც უკეთ იქნებოდა ადაპტირებული თანამედროვე საზოგადოებაში სიმბოლური კავშირების მარეგულირებელი წარმოდგენების მრავალფეროვნებისა და სიმრავლისადმი (Doise, 1990). დარხეიმისათვის *კოლექტიური წარმოდგენები* წარმოადგენს ადამიანის გონების ლოგიკურ და უცვლელ სტრუქტურებს. მოსკოვიჩის მიერ შემოტანილ *სოციალურ წარმოდგენებში* კი შენარჩუნებულია *ლოგიკის* ცნება, მაგრამ უკუგდებულია *უცვლელობა*.” (Bernoussi et Florin 1995:74-75). “სოციოლინგვისტიკაში წარმოდგენების კვლევა მიემართება ძირითადად ენათა კონტაქტებსა და ენობრივ რეგისტრებს: სტანდარტული მეტყველება / დიალექტი ან კრეოლი, უმრავლესობის / უმცირესობის მეტყველება, სიტუაციების მიხედვით განსხვავებული სტილისტური რეგისტრები.” (Gueunier in Moreau 1997:247).

სახეზეა რაოდენობრივი კვლევებისთვის გამოიზნული დიდი კორპუსები, რომელთა შექმნა ძირითადად ინტერნეტ საიტების საშუალებით ხორციელდება (Fairon et al. 2006). ქვემოთ ცხრილის სახით მოვიყვანთ სმს კომუნიკაციის კვლევისათვის სხვადასხვა მკვლევარების მიერ კორპუსების შექმნისათვის გამოყენებული პროცედურების მოკლე მიმოხილვას (იხ. ცხრილი 1).

ცხრილი 1: სმს კორპუსები

კვლევა	კორპუსის სპეციფიკაცია	შეგროვების მეთოდი	კვლევის მიზნები
Grinter and Eldridge 2001 ; 2003	477 შეტობინება, 5 მონაწილე, 15-16 წლის.	7 დღის მანძილზე მონაწილეების მიერ მიღებული და გაგზავნილი შეტყობინებების ჩაწერა, ჯგუფური დისკუსიები და კითხვარები	საკომუნიკაციო ფუნქციები, სასაუბრო «ჯაჭვებისა» და აბრევიაციების ანალიზი.
Hard af Segersteg 2002	1152 შეტობინება, 17,024 სიტყვა	112 შეტყობინება – ანონიმური ვებ- გვერდიდან, 252 – მოხალისეების მიერ გადმოგზავნილი, 788 – ნათესავ- მეგობრებისგან.	აბრევიაციები და სტრუქტურული ელიფსი, განსაზღვრა იმისა, თუ როგორ ერგება წერითი კომუნიკაცია ტექნოლოგიას.
Kasesniemi and Rautianen 2002	8000 შეტყობინება, 1000 მონაწილე, ინტერვიუები, მომხმარებელთა	სხვადასხვა არხებიდან მოზიდული თინეიჯერები	სოციალურ-სამეცნიერო კვლევა მობილური ტექნოლოგიის საკომუნიკაციო

	დღიურები.	(ტელევიზია, ინტერნეტი, სკოლა) შეტყობინებებს აგზავნიდნენ ელ. ფოსტით.	გამოყენების შესახებ.
Oksman and Turtianen 2004			სმს ინტერაქციის კვლევა სიმბოლური ინტერაქციული მიდგომის საფუძველზე, რათა განისაზღვროს შეიქმნა თუ არა სოციალური ინტერაქციის ახალი ფორმები.
Thurlow 2003	544 შეტყობინება 135 სტუდენტისგან	თითოეულმა სტუდენტმა ერთ-ერთი ლექციის მსვლელობისას ფურცელზე გადაწერა 5 შეტყობინება.	აბრევიაციები, საკომუნიკაციო ფუნქციები და შეტყობინებათა სიგრძე
Fairon and Paumier 2006	30000 შეტყობინება, 3200 მონაწილე, 12-65 წლის.	პროექტს ნაციონალური ხასიათი ჰქონდა და მონაწილეებს სთხოვდნენ გაეგზავნათ შეტყობინებები უფასო მობილური ნომრებიდან.	შემდგომი ლინგვისტური და სოციოლინგვისტური კვლევებისთვის კორპუსის შექმნა და დამუშავება, სმს მეტყველების «გადათარგმნა» სტანდარტულ

			ფრანგულზე.
Ling and Baron 2007	191 შეტყობინება (1473 სიტყვა)	უნივერსიტეტის სტუდენტებს დაეგზავნათ კითხვარები	ლინგვისტური შედარება ინტერნეტ კომუნიკაციასთან.

მართალია, ჩვენი კვლევა მიზნად არ ისახავს რაოდენობრივ ანალიზს (რასაც მხოლოდ ნაწილობრივ გამოვიყენებთ), არამედ კონცენტრირდება ენობრივი მონაცემების თვისობრივ მხარეზე, მაგრამ შეტყობინებათა შეგროვება მაინც ანონიმური, ვებ-გვერდზე დამყარებული მეთოდით გადაწყვეტით. ვფიქრობთ, ამგვარად უფრო «დაცულად» იგრძნობენ თავს მონაწილენი და, შესაბამისად, ნაკლები იქნება შანსი იმისა, რომ «შეასწორონ» შეტყობინებებში არსებული «ხარვეზები» ან «დამალონ» ზოგიერთი შეტყობინება. მოცემული კვლევისათვის საჭირო კორპუსი წარმოდგენილია 260 ფრანგული მოკლე ტექსტური შეტყობინების სახით. შეტყობინებები მოპოვებულ იქნა სპეციალური ანონიმური კითხვარის საშუალებით, რომლებშიც თითოეულ გამოკითხულს გარდა მისი მინიმალური სოციალური მონაცემებისა (ასაკი, სქესი) ვთხოვდით სრული სახით ჩაეწერათ მის მიერ მობილური ტელეფონიდან ბოლოს გაგზავნილი და მიღებული 3 სმს (იხ. კითხვარი 1). კითხვარის ონლაინ მისამართი დავაგზავნეთ სოციალური საიტებიდან მოპოვებულ მისამართებზე სპეციალურ წერილთან ერთად, სადაც მონაწილეებს ვუხსნიდით ჩვენს მიზნებს და ვთხოვდით პროექტში დახმარებას. პროექტში მონაწილეთა ასაკი მერყეობს 14-დან 35 წლამდე.

კორპუსის სპეციფიკაცია მოცემულია ცხრილი 2-ში.

ცხრილი 2: კორპუსის სპეციფიკაცია

შეტყობინებათა რიცხვი	260
ნიშანთა საშუალო რიცხვი შეტყობინებაში	65
შეგროვების პერიოდი	მარტი, 2008 – იანვარი, 2009
შეგროვების მეთოდი	სოციალური საიტებიდან მოპოვებულ მისამართებზე ელ. ფოსტით გაგზავნეთ წერილი, სადაც ვუხსნიდით ჩვენს მიზნებს და ვთხოვდით შეევსოთ თანდართული ონლაინ კითხვარი.
კომუნიკაციის ენა	ფრანგული
კომუნიკაციის ტიპი	პირადი მიმოწერა

მიუხედავად იმისა, რომ კითხვარში 3 მიღებული და ამდენივე გაგზავნილი შეტყობინების ჩაწერას ვთხოვდით, მონაწილეთა უმრავლესობამ

მხოლოდ თითო სმს ჩაწერა, ბევრმა კი მონაცემები შეავსო შეტყობინებების ჩაწერის გარეშე. კორპუსში არ შევიტანეთ ის შეტყობინებები, რომელთა ავტორის მშობლიური ენა არ იყო ფრანგული და რომლებსაც სარეკლამო ხასიათი ჰქონდა. ცხრილი 3-ში მოვიყვანთ მონაწილეთა სოციალურ მონაცემებს, რომლებიც კითხვარის საფუძველზე მივიღეთ.

ცხრილი 3: მონაწილეთა სოციალური მონაცემები

მონაწილეთა რიცხვი	182
მონაწილეთა ასაკი	14 – 40
განათლება	სტუდენტი (მათ შორის საშუალო საფეხურის) – 76% უმაღლესი განათლების მქონე – 24%
სქესი	ქალი – 62% მამაკაცი – 38%
სმს-ის მომხმარებლები არიან:	3 – 5 წელია 35%

	5 წელი და მეტია 65%
კვირაში აგზავნიან:	5-ზე ნაკლებ შეტყობინებას – 7% 5-10 შეტყობინებას – 35% 10-30 შეტყობინებას – 40% 30-ზე მეტს – 18%
ყველაზე ხშირად შეტყობინებებს უგზავნიან:	მეგობრებს – 85% ოჯახის წევრებს – 5% კოლეგებს – 10%

ამგვარად, ჩვენს ხელთ არსებულ კორპუსში შემავალი მოკლე ტექსტური შეტყობინებები ეკუთვნის ფრანგულ ენაზე მოსაუბრე ახალგაზრდებს –სტუდენტებსა და უმაღლესი განათლების მქონე პირებს, რომელთაგან უმრავლესობა სმს-ის ხშირი მომხმარებელია და იყენებს მათ ძირითადად მეგობრებთან ურთიერთობისთვის.

თავი 3. ახალი სამეტყველო ფორმები

წერითი კომუნიკაციის ახალი ფორმა, რომელსაც სმს მიმოწერა წარმოადგენს, მასთან დაკავშირებული სიტუაცია და ტექნოლოგიური შეზღუდვები მომხმარებელს იძულებულს ხდის კანონიკურ ნორმებს გადაუხვიოს და წერითი მეტყველება ზეპირმეტყველებას დაუახლოვოს. ამგვარი გადახვევა დისკურსს უფრო ეფექტურს, ცოცხლსა და ექსპრესიულს ხდის.

მოცემულ თავში ჩვენს ხელთ არსებულ საკვლევ კორპუსზე დაფუძნებით განხილული იქნება მოკლე ტექსტური შეტყობინებების ენობრივი მახასიათებლები. აღნიშნული მახასიათებლები წარმოდგენილი იქნება, როგორც ახალი სამეტყველო ფორმები, რომლებიც ცხადყოფს ახალი ტექნოლოგიების შემოსვლასა და ენობრივ ცვლილებებს შორის მიზეზ-შედეგობრივ კავშირს.

ახალი სამეტყველო ფორმები გამოყოფილი იქნება შემდეგ ასპექტებში: 1. გრაფიკული ადაპტაციები, სადაც შევხებით ორთოგრაფიასა და ტიპოგრაფიას; 2. სინტაქსური ადაპტაციები და 3. ხატულები.

3.1. დისკურსი

რამდენადაც ფუნქციურად სმს მეტყველებისთვის დამახასიათებელი ენობრივი ფორმები მონაწილეობას იღებს სმს დისკურსის, როგორც სპეციფიური დისკურსული ფორმის, ჩამოყალიბებაში, საჭიროდ მიგვაჩნია, სამეტყველო ფორმების განხილვამდე შევჩერდეთ ზოგადად დისკურსის ცნებისა და კონკრეტულად სმს დისკურსის მოკლე მიმოხილვაზე.

3.1.1. დისკურსის ცნება და სტრუქტურა

დისკურსის შესწავლას ცენტრალური ადგილი უჭირავს თანამედროვე ენათმეცნიერებაში. აღნიშნული ცნების ფიქსირებული დეფინიცია არ არსებობს.

აქედან გამომდინარე აუცილებელია მისი განმარტება ჩვენი ნაშრომის ფარგლებში. ამისათვის ჯერ უნდა განვიხილოთ და ერთმანეთს შევადაროთ დისკურსის შესახებ არსებული ძირითადი კონცეფციები, შემდგომ კი ავირჩიოთ მათგან ჩვენი მიზნისთვის – სმს მეტყველების ენობრივი მახასიათებლების შესწავლისთვის – ყველაზე მისადაგებული.

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ დისკურსი ინტერდისციპლინარული შესწავლის საგანია. თეორიული ლინგვისტიკის გარდა დისკურსის კვლევასთან დაკავშირებულია ისეთი მეცნიერებები და სამეცნიერო მიმართულებები, როგორიცაა კომპიუტერული ლინგვისტიკა, ხელოვნური ინტელექტი, ფსიქოლოგია, ფილოსოფია, სოციოლოგია, ლიტერატურათმცოდნეობა, ისტორიოგრაფია, თეოლოგია. თუმცა აღნიშნული ტერმინის გამოყენება პირველად სწორედ ენათმეცნიერებმა დაიწყეს.

მე-20 საუკუნის 50-იან წლებში ემილ ბენვენისტმა გამონათქვამის თეორიის შექმნაზე მუშაობისას დაიწყო ფრანგული ენათმეცნიერებისთვის ტრადიციული ტერმინი ”დისკურსის” ახალი მნიშვნელობით ხმარება. ბენვენისტისთვის დისკურსი იყო მოსაუბრისათვის სპეციფიური მეტყველების ანუ მოსაუბრესა და გამონათქვამს შორის ურთიერთკავშირის მახასიათებელი (Бенвенист 2002). 1952 წელს ზელინგ ჰარისმა გამოაქვეყნა სტატია ”დისკურსის ანალიზი” (Harris 1952), რომელიც ეხებოდა ზეფრაზული ერთეულების მიმართ გამოყენებულ დისტრიბუციის მეთოდს. ამგვარად ჩამოყალიბდა დისკურსის სხვადასხვაგვარი გაგების ტრადიცია: ბენვენისტი დისკურსს მიიჩნევდა გამონათქვამში მოსაუბრის პოზიციის ექსპლიცირებად, ჰარისთან კი ანალიზის ობიექტი გახდა გამონათქვამთა თანმიმდევრობა, ტექსტის ნაწყვეტი, რომელიც წინადადებაზე მაღლა დგას.

ტერმინის პირველადმა მრავალმნიშვნელოვანობამ განაპირობა მისი სემანტიკის შემდგომი გაფართოება. 60-იან წლებში მიმელ ფუკომ ბენვენისტის იდეების საფუძველზე ჩამოაყალიბა დისკურსის ანალიზის საკუთარი ხედვა. მისი აზრით, მთავარია მოსაუბრის პოზიციის დადგენა არა გამონათქვამის

მიმართ, არამედ სხვა სუბიექტისა და გამოხატული იდეოლოგიის მიმართ (Фукo 1997). ამდენად, ფრანგული სკოლისთვის დისკურსი პირველ რიგში წარმოადგენს განსაზღვრული სოციალურ-პოლიტიკური ჯგუფისა თუ ეპოქისთვის დამახასიათებელი გამონათქვამის ტიპს (მაგ. რევოლუციური დისკურსი).

ტიენ ვან დეიკი დისკურსს განიხილავს საკომუნიკაციო ქმედების წერით ან ზეპირ ვერბალურ პროდუქტად (Ван Дейк 1989). ამ მხრივ იგი გარკვეულწილად ჰარისის მიმდევრად გვევლინება. ამგვარად, თანდათანობით დისკურსი გაიგება როგორც თავად საკომუნიკაციო პრაქტიკა – პროცესი და არა როგორც მისი პროდუქტი ან შედეგი. კომუნიკაციის პროდუქტს კი სულ უფრო ხშირად მოიხსენიებენ ტექსტის სახელწოდებით (Милевская 2002).

ტერმინი ”დისკურსი” აზრობრივად ახლოს დგას ”ტექსტთან”, თუმცა მისგან განსხვავებით ხაზს უსვამს ენობრივი ურთიერთობის დინამიურ ხასიათს. ამის საპირისპიროდ, ტექსტი ძირითადად მიიჩნევა სტატიკურ ობიექტად, ენობრივი ქმედების შედეგად. ზოგჯერ დისკურსი გაგებულია, როგორც ერთდოულად ორი კომპონენტის მომცველი: სოციალურ კონტექსტში არსებული ენობრივი ქმედების დინამიური პროცესი და მისი შედეგი (ანუ ტექსტი) (Fairclough 1992; Boswood 2002). დისკურსის ამგვარი სინთეზური გაგება გვეჩვენება ყველაზე პროდუქტიულად, რამდენადაც შესწავლის დროს დიალექტური მიდგომის გამოყენების საშუალებას იძლევა. ჩვენს შემთხვევაში კვლევის საგანს წარმოადგენს ენობრივი ქმედების პროდუქტი (მოკლე ტექსტური შეტყობინებები), მაგრამ თავად კვლევა წარმოუდგენელია ამგვარი ენობრივი ქმედების (შეტყობინებათა წარმოებისა და ინტერპრეტაციის) პროცესის სპეციფიურობის გათვალისწინების გარეშე.

შეიძლება აღინიშნოს, რომ დისკურსი არის ტექსტი, როგორც ქმედება. ამგვარად ტექსტი გვევლინება დისკურსის შუალედურ სტადიად. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ტექსტი დისკურსის, როგორც პროცესის, შედეგია (Милевская 2002). დისკურსი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დინამიკაა, ტექსტი კი სტატიკურია.

ტექსტი, როგორც სტატიკური ფორმა, გალპერინთან ასოცირებულია წერილობით მეტყველებასთან: "ტექსტი არის შედეგი დასრულებული სახის სამეტყველო პროცესისა, რომელიც ობიექტივიზირებულია წერილობითი დოკუმენტის სახით და ლიტერატურულად არის დამუშავებული აღნიშნული დოკუმენტის ტიპის შესაბამისად, როგორც გარკვეული მიზნისა და პრაგმატული მიმართულების მქონე ნაწარმოები, რომელიც შედგება სათაურისგან და სხვადასხვა ტიპის ლექსიკური, გრამატიკული, ლოგიკური, სტილისტური კავშირებით გაერთიანებული განსაკუთრებული ერთეულებისგან (ზეფრაზული ერთეულები)" (Галперин 1981: 139). ამგვარი განმარტება ზედმეტად ვიწრო გვეჩვენება მოკლე ტექსტური დისკურსის კვლევისთვის, თუმცა აღნიშნული დეფინიციიდან ავიღებთ მთავარს – ტექსტი არის სტატიკური და დასრულებული. ჩვენი კვლევის საგანი დიალექტურად მოიცავს თავის თავში დასრულებულობას, ანუ წერილობით დაფიქსირებულობას და დინამიურობას, პროცესუალობას, შეტყობინებების გაცვლა-გამოცვლის საკომუნიკაციო მიზანმიმართულობას სმს მიმოწერის ფარგლებში.

ტექსტისა და დისკურსის ურთიერთგამიჯვნის შესახებ სხვა მრავალი მოსაზრებაც არსებობს, ამ მხრივ ტერმინოლოგიური აპარატი საკმაოდ არასტაბილურია. მაგალითად, ბახტინი თვლის, რომ ფართო გაგებით ტექსტი არის ურთიერთკავშირში მყოფ ნიშანთა ნებისმიერი ერთობლიობა (Бахтин 1979). ვიწრო გაგებით კი (რასაც ჩვენც ვიყენებთ) ტექსტი არის ენობრივი ფორმების დასრულებული და დაფიქსირებული თანმიმდევრობა, რომელიც წერითი გამოხატვისკენ არის მიმართული.

დისკურსის გაგებასთან ახლოს არის ასევე ტერმინი "დიალოგი". დისკურსი, როგორც ნებისმიერი საკომუნიკაციო აქტი, გულისხმობს მინიმუმ ორი ძირითადი როლის არსებობას – ადრესანტისა (ავტორის) და ადრესატის. ამასთან, ადრესანტისა და ადრესატის როლები, შესაძლოა, რიგრიგობით გადანაწილდეს დისკურსის მონაწილე პირებზე; სწორედ ასეთ შემთხვევაში გვაქვს საქმე დიალოგთან. ხოლო თუკი დისკურსის მთელი მსვლელობისას ან მისი დიდი ნაწილის მანძილზე ადრესანტის როლი ერთსა და იმავე პირს აქვს

ადებული, ამგვარ დისკურსს მონოლოგს უწოდებენ. ჩვენს შემთხვევაში, ვიკვლევთ დიალოგურ სტრუქტურას, რამდენადაც სმს მიმოწერა ძირითადად ორ პირს შორის მიმდინარეობს. მართალია, არსებობს ცალმხრივი მოკლე ტექსტური შეტყობინებები, როგორიცაა, მაგალითად, სხვადასხვა კომპანიებისა თუ კომერციული ბანკების მიერ სარეკლამო ან საინფორმაციო მიზნით გამოყენებული სმს-ები, მაგრამ, ამ ტიპის ტექსტებს ჩვენს ნაშრომში არ განვიხილავთ.

თანამედროვე ენათმეცნიერება თანდათან სცილდება სოსიურისეული სკოლისთვის დამახასიათებელ შეზღუდული სახის ენობრივ მიდგომას და ანგარიშს უწევს იმ ფაქტს, რომ ენობრივი მოვლენის აღწერა უნდა მოხდეს მისი დისკურსული ასპექტის გათვალისწინებით. ლექსიკური ქმედების დისკურსული ფაქტორებით ახსნის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ რეფერენციალური არჩევანი, ანუ კონკრეტული პირისა თუ ობიექტის სახელდება დისკურსში: ამგვარი სახელდება შეიძლება შესრულდეს სრული სახელობითი ჯგუფის საშუალებით (საკუთარი სახელი ან აღწერა), ნაცვალსახელით ან ნულოვანი ფორმითაც კი. ამგვარი არჩევანი მხოლოდ ისეთი დისკურსული ფაქტორების თანხვედრით აიხსნება, როგორიც არის მაგ, თუ როდის მოხდა აღნიშნული ობიექტის (დისკურსის მონაწილის) უკანასკნელად სახელდება, აღნიშნული სახელდების როლი გამონათქვამში, მისი მნიშვნელობა მთლიანად დისკურსში. კოგნიტიურ-ლინგვისტურ მიდგომაში გამოთქმულია მოსაზრება იმის შესახებ, რომ ამგვარი ფაქტორები ერთიანდება რეფერენტის ინტეგრალურ მახასიათებლებად დისკურსის მოცემულ მომენტში, რომელიც შეიძლება აღიწეროს, როგორც მოსაუბრის მუშა მეხსიერებაში რეფერენტის აქტივაციის ხარისხი (Chafe 1976; Givyn 1976). დაბალი აქტივაციის დროს გამოიყენება სრული რეფერენცია, მაღალი აქტივაციისას კი – შეზღუდული (ნაცვალსახელი ან ნულოვანი რეფერენცია).

დისკურსული კონტექსტით განპირობებული ლექსიკური საშუალებების მეორე მაგალითია ე.წ. დისკურსული მარკერების ხმარება. ეს არის სპეციალური სიტყვები ან სიტყვათშეთანხმებები, როლებიც დისკურსის სტრუქტურას,

მოსაუბრის მენტალურ პროცესებს ("აი", "ასე ვთქვათ" და ა.შ.), ადრესატის მენტალურ პროცესებზე კონტროლს ("გესმის", "ზედებით") და ა.შ. და ა.შ. აღნიშნავენ.

დისკურსის შესწავლისას დგება დისკურსის ტიპებისა და კლასიფიკაციის საკითხი. ამ მხრივ პირველ და ყველაზე მთავარ გამოიყენას წარმოადგეს წერითი და ზეპირი დისკურსის დაპირისპირება. აღნიშნული გამოიყენა ინფორმაციის გადაცემის არხს უკავშირდება: ზეპირი დისკურსისთვის არხი არის აკუსტიკური, წერითისთვის – ვიზუალური. ზოგჯერ ენის გამოყენების ზეპირ და წერით ფორმებს შორის განსხვავება დისკურსსა და ტექსტს შორის განსხვავებას უტოლდება. თუმცა ორი სხვადასხვა დაპირისპირების ამგვარი აღრევა გაუმართლებელი გვეჩვენება. საკმარისია მოვიყვანოთ წერილობით დაფიქსირებული დისკურსის (მაგ. ჩვენი საკვლევი ობიექტი – მოკლე ტექსტური შეტყობინება, ინტერნეტ ფორუმი, ინტერნეტ ჩატი) ან ზეპირად გადმოცემული ტექსტის (მითები, ლეგენდები) მაგალითები.

მიუხედავად იმისა, რომ წერითმა მეტყველებამ შესაძლო გახადა კონცეპტუალური და აბსტრაქტული აზროვნება, სრულიად ცხადია, რომ ზეპირი დისკურსი ენის არსებობის ამოსავალი, ძირითადი ფორმაა, წერითი დისკურსი კი მასზეა აგებული. ბევრი არსებული ენა დღესაც რჩება წერითი ტრადიციების გარეშე ანუ მხოლოდ ზეპირი სახით არსებობს. თუმცა წერითი და ზეპირი დისკურსის, როგორც ენის არსებობის ორი ალტერნატიული ფორმის რეალური ურთიერთშეპირისპირება მხოლოდ 1970-იანი წლებიდან დაიწყო.

ინფორმაციის გადაცემის არხში განსხვავებას პრინციპულად მნიშვნელოვანი ზეგავლენა აქვს ზეპირი და წერითი დისკურსის პროცესებზე, ზეპირ დისკურსში წარმოება და გაგება სინქრონულად ხდება, წერითში კი – არა. ამასთან, წერის სიჩქარე თითქმის ათჯერ ნაკლებია, ვიდრე ზეპირმეტყველების, ხელო კითხვის სიჩქარე რამდენადმე აღემატება ზეპირმეტყველებისას. შედეგად, ზეპირ დისკურსში ადგილი აქვს ფრაგმენტაციას: მეტყველება ხდება ნაწყვეტ-ნაწყვეტად, ე.წ. ინტონაციური ერთეულების

თანმიმდევრობით, რომლებიც ერთმანეთისგან გამოიყოფა პაუზებით, გააჩნიათ შედარებით დასრულებული ინტონაციური კონტურები და, ჩვეულებრივ, ემთხვევა უბრალო პრედიკაციებს ან გამონათქვამებს. წერითი დისკურსის დროს კი ხდება პრედიკაციის ინტეგრირება რთულ წინადადებებში ან სხვა სინტაქსურ კონსტრუქციებში. ინფორმაციის გადაცემის არხთან დაკავშირებულ მეორე პრინციპულ განსხვავებას წარმოადგენს ადრესანტსა და ადრესატს შორის კონტაქტის არსებობა დროსა და სივრცეში: წერით დისკურსში ამგვარი კონტაქტი, როგორც წესი, არ არსებობს. შედეგად, ზეპირ დისკურსში ადგილი აქვს სიტუაციაში მოსაუბრისა და ადრესატის ჩართვას, რაც აისახება პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელების გამოყენებაში, სააზროვნო პროცესებსა და ემოციებზე მინიშნებებში, ჟესტებისა და სხვა არავარბალური ხერხების გამოყენებაში და ა.შ. წერით დისკურსში კი, პირიქით, დისკურსში აღწერილი ინფორმაციისგან ადრესანტისა და ადრესატის გამიჯვნა ხდება, რაც ნაწილობრივ გამოიხატება პასიური ფორმების ხშირ გამოყენებაში. უნდა აღინიშნოს, რომ ამ მხრივ სმს დისკურსი აერთიანებს როგორც ზეპირი ასევე წერითი კომუნიკაციის ნიშნებს.

წერითი და ზეპირი დისკურსის გარდა აღსანიშნავია კიდევ ერთი სახეობა: აზრობრივი დისკურსი. ადამიანს შეუძლია გამოიყენოს დისკურსი ისე, რომ არ წარმოქმნას ენობრივი ქმედების არც აკუსტიკური და არც გრაფიკული კვალი. ამ შეთხვევაში საქმე გვაქვს ენის კომუნიკაციურ გამოყენებასთან, რომლის დროსაც ადრესანტიც და ადრესატიც ერთი და იგივე პირია.

დღეისთვის დისკურსულ ანალიზში ძალზე ხშირად გამოიყენება ჟანრის ცნება. აღნიშნული ტერმინი თავიდან ლიტერატურათმცოდნეობაში იხმარებოდა ისეთი ნაწარმოებების განსასხვავებლად, როგორებიც არის, მაგ. ესსე, ნოველა რომანი და ა.შ. ბახტინმა ტერმინი ”ჟანრის” უფრო ფართო გაგება შემოიტანა, რომელიც გასცდა ლიტერატურის ფარგლებს. სამეტყველო ჟანრი წარმოადგენს სამეტყველო ნაწარმოებების (ტექსტების ან გამონათქვამების) ერთობლიობას, რომელსაც ერთი მხრივ გააჩნია სხვა ჟანრებისგან განმასხვავებელი სპეციფიური შტრიხები, მეორე მხრივ – გარკვეული საერთო მახასიათებლები, რაც

განპირობებულია ჟანრების გარკვეული ჯგუფის ამა თუ იმ ფუნქციური სტილისადმი კუთვნილებით (Бахтин, 1979).

ჟანრების ფილოლოგიური კლასიფიცირების მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ საყოფაცხოვრებო დიალოგი, მოთხრობა (ნარატივი), ხელსაწყოს გამოყენების ინსტრუქცია, ინტერვიუ, რეპორტაჟი, მოხსენება, ლექსი, რომანი და ა.შ. ჟანრებს გააჩნიათ ზოგიერთი საკმაოდ მყარი მახასიათებელი. მაგალითად, მოთხრობას პირველ რიში უნდა ჰქონდეს სტანდარტული კომპოზიცია (კვანძის შეკვრა, კულმინაცია, კვანძის გახსნა), მეორე მხრივ კი გააჩნია ისეთი ენობრივი მახასიათებლები, როგორიცაა დროში თანმიმდევრული მოვლენები, რომლებიც აღწერილია ერთნაირი გრამატიკული ფორმებით (მაგ. წარსულ დროში მყოფი ზმნებით) და რომელთა შორის არსებობს დამაკავშირებელი ელემენტები (მაგ. კავშირი "შემდეგ").

ზეპირმეტყველების ფუნქციურ-სტილისტურ სახეობებში სამეტყველო ჟანრები ერთმანეთს არც თუ ისე მკვეთრად ემიჯნება, როგორც ეს ხდება წერით სამეტყველო ჟანრებში. ამას გარდა, ზეპირმეტყველების ჟანრულ-სტილისტური მრავალფეროვნება ჯერ კიდევ არ არის სრულყოფილად შესწავლილი. თუმცა ამ სფეროში არსებული კვლევების შედეგები საშუალებას იძლევა ზეპირმეტყველების შემდეგი ჟანრების გამოყოფისა: მოსაუბრის რაოდენობისა და საუბარში მათი ჩართულობის მიხედვით გამოყოფენ თხრობას, დიალოგსა და პოლილოგს; მიზანმიმართულების, სიტუაციის ხასიათისა და მოსაუბრეთა სოციალური როლების მიხედვით შეიძლება გამოიყოს, მაგალითად, ისეთი სახეობები, როგორიცაა ოჯახური საუბრები, პროფესიულ თუ ყოველდღიურ თემებზე დიალოგი, მოზრდილი ადამიანის საუბარი ბავშვთან, ადამიანის საუბარი ცხოველთან და ა.შ. როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, ჩვენი კვლევის საგანი – მოკლე ტექსტური დისკურსი – ამ თავალსაზრისით წარმოადგენს ყოველდღიურ თემებზე დიალოგს: შეტყობინებით გამგზავნი მიმართავს მიმღებს და, ხშირ შემთხვევაში, ელის მისგან პასუხს.

მიუხედავად იმისა, რომ ჟანრების თეორიის შესახებ ბევრი ნაშრომი არსებობს, ჟანრის საერთო განსაზღვრება ჯერ კიდევ არ არის შემუშავებული, ღიად რჩება ჟანრთა ტიპოლოგიისა და აღწერის პრინციპებთან დაკავშირებული საკითხები (Казакова, 2005).

კიდევ ერთი პრობლემა უკავშირდება დისკურსის სტრუქტურას. სტრუქტურის ორი ძირითადი დონე უნდა განირჩეს: მაკროსტრუქტურა, ანუ გლობალური სტრუქტურა, და მიკროსტრუქტურა, ანუ ლოკალური სტრუქტურა. დისკურსის მაკროსტრუქტურა მის შედრებით დიდ შემადგენელ ნაწილებად დაყოფას უკავშირდება: ეპიზოდები თხრობაში, აბზაცები საგაზეთო სტატიაში, რეპლიკათა ჯგუფები ზეპირ დიალოგში, ქვეგანყოფილებები ინტერნეტ ფორუმებში და ა.შ. დისკურსის დიდ ფრაგმენტებს შორის შეიმჩნევა საზღვრები, რომლებიც გამოყოფილია ზეპირმეტყველებაში შედარებით გრძელი პაუზებით, წერით მეტყველებაში – გრაფიკული საშუალებებით, სპეციალური ლექსიკური ფორმებით. დისკურსის ამგვარი ფრაგმენტების შიგნით არსებობს თემატური, რეფერენციული, მოვლენათა, დროითი, სივრცითი და ა.შ. ერთიანობა.

ვან დეიკის (Van Deyk 1989) მიხედვით მაკროსტრუქტურა – ეს არის დისკურსის ძირითადი შინაარსის გავრცობა, რომელსაც აგებს ადრესატი გაგების პროცესში. მაკროსტრუქტურა წარმოადგენს თანმიმდევრობას მაკროპროპოზიციებისა, ანუ პროპოზიციებისა, რომლებიც ამოსავალი დისკურსის პროპოზიციისგან წარმოადგება გარკვეული წესების მიხედვით (ე.წ. მაკროწესები). ამგვარი წესებია: შემოკლების (უსარგებლო ინფორმაციის), გავრცობის (ორი ან მეტი ერთგვაროვანი პროპოზიციისა) და აწყობის (ანუ რამდენიმე პროპოზიციის ერთ პროპოზიციად გაერთიანება) წესები. მაკროსტრუქტურა იგება იმგვარად, რომ წარმოქმნას სრულფასოვანი ტექსტი.

დისკურსის მაკროსტრუქტურის საპირისპიროდ, მიკროსტრუქტურა არის დისკურსის დაყოფა ისეთ მინიმალურ შემადგენლებად, რომლებსაც გარკვეული აზრი აქვს დისკურსის დონეზე. თანამედროვე მიდგომების უმრავლესობაში ამგვარ მინიმალურ ერთეულებად მიიჩნევენ ელემენტარულ პრედიკაციებს

(კლაუზებს) (Hopper and Thompson 1980). ამგვარად დისკურსი წარმოადგენს კლაუზების ჯაჭვს.

დისკურსის მიკროსტრუქტურას ასევე მიეკუთვნება გრამატიკული და პროსოდიული მოვლენები, რომლებიც დისკურსული ფაქტორების გავლენის ქვეშაა: რეფერენცია, ანაფორა, თემა და რემა, გვარი, სიტყვათა რიგი, მთავარი და დამოკიდებული პრედიკაციები, წინადადების პროსოდია.

საბოლოო ჯამში ჩვენი კვლევის ობიექტის შემთხვევაში საქმე გვაქვს ზეპირ-წერით დისკურსთან, რომელიც წარმოდგენილია ისეთი სამეტყველო ჟანრის სახით, როგორიც არის დიალოგი. თუკი გავითვალისწინებთ მიკრო და მაკროსტრუქტურის შესახებ ზემოთმოყვანილ მსჯელობას, შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ ვიკვლევთ მოკლე ტექსტური დისკურსის მიკროსტრუქტურას, კერძოდ კი მის ორთოგრაფიულ, სინტაქსურ და პროსოდიულ მხარეს.

ჩვენი გაგებით, დისკურსის ცნების სპეციფიურობა მდგომარეობს მის პროცესუალობასა და დინამიურობაში და, რაც მთავარია, დისკურსის ადრესატისა და ადრესანტის პიროვნებებთან და მათ სოციოკულტურულ კოტექსტთან უშუალო კავშირში.

3.1.2. მოკლე ტექსტური დისკურსის საკომუნიკაციო მახასიათებლები

მოკლე ტექსტური დისკურსის, როგორც ურთიერთობის კონკრეტული სახეობის, შემადგენელი შემდეგი საკომუნიკაციო ნიშან-თვისებები შეიძლება გამოვყოთ:

1. ილოკუციური ხასიათი: შეტყობინებების უმრავლესობა წარმოადგენს ან წინა შეტყობინების პასუხს, ან კიდევ გულისხმობს საპასუხო შეტყობინებას.
2. სიგნალის გადაცემის ციფრული არხი.

3. დისკურსის მონაწილეთა შორის ნაცნობობა: განსხვავებით ინტერნეტ კომუნიკაციისაგან, სადაც, როგორც წესი, საუბარი მყარდება უცნობ მოსაუბრესთან (რომელიც შეიძლება შემდეგ ნაცნობიც გამოდგეს).

4. დისტანციურობა, რამდენადაც დისკურსის მონაწილეები ერთმანეთისგან დაშორებული არიან დროსა და სივრცეში.

5. გაშუალებული ურთიერთობა, რამდენადაც კომუნიკაცია მიმდინარეობს მობილური აპარატის საშუალებით.

6. სხვადასხვა ტიპის დისკურსების კომბინაცია: ყოფითი, საქმიანი, სარეკლამო, ლიტერატურული, პოლიტიკური და ა.შ.

7. წერითი და ზეპირი მეტყველების დიალექტიკური ერთობლიობა, რადგან ფორმალურად შეტყობინების ტექსტი დაფიქსირებულია ანბანურ-ციფრული ნიშნებით და ვიზუალურად აღიქმება; ზეპირმეტყველება კი არის იმდენად, რამდენადაც უშუალო კომუნიკაციას წარმოადგენს, იყენებს ჟესტების, მიმიკების, ინტონაციისა და სხვა არავერბალური მონაცემების გამოსახატად პარაგრაფებულ შემცვლელებს (ხატულები, პუნქტუაცია და ა.შ). გამონათქვამები ხშირად იყოფა არა წინადადებებად, არამედ ინტონაციურ ერთეულებად – პრედიკაციებად, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში პუნქტუაციით არის ერთმანეთისგან გამოყოფილი. ამგვარი ტიპის ურთიერთობას შეიძლება ვუწოდოთ წერითი ზეპირმეტყველება.


ჩამოთვლილი მახასიათებლები განსაზღვრავს მოკლე ტექსტური სერვისით ურთიერთობის სპეციფიურობას და განასხვავებს მას ელექტრონული თუ არაელექტრონული კომუნიკაციის სხვა სახეებისგან.

ზემოთ ჩამოთვლილი საკომუნიკაციო თავისებურებებიდან გამომდინარეობს მოკლე ტექსტური დისკურსის ორთოგრაფიული, სინტაქსური და პროსოდიული თავისებურებები, რომელთა აღწერაც იქნება წარმოდგენილი ჩვენი კვლევის შემდგომ ეტაპებზე.

3.1.3. მოკლე ტექსტური შეტყობინებების კომუნიკაციური ფუნქციები

საკვლევი კორპუსის ანალიზიდან გამომდინარე, მოკლე ტექსტური შეტყობინებების კომუნიკაციური ფუნქციების 3 ძირითად კატეგორიად დაჯგუფება შეიძლება: ინფორმაციის გაცვლა, სოციალური დაგეგმვა და ინტერპერსონალური ურთიერთობა. თითოეული ზემოთჩამოთვლილი ფუნქცია არ გამოირიცხავს სხვა ფუნქციის თანაარსებობას შეტყობინებაში. საკვლევ კორპუსში შემავალი შეტყობინებების 49% გაგზავნილია ინტერპერსონალური ურთიერთობების შენარჩუნების მიზნით, 26% მიზნად ისახავს შეხვედრების, სატელეფონო საუბრებისა და ა.შ. დაგეგმვას, ხოლო 20% ინფორმაციის გაცვლის ფუნქციას ასრულებს. დანარჩენი 5% საპასუხო შეტყობინებებს წარმოადგენს (იხ. დიაგრამა 1).

დიაგრამა 1: შეტყობინებათა ფუნქციები



ინტერპერსონალური ურთიერთობების კატეგორიაში ჭარბობს:

– სასიყვარულო შეტყობინებები, მათ შორის სიყვარულის ახსნა, ურთიერთობის გარკვევა, პატიების თხოვნა და ა.შ.:

(3) Oh, flora 2pui ke je t vu, J TM, tu é belle comme une fleur, é tu é si mignone, ke a chake foi ke je te regarde, mon coeur se met a battre plus vite ke les ailes dun oiseau. JTM. maxime... (ki te le dit du fond du coeur)

(9) si on me demandè de choisir entr toi é ma vi g choisiré ma vi é toi tu ten iras san savoir ke sè toi ma vie.gtèèmmm

– მეგობრული მოკითხვები, ბოდიშის მოხდა, მადლობის გადახდა და ა.შ.:

(2) Just un ti msg pr dir ke tt va bien la on ecoute un live ds un bar biz.

(67) Hi,ComenVaTuTreUmblAmi ?

– მილოცვები:

(48) ce jour la c'est un des jours plus importants dans ma vie .car c'est le jour de votre naissance cher amie je te souhaite la grande reussite

(73) JeTécrisJoyeuxAnniversaire

სოციალური დაგეგმვის კატეგორია მოიცავს ძირითადად შეხვედრებისა და სატელეფონო საუბრების დროისა და ადგილის დაგეგმვას:

(5) On se voit 2main, ok ?

(119) Je te télérai a 13h.

(120) jpeu vnir ms ke jusk genr12h

ინფორმაციის გაცვლის კატეგორიაში გაერთიანებულია შეტყობინებები, რომლებშიც გარკვეული ინფორმაციის მოთხოვნა ან გადაცემა გვხვდება:

(103) tu peux me donner ton numero in order to call you tomorrow?

(170) oui, je sais. mais elle arrive demain et n'a pas de temps.

საკვლევი კორპუსის 5% წარმოადგენს საპასუხო შეტყობინებებს. ამ კატეგორიაში განვიხილავთ ერთმანეთის საპასუხოდ გაგზავნილ შეტყობინებებს.

მათგან მხოლოდ პირველი შეტყობინების კატეგორიზებას ვახდენთ რომელიმე კატეგორიაში, დანარჩენს კი განვიხილავთ, როგორც საპასუხო შეტყობინებას. მაგ.

(178) A. ta son numero ? sinon je vai demander

(179) B. Non, oui, jten pris. ta fini ?

(180) A. ok, non, non, jaten encore

ორ მომხმარებელს შორის გაგზავნილი აღნიშნული სამი შეტყობინება ერთმანეთის საპასუხოა. მათგან პირველს განვიხილავთ ინფორმაციის გაცვლის კატეგორიაში, დანარჩენ ორს კი საპასუხო შეტყობინებებად.

როგორც ვხედავთ, შეტყობინებათა უმეტესი ნაწილი ინტერპერსონალური ურთიერთობის მიზნით არის გაგზავნილი. მათგან უმეტესობა სასიყვარულო ან მეგობრული ხასიათისაა. ამ კატეგორიაში თითქმის არ გვხვდება ოჯახის წევრებს შორის მიმოწერა, რისი მიზეზიც სავარაუდოდ არის ის, რომ სმს სერვისს ძირითადად იყენებენ თინეიჯერები, ხოლო მშობლების თაობაში იგი ნაკლებად პოპულარულია და მხოლოდ განსაკუთრებული, პრაქტიკული მიზნებისთვის გამოიყენება (მაგ. შეხვედრების დაგეგმვა ან აუცილებელი ინფორმაციის გადაცემა).

3.2. გრაფიკული ადაპტაციები

მოცემული თავის მიზანია მოკლე ტექსტური შეტყობინებებისთვის დამახასიათებელი გრაფიკული თავისებურებების გამოვლენა. თავდაპირველად შევჩერდებით მოცემული ენის “ფონურ” და “გრაფიკულ” განზომილებებს შორის კავშირის შესახებ თეორიულ და მეთოდოლოგიურ კონცეფციებზე. შემდგომ წარმოვადგენთ კორპუსის მონაცემების ანალიზს, რომელსაც პირობითად ორ ნაწილად დავყოფთ: ორთოგრაფიული და ტიპოგრაფიული ადაპტაციები. მართალია, ეს ორი ნაწილი ერთმანეთს ბევრ საკითხში გადაკვეთს, მაგრამ მათი

გამიჯვნა მხოლოდ და მხოლოდ ”მოსახერხებლობის” პრინციპიდან გამომდინარე გადაწყვეტეთ.

3.2.1. თეორიული და მეთოდოლოგიური ელემენტები

3.2.1.1. გრაფიკულ კვლევათა თეორიული კონცეფციები

თეორიული კონცეფციები, რომლებსაც გრაფიკული კვლევები ეყრდნობა, აღიარებს ზეპირმეტყველებასთან კავშირის აუცილებლობას. ჟ. ანისის მიხედვით, გრაფიკული აღწერის სამ ძირითად კონცეფციაზე შეიძლება ვილაპარაკოთ: ფონოცენტრიზმზე, ფონოგრაფიზმსა და ავტონომიზმზე. მოცემული კონცეფციები წარმოადგენს ერთ მთლიანობას, რომელიც თანდათანობით აყალიბებს ჩაწერილ ენას, როგორც ზეპირი ენისგან მეტ-ნაკლებად გამოყოფილ ობიექტს.

- ფონოცენტრიზმი [...] წერით ენას განიხილავს, როგორც ზეპირი ენის დეფორმირებულ წარმოდგენას.
- ფონოგრაფიზმი [...] წერით ენას განიხილავს, როგორც სასაუბრო ენის სტრუქტურულ წარმოდგენას და ასევე ჩაირთავს სპეციფიურ მახასიათებლებს.
- ავტონომიზმი [...] წერით ენას განიხილავს, როგორც სასაუბრო ენასთან ინტერაქციაში მყოფ სპეციფიურ სისტემას (Anis 1988:77).

აქედან ფონოგრაფიზმი ყველაზე უკეთ მისდევს “თანამედროვე ლინგვისტიკის მთავარ პრინციპს – ზეპირი მეტყველების პირველობას – და ემპირიულ ვალიდაციას.” (Anis 1988: 83). ფონოცენტრული კონცეფცია კი (რომლისთვისაც ენა მხოლოდ ზეპირმეტყველებასთან იდენტიფიცირდება), რომლის ერთერთი წარმომადგენელია რ. იაკობსონი, ყველაზე ახლოსაა ისტორიული და შედარებითი ლინგვისტიკისთვის დამახასიათებელ მიდგომებთან, სადაც მთავარი ადგილი წერას ეკავა.¹⁶ ავტონომისტური მიდგომა, რომლის განვითარებასაც გვთავაზობს ანისი (Anis 1981) 80-იანი წლების

¹⁶ ანისი აღნიშნავს, რომ პოზიცია, რომლის მიხედვით მხოლოდ წერითი მეტყველება არის ენა, “არ იყო როგორც ასეთი თეორიზირებული, არამედ ე.წ. ტრადიციული გრამატიკის ზოგიერთი მიდგომიდან გამომდინარეობდა” (Anis 1990: 213.).

დასაწყისში, არ არის ისტორიულ საფუძველს მთლიანად მოკლებული. იგი ზეპირ და წერით მეტყველებას შორის კავშირს არ განიხილავს როგორც ენის აღწერისთვის თეორიულ აუცილებლობას: სწორედ ამაში მდგომარეობს მისი ავტონომია.

“ამ ჩარჩოში [ავტონომიზმი] ფონემასა და გრაფემას შორის უნდა დამყარდეს არა დამოკიდებულება, არამედ პარალელიზმი [...]” (Anis 1988:83)

“ძირეული პოსტულატი არის ის, რომ ფრანგულს – და ეს ჭეშმარიტება ვრცელდება ყველა განვითარებულ ენაზე მისი გრაფო-ფონური შესატყვისობების რეგულარობის მიუხედავად – გააჩნია ფონური ექსპრესიის ფორმა და გრაფიკული ექსპრესიის ფორმა, რომლებიც მიუხედავად იმისა, რომ ინტერაქციაში არიან ერმანეთთან, შესაძლოა გაანალიზებული და აღწერილი იქნას დამოუკიდებლად.” (Ibid. 85-86).

ფონოგრაფისტული პოზიციის ჩარჩოში, რომელზეც საუბრობს კატაჩი (Catach 1990), შეუძლებელია თეორიული ავტონომიის არსებობა წერით და ზეპირ მეტყველებას შორის.

სამივე პოზიცია, რომლებსაც მოკლედ შევხვით, აღიარებს ენაში ფონიასა და გრაფიას შორის კავშირის არსებობას. თუმცა, გრაფემის, როგორც ყველაზე მცირე გრაფიკული ერთეულის განსაზღვრება განსხვავებულია ისევე, როგორც განსხვავებული ჩანს აღწერითი თვალაზრისი. ავტონომისტურ მიდგომაში ეს განსაზღვრება ფონური დონისგან დამოუკიდებელია, მაშინ როდესაც ფონოგრაფისტულ მიდგომაში ამ დონესთან კავშირი შენარჩუნებულია.

სანამ უფრო დეტალურად განვაგრძობდეთ გრაფიკული აღწერის ამ ორი მიდგომის შესახებ საუბარს, საჭიროა დავაზუსტოთ ზოგიერთ ტერმინს შორის განსხვავება, რომლებსაც ხშირად ერთმანეთის მაგივრად იყენებენ. ამგვარი განსხვავება - ერთი მხრივ “წერა/ზეპირის” მატერიალურობის აღმნიშვნელ ეტიკეტებსა და მეორე მხრივ “წერა/ზეპირის” ცვლილების აღმნიშვნელ სახელწოდებებს შორის - უკეთ დაგვანახებს, თუ რა გაუგებრობებს შეიძლება

ჰქონდეს ადგილი და რით შეიძლება ლინგვისტური ანალიზი ზოგადად დაკავშირებულ იქნას გრაფიკულ დონესთან.

თუკი მხოლოდ ფრანგულის შემთხვევას განვიხილავთ, მკვლევართა უმეტესი ნაწილი თანხმდება იმაზე, რომ ზეპირი (სპონტანური, ჩვეულებრივი ზეპირი) და წერა (სტანდარტული წერა) ერთი და იმავე ენის ორ განსხვავებულ ვარიაციას წარმოადგენს. და თუ ენა გაგებული იქნება როგორც სისტემა (როგორც ეს ხდება, ჩვეულებრივ, მეტ-ნაკლებად კომპლექსური კონცეფციების მიხედვით, სინქრონიაში), ეს ორი ვარიაცია გამომდინარეობს ორი ქვე-სისტემიდან, რომლებსაც ერთმანეთს შორის გარკვეული კავშირი აქვთ. მიუხედავად ყოველივე ამისა, ორ ქვე-სისტემას შორის განსხვავებულობისა და სიახლოვის საკითხი მაინც პრობლემატური რჩება 60-იანი წლების დასასრულიდან მოყოლებული, როცა დაიწყო ამ ტიპის კვლევების აღმოცენება, კერძოდ ლექსიკურ და მორფოსინტაქსურ დონეებზე.

მკვლევარებს შორის არსებობს კიდევ ერთი კონსენსუსი წერასთან დაკავშირებით: ისტორიულად, აღმოცენების მხრივ, ზეპირმეტყველება უსწრებს წერას. აზაელ-მასიეს (Hazaël-Massieux 1993) აზრით წერა აღმოცენდება თანდათანობით და გაივლის ჩაწერის (ტრანსკრიფცია) სტადიას, მაშინ, როდესაც ზეპირი ენა უბრალოდ ჩაიწერება, ყოველგვარი დამუშავების გარეშე, რაც რეალურად განაპირობებს შემდგომში წერითი ენის აღმოცენებას. ამგვარი მიდგომა საჭიროებს გარჩევას “გრაფირებულ” თუ “სამეტყველო” არხებს (ანუ მატერიალურობას) შორის. ყველა წერითი ენა შეიძლება იყოს “გრაფირებული” (უფრო ხშირად) ან “სამეტყველო” (იშვიათად) და ყველა ზეპირი ენა შეიძლება იყოს სალაპარაკო (ხშირად) ან გრაფირებული (იშვიათად). აქედან გამომდინარე, და რაც ყველაზე მეტად გვაინტერესებს ჩვენს შემთხვევაში, ყველაფერი რაც გრაფირებულია (ანუ გრაფიკული ხასიათისაა) არ მიეკუთვნება აუცილებლად წერით მეტყველებას (შეიძლება ადგილი ჰქონდეს უბრალოდ ჩაწერას (ტრანსკრიფციას), ანუ სუბსტანციის უბრალო ცვლილებას).

აქედან გამომდინარე, ჩანს, რომ ზეპირსა და წერას შორის სიახლოვე თეორიულად წერითი მეტყველების განვითარების პროცესში უფრო დიდია, ვიდრე ამ პროცესის დასრულებისას. წერა - მოცემული ენის გრაფიკული სისტემა და ორთოგრაფია თანდათან შესაძლოს ხდის ზეპირისგან უფრო და უფრო ავტონომიური წერის ჩამოყალიბებას, რომლის სინტაქსური ფუნქციონირების წესები ნაწილობრივ განსხვავებულია.

ისტორიული თვალსაზრისით საინტერესოა იმის აღნიშვნა, რომ ტრადიციულად, თუკი, ანალიზის ერთ-ერთ ყველაზე “მაღალ დონეზე” (მხედველობაში გვაქვს სინტაქსი) წერა ორიენტირად ემსახურება (იმპლიციტურად) ენის შესწავლას ყველაზე “დაბალ დონეზე”, პრიორიტეტულად შესწავლილია სწორედ ფონური მასალა (აქედან გამომდინარე წარმოადგენს ერთგვარ ორიენტირს გრაფიკული შესწავლისათვის). საინტერესოა ლინგვისტური ანალიზის ორ ურთიერთგანსხვავებულ დონეს შორის ხედვათა ამგვარი ჯვარედინი ინვერსია. შეიძლება გაჩნდეს კითხვა, ხომ არ არის ეს გადაჯვარედინება (რაც მეთოდოლოგიურ პლანში პრობლემატურად შეიძლება ჩანდეს, განსაკუთრებით არაკომპლექსური მიდგომისას) ენის აგების ერთგვარი მანერა. აქედან გამომდინარე, როგორი იქნებოდა ეს კოსტრუქცია საფუძვლების გადაადგილების შემთხვევაში? რამდენადაა ეს შესაძლებელი? ამ შეკითხვებზე ნათელის მოფენას შევეცდებით ჩვენს მიმოხილვაში.

დავუბრუნდეთ ავტონომისტურ და ფონოგრაფისტულ კონცეფციებს, რომლებიც განსაკუთრებით გვაინტერესებს იმდენად, რამდენადაც ენის კონცეპტუალიზაცია ყოველთვის მხედველობაში იღებს სალაპარაკო (ანუ ფონურ) და გრაფიულ (ანუ გრაფიკულ) განზომილებას. ამ აშკარა სიახლოვის გარდა მთავარი სხვაობა მდგომარეობს იმაში, გამოყენებულია თუ არა გრაფიკული დონის აღწერაში ფონური დონე.

ავტონომისტურ მიდგომაში ფონური დონე გამოიყენება გრაფიკული აღწერისას, ფონოგრაფისტული მიდგომის შემთხვევაში კი – არა. სწორედ ამაში მდგომარეობს ამ ორ მიდგომას შორის მთავარი “მეთოდოლოგიური” განსხვავება.

ორი მეთოდოლოგიური განსხვავების მიღმა იკვეთება ორი სხვადასხვა ხედვა. პირველ შემთხვევაში ფონია და გრაფია თანაბარ ნაწილებად არის მიჩნეული (მიუხედავად იმისა, რომ ფონური ასპექტი პირველ ხანებში არავითარი უფლებით არ სარგებლობს).¹⁷ მეორე შემთხვევაში აღწერა ორიენტირებულია გრაფიკულ სპეციფიურობებზე (რაც მოიაზრებს იმას, რომ გრაფია დაქვემდებარებულია ფონურ პლანს, რომელიც ერთგვარად “ამოსავალი ინსტრუმენტის” ფუნქციას ასრულებს გრაფიკული შესწავლისთვის): საბოლოოდ ეს სპეციფიურობები დანახულია ანისის მიხედვით, როგორც “ნაშთი... ან დანაშატი” (Anis 1984: 8).

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ავტონომისტურ მიდგომას აქვს ტენდენცია იგნორირება გაუკეთოს ფონიას და დამოუკიდებლად განიხილოს გრაფია დისტრიბუციონალური მეთოდის მიხედვით:

“კლასიკური სტრუქტურული მეთოდები – გამოყენებული ფონოლოგიაში – შესაძლოა მიესადაგოს წერით გამონათქვამებს: მინიმალური წყვილების მეთოდი, განმასხვავებელი შტრიხების ძებნა, დისტრიბუციათა შესწავლა...” (Anis 1998:86).

ფონოგრაფისტული მიდგომა კი, გამუდმებით გვახსენებს ორ პლანს შორის კავშირს, და განსხვავებებს გრაფიის სპეციფიურობებს უკავშირებს.

ამგვარად, შეგვიძლია დავუბრუნდეთ წერას, გრაფიკულ სისტემასა და ორთოგრაფიას შორის დამოკიდებულების საკითხს. თუკი კატაჩის (Catach 1979: 5) მსგავსად წერას მივიჩნევთ ერთდროულად გრაფიკული ნიშნების სისტემისა

¹⁷ გრაფემების თითოეული ტიპისთვის “გამოიყენება ფონოგრაფისტული მიდგომა, რომელიც ფორმულირებულია ტრანსპოზიციის წესების სახელით” (Anis 1988: 86). ამ შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ტერმინ “ტრანსპოზიციას” “შესაბამისობასთან” შედარებით (რომელიც შეიცავს წმინდად ფორმალური თარგმანის აზრს). უნდა დავაზუსტოთ, რომ ავტორი განიხილავს გრაფემატულ ველს, როგორც შემდეგი ნაწილების შემცველს: 1) “ცენტრალური ბირთვი”, ავტონომიური გრაფემატიკა, 2) “გაგრძელება, ანუ გაფართოებული ანუ ტექსტუალური გრაფემატიკა, “ახდენს გრაფიკული მიკრო-სისტემების ანალიზს, რომელიც ხასიათდება განსაკუთრებით პონქტუო-ტიპოგრაფიული ფაქტორების თავისებური გამოყენებით, ასევე არალინგვისტურ გრაფიკულ სისტემებთან ინტერფერენციით (არალინგვისტური წერა და იკონოგრაფია), და 3) “დამხმარე დისციპლინა (გრაფემატიკასა და ფონოლოგიასთან მიმართებაში: ფონოგრაფემატიკა.” (Ibid: 86-87).

და (ორთოგრაფიული) წესების სისტემის შემცველად, მაშინ ფონოგრაფისტული მიდგომა მოიცავს ავტონომისტურ მიდგომას (რომელიც ნიშანთა სისტემას განიხილავს) და აქედან გამომდინარე, ნათელი ხდება კატაჩისეული ხედვით რატომ არის “წერა [...] სოციალური კონვენცია” (Catach 1979: 5). ვფიქრობთ, რომ ამ ორ მიდგომას შორის დებატები ძირეულად უკავშირდება შემდეგ ფუნქციონალისტურ საკითხს (ცნობილია, რომ ორივე ეს ხედვა საფუძველს იღებდა პრადის ფუნქციონალისტური სკოლიდან): რა წერტილამდე შეიძლება მოხდეს ნიშანთა სისტემის შესწავლის იზოლირება წესების სისტემის შესწავლისგან, რომლებიც ნაწილობრივ მაინც ახდენს პირველთა ფუნქციონირების რეგულირებას? ფრანგულის შემთხვევაში აღმოჩნდა, რომ გრაფიკული სისტემის ძირითადი ნაწილი არ არის, ფონოგრაფისტული თვალსაზრისით, წესების სისტემით დეტერმინირებული. ცოტა არ იყოს პარადოქსულია, მაგრამ ეს შესაძლოს ხდის ავტონომისტურ მიდგომას.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს ორი მიდგომა ურთიერთგანსხვავებულობის გარდა ურთიერთდამატებებიც არის, რაც გვაგონებს კომუნიკაციური მოდელების წარმომქმნელ და მიმღებ მხარეებს შორის არსებულ დამოკიდებულებას.

3.2.1.2. ფრანგული ენის გრაფიკული სისტემა და გრაფემების ტიპოლოგია

ფონოგრაფისტულ ჩარჩოში ფრანგული ენის გრაფიკული სისტემა ემყარება გრაფემების სამ ძირითად ტიპს, რომელთა წარმოდგენისთვის დავყვრდნობით ს. გრუაზეს (Catach 1979: 20) განსაზღვრებებს:

- **ფონოგრამები:** “ფონემების ჩაწერის ფუნქციის მქონე გრაფემები. ფონოგრამები შეიცავს *არქიგრაფემებს* და მათ პოზიციონალურ *ვარიანტებს*; მათი ხმარება რეგულირებულია პოზიციის წესებით. მაგ. “g” სიტყვაში “gare”, “gu” სიტყვაში “gué.” ისინი წარმოადგენს “კონკრეტული ტექსტის ნიშანთა 80-85 %-ს” (Catach 1980: 27).

არქიგრაფემა არის “ბაზისური გრაფემა, რომელიც წარმოადგენს ერთი და იმავე ფონემისა და არქიფონემის შესაბამის გრაფემათა ერთობლიობას. მაგ. o-ს, ô-ს, au-სა და eau-სათვის - O.

ეს ერთობლიობა შეიძლება მხოლოდ ერთ ელემენტს შეიცავდეს (მაგ. GN, რომელიც წარმოადგენს gn-ს). ფრანგულში ამას ემატება სამი გრაფიკული ფენომენი: X, OI, OIN, რომელთაგან თითოეული ორ ფონემას შეესაბამება. არქიგრაფემა აღნიშნულია ასომთავრულით (O).”; (Ibid.: 27-28).

- **მორფოგრამები:** “მორფოლოგიური ნიშნები. მდებარეობს ძირითადად სიტყვათა შეხვედრის ადგილზე რათა მოახდინოს მათი გაძლიერება, გრაფიკულად იდენტურები რჩება იმისდამოუხედავად წარმოითქმება თუ არა” (Ibid.: 28). მორფოგრამა შეიძლება იყოს გრამატიკული (მაგ. t - il voit), ლექსიკური (s - tapis). ისინი შეადგენენ დისკურსში გრაფემათა 5-6 %-ს.

- **ლოგოგრამები:** “სიტყვათა სახეები”, რომლებშიც გრაფია და სიტყვა ერთიანობას წარმოადგენს და მათი განცალკევება შეუძლებელია. ლოგოგრამების მთავარი ფუნქცია არის ომოფონების განსხვავება; ესენია ომოფონ-ჰეტეროგრაფები (მაგ. sept, lys, thym, pouls, poids, coing და ა.შ)”. ისინი შეადგენენ დისკურსში გრაფიკული “სიტყვების” 5-6%-ს (Ibid.: 28).

ამ სისტემურ კონცეპტუალიზაციაში არ შედის ეტიმოლოგიური და ისტორიული ასოები (როგორცაა ორმაგი თანხმოვნები, შემოსილი მახვილი და ა.შ). ზოგადად მიიჩნევენ, რომ ორთოგრაფიულ პლანში მათი შეცვლა, რეფორმირება არის საჭირო.

“გარდა დამატებითი ფუნქციებისა, რომლებიც ამ ასოებმა ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება ითამაშოს, ისინი ჩვენს ფონია-გრაფიის დამოკიდებულებაში წარმოადგენენ უბრალოდ ენთროპიას, “ხმაურს”, როგორც ინფორმაციის სპეციალისტები ამბობენ.” (Catach 1979: 31).

უნდა დავაზუსტოთ, რომ კატაჩის გუნდის - HESO- ს მიერ ორთოგრაფიული რეფორმის საკითხთან დაკავშირებით ჩამოყალიბებულ მოსაზრებებს რეალური ეფექტი არ მოჰყოლია. ჩანს, “ენტროპია” მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებს სოციალური თვალსაზრისით.

ამ თვალსაზრისით გრაფემა განსაზღვრულია, როგორც:

“წერითი ჯაჭვის ყველაზე მცირე განმასხვავებელი და/ან მნიშვნელობის მქონე ერთეული, რომელიც შედგება ერთი ასოთი, ასოთა ჯგუფით (დიგრამა, ტრიგრამა), ერთი აქცენტირებული ან დამხმარე ნიშნით აღჭურვილი ასოთი, რომელსაც გააჩნია ფონური და/ან სემური რეფერენცია სალაპარაკო ჯაჭვში. მაგ. p, ou, r, ch, a, s, e, r სიტყვაში *pourchasser*.” (Catach 1980: 16).

აქედან გამომდინარეობს, რომ:

“გრაფემის როლი ორმაგია: იგი არის აღმნიშვნელი (წერითი ფორმის), რომელიც მიუთითებს ზეპირი ფორმის აღმნიშვნელზე (ეს არის აღმნიშვნელის აღმნიშვნელი, სენემა), ეს არის მისი ძირითადი როლი ანბანურ წერაში. ამავე დროს ან ცალკე იგი შეიძლება იყოს აღნიშნულის აღმნიშვნელი, პლერემა” (Catach 1979: 26).

უნდა აღვნიშნოთ, რომ სენემებსა და პლერემებს შორის ეს განსხვავება თავიდან წერის სხვადასხვა თეორეტიკოსების მიერ ნასესხები იქნა იელსმლევისაგან. აქ კი კატაჩის მიერ ხელახლა იქნა გამოყენებული (Ibid.: 22).

გრაფემათა კატეგორიების გარდა საინტერესოდ მიგვაჩნია, რომ:

“ფონოგრამები, მორფოგრამები და ლოგოგრამები ერთმანეთს ავსებენ და ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან, და ხშირად ძნელია მათი გამორჩევა. [...]. საქმე გვაქვს უფრო პლურისისტემასთან ან რამდენიმე ქვე-სისტემასთან, სადაც ერთი ცენტრალური და შედარებით სტაბილურია, მეორე მოიცავს წერითი ჯაჭვის საკმაოდ ფართო ზონებს, მესამე კი ნაწილობრივი და მარგინალურია.” (Catach 1973: 31)

სხვაგვარად რომ ვთქვათ, გრაფიკული სისტემის რესურსები მოიცავს ძალიან არათანაბარი მნიშვნელობის სამ ქვესისტემას და ამავედროულად პოლივალენტურიცაა (მაგალითად, გრაფემა “ს” შეიძლება იყოს როგორც ფონოგრამა ასევე მორფოგრამა, იმისდა მიხედვით თუ რა შემთხვევასთან გვაქვს

საქმე), და ასევე სიმულტანურად პოლივალენტურიც კი (მაგ, a_i გამონათქვამში ils $riaient$ არის ერთდროულად ფონოგრამაც და მორფოგრამაც. ეს არის მორფონოგრამა” (Catach 1990: 29). ჩვენი ნაშრომისთვის, კერძოდ სმს სამეტყველო ფრანგულის აღწერისთვის ყველაზე საინტერესო დაკავშირებულია შემდეგთან:

“გამუდმებითი რემოტივაცია ამ ამოსავალი მასალისა, რომელიც, [...] შესამჩნევი პლასტიკურობით იკავებს სისტემის ცარიელ ადგილებს ეპოქებისა და საჭიროებების მიხედვით.” (Ibid.:27).

აქ საქმე გვაქვს ფუნქციონალისტურ ხედვასთან. ეს გამუდმებული რემოტივაცია საშუალებას მოგვცემს სმს მეტყველების (ფრანგული) გრაფიკული ვარიაცია განვიხილოთ, როგორც ფრანგული ენის გრაფიკული სისტემის ნაწილობრივ განსხვავებული, მაგრამ სოციოლინგვისტურად მოტივირებული ორგანიზაციის ფორმა.

ავტონომისტურ ჩარჩოშიც ფრანგული ენის გრაფიკული სისტემისთვის სამი ტიპის გრაფემები გვაქვს, მაგრამ ისინი იყოფა შემდეგ ქვესისტემებად:

- **ალფაგრამები:** აზრის განმასხვავებელი ანბანური გრაფემები გრაფიკული სისტემის “გულში”. ისინი იყოფიან *ნოდებად* და *სატებად*, გრაფიკული მარცვლის ცნებაზე დაფუძნებული ანალიზის მიხედვით.

“ნოდებს ვუწოდებთ ალფაგრამებს, რომლებსაც მარტოს შეუძლიათ მარცვლის შექმნა და აქედან გამომდინარე წარმოადგენენ სილაბურ ბირთვს; სატები კი მათ თანამგზავრებს წარმოადგენენ.” (Anis 1990: 216).

- **ტოპოგრამები** (თავისუფალი და დაკავშირებული): პონქტუო-ტიპოგრაფიული გრაფემები, რომლებიც ხელს უწყობს აზრის წარმოქმას, რამდენადაც ისინი შეიძლება დანახულ იქნას, როგორც “სინტაქსურ-გამომხატველი მარკერები” (Anis 1988: 145). მათი ჩამონათვალი, ცხადია,

გულისხმობს ფუნქციონალურ ანალიზს (Anis 1990: 218). ისინი თავს უყრის ძირითადად “პუნქტუაციის ნიშნებს, ცარიელ ადგილებს და ხაზგასმებს”, რომლებიც წარმოადგენენ თავისუფალ ტიპებს, მაშინ, როცა “სხვადასხვა გრაფიკული მოდიფიკაციები” დაკავშირებულ ტიპებს წარმოადგენენ (Anis 1988: 116).

ფუნქციონალური ანალიზის თვალსაზრისით: “თავიდან შეიძლება პრაქტიკულად ჩანდეს წმინდად სინტაქსური და ენონციატიური ღირებულებების განცალკევება; მალე დავადგინეთ, რომ ეს შეუძლებელი იყო; ჩვენ გამოვყავით ორი კატეგორია: სინტაგმატური – რომელიც ჩაირთავს სინტაქსსა და თემატურ პროგრესიას – და პოლიფონიური – ტერმინი, რომელსაც ძალიან ფართო დეფინიციას ვაძლევთ, ოსვალდ დუკროს ნაშრომებზე დაყრდნობით (კერძოდ, 1984 წლის ნაშრომი): ყველაფერი, რაც გამონათქვამის ინტერპრეტაციას აძლევს მიმართულებას – ენონციატორების აღნიშვნა, მოდალობები, გამოკვეთები.” (Anis 1990: 218-219).

- **ლოგოგრამები:** მნიშვნელობის მქონე ერთეულები, რომლებიც წარმოქმნიან “სისტემის პერიფერიულ” (Ibid.: 220), მაგრამ “წერითი კომუნიკაციის სიღრმისეული ტენდენციების მაჩვენებელ” გრაფიკულად “ოდნავ პეტეროგენულ კატეგორიებს” (Anis 1988: 144).

“\$ & § £ არიან სწორედ ლოგოგრამები იმდენად, რამდენადაც გამოიხატებიან არადაშლადი მატერიალური ფორმით (საბეჭდი მანქანის კლავიატურაზე აკრეფადი) და ექვივალენტურები არიან ალფაგრამების სეკვენციისა” (Ibid.: 139).

კატეგორიის დანარჩენ ნაწილს რაც შეეხება, საქმე ეხება მათემატიკურ სიმბოლოებს, აბრევიაციებს, ლოგოებს და ბოლოს, ავტონომიურად ნახმარ პუნქტუაციურ ნიშნებს. ამ უკანასკნელებს წარმოადგენს არაპირდაპირი ტოპოგრამები, რომლებიც ხშირად გვხვდება კომიქსებში, და რომლებიც

გამოხატავს, ერთგვარად “წერისთვის სპეციფიურ იდეოგრამატიკულ ხერხს” (Ibid.: 143).

ამგვარ ჩარჩოში გრაფემა არის “გრაფიკული ფორმის მინიმალური ერთეული, რომელიც განსაზღვრულია თავისი ფუნქციით წერით კომუნიკაციაში.” (Ibid.: 245).

აღსანიშნავია, რომ არც ერთ აღწერაში არ ჩანს სილაბოგრამის – ფონური მარცვლის პარალელურად დასმული გრაფემის კატეგორია. ეს კატეგორია არ არის წარმოდგენილი ანბანური წერის სისტემაში, მაგრამ ადგილი აქვს სმს მეტყველებაში, თუმცა ისეთი თავისებური მანერით (ამას ვნახავთ მისი ფუნქციონირების პლანში), რომ ამ შემთხვევაში სილაბოგრამა შეიძლება დაუახლოვდეს ლოგოგრამას.

ამ ორ აღწერას შორის რეალური განსხვავებების მიღმა, ცხადია, რომ გრაფიკული აღწერის დონე ეხება უფრო მეტს, ვიდრე უბრალოდ გრაფიკულ მასალას. ამ მასალის მიღმა (რომელიც გარკვეულად ენათესავება გრაფემათა პირველ, გრაფიკული სისტემის ცენტრალურ კატეგორიას – ფონოგრამებსა და ალფაგრამებს) ვეხებით მორფოლოგიურ, სინტაქსურ და ენონციატიურ ანალიზს (გრაფემათა მეორე კატეგორიით, ანუ მორფოგრამები და ტოპოგრამები). აზრის პარამეტრის ჩართვისას გრაფიკული მასალის საკითხიდან გადავდივართ წერის ანალიზზე, რომელიც სხვათა შორის მხედველობაში იღებს ორთოგრაფიის საკითხს.

წერის ამგვარი ანალიზი ზოგჯერ სცილდება სპეციფიურად განსაზღვრული წერის ჩარჩოს (ჩვენს შემთხვევაში ფრანგული ენის ჩარჩოს): ეს განსაკუთრებით ცხადია პუნქტუაციის შემთხვევაში, რომელიც ავტონომისტური მიდგომით მთლიანადაა ინტეგრირებული ფრანგული ენის გრაფიკულ სისტემაში. მართლაც, ტოპოგრამებისა და ლოგოგრამების დიდი ნაწილი მსგავსია ბევრი ენისთვის. აქედან გამომდინარე, ერთი მოცემული ენის გრაფიკული სისტემის აღწერა გამოყენებული გრაფიკული მასალის აღწერას არა მხოლოდ სცილდება, რამდენადაც შეუძლია მიგვიყვანოს ამ ენის წერის მეტ-

ნაკლებად სრულყოფილ ლინგვისტურ ანალიზამდე, არამედ ამ ლოკალიზებული (ერთი მოცემული ენის) ანალიზიდან შეიძლება გადავიდეს ისეთ ანალიზზე, რომელიც საბოლოოდ უფრო ზოგადი ენათმეცნიერებიდან გამომდინარეობს.

3.2.1.3. ფონოგრაფიზმი თუ ავტონომიზმი

მოცემულ თავში შევეცდებით დავაზუსტოთ, თუ როგორ გამოვიყენებთ ჩვენი ნაშრომის მიზნებისთვის ზემოთ წარმოდგნილ აღწერით კონცეფციებს. ჩვენ უპირატესობას არ მივანიჭებთ განხილული ორი დესკრიფციული მეთოდიდან რომელიმეს. მიუხედავად იმისა, რომ თეორიული თვალსაზრისით ეს შეიძლება პრობლემური იყოს, გამოვიყენებთ ორივე მიდგომას იმისდა მიხედვით, თუ რა ტიპის აღწერა იქნება საჭირო.

პირველ რიგში უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენი კვლევა, რომელიც უფრო ემპირიულ-ინდუქციურია, შეუთავსებადია აპრიორულ არჩევანთან. გარდა ამისა, თუკი ვიფიქრებთ, რომ ორივე, ფონოგრაფისტული და ავტონომისტური მიდგომა ერთმანეთს ავსებს, ლოგიკურია, რომ ვერ გავჩერდებით მხოლოდ ერთ მათგანზე. გარდა ამისა, ენის აღწერის დროს პრობლემატური შეიძლება აღმოჩნდეს გადამწყვეტი არჩევანის გაკეთება ერთ-ერთ მიდგომაზე იმიტომაც, რომ ჩვენი კვლევის საგანია არა სმს მეტყველების შემადგენელი “ფაქტები”, არამედ მთლიანად “პროცესი”.

ამ ორ მიდგომას შორის ზემოთნახსენები ურთიერთშევესებადობა განსაკუთრებით თვალშისაცემია ჩვენი კვლევის შემთხვევაში თუკი გავიხსენებთ, რომ სმს მეტყველება, როგორც გრაფიკული ვარიაციის ნიმუში, არის ერთგვარი “მეტა-ნაწერი”, რომელიც ნაწილობრივ მაინც დაკავშირებულია სტანდარტულ წერასთან, ეს კი შეიძლება გამოდგეს ავტონომისტური მიდგომის სასარგებლო არგუმენტად. ამ მხრივ ვაჩევი ამბობს: “იგი [წერითი ნორმა] ხშირად წარმოადგენს საფუძველს, რომელზეც მეორადად იდება ახალი ნიშანთა სისტემები” (Vachek 1985 [1939]: 21). სხვაგვარად რომ ვთქვათ, სმს ფრანგულის გრაფიკული ფუნქციონირება დაკავშირებულია სტანდარტული ფრანგულის გრაფიკულ სისტემასთან. ეს კიდევ უფრო საინტერესო ხდება, თუ ჩავთვლით,

რომ ამ “მეტა-წერის” მეტა ხასიათი დიდწილად უკავშირდება გრაფიკულ პლანთან მიმართებაში ფონურ განზომილებას, ლინგვისტურ ცვალებადობასთან მიმართებაში კი – ზეპირმეტყველებას. აქედან კარგად ჩანს, თუ რატომაა საჭირო ფონოგრაფისტული და ავტონომისტური მიდგომების ერთობლივი გამოყენება.

გარდა ამისა, ამ ორ მიდგომას შორის არჩევანის გაკეთების საშუალებას არ გვაძლევს ის წარმოდგენებიც, რომლებიც ენის შესახებ არსებობს ენის მომხმარებლებში და რომლებიც აღწერის დროს აუცილებელს ხდის “ზეპირსა” და “წერას” შორის ემპირიული კავშირის შენარჩუნებას, როგორც ამას აკეთებს ფონოგრაფისტული მიდგომა. “ზეპირი” (როგორც ვარიაცია და/ან არხი) ორიენტირებას აძლევს გრაფიკული და/ან წერითი ნამუშევრების წარმოება/მიღებას.

3.2.1.4. გრაფიკული აღწერა სოციოლინგვისტური კომპეტენციის ჩარჩოში

“ზეპირსა” და “წერასთან” დაკავშირებული წარმოდგენების პოტენციური ამბივალენტობა საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ გრაფიკულ პლანთან დაკავშირებული ლინგვისტური აღწერა გვერდს ვერ აუვლის სოციოლინგვისტურ საკითხებს. ამიტომ მნიშვნელოვანია, ამჯერად სმს მეტყველების აღწერის დონეზე, მხედველობაში მივიღოთ, რომ ყოველდღიურ ზეპირთან, სტანდარტულ წერასთან და ა.შ. დაკავშირებული პრაქტიკები და წარმოდგენები გავლენას ახდენს ყოველდღიურ წერაზე (რომელსაც ეკუთვნის სმს მეტყველება).

ამგვარად, ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარე ვფიქრობთ, რომ სმს მიმოწერაში იკვეთება სოციოლინგვისტური კომპეტენციის განხორციელების ერთ-ერთი მთავარი ჰიპოთეზა: სმს-ისთვის დამახასიათებელი სოციოლინგვისტური კომპეტენციის აღმოცენება დამყარებულია სმს-ის მომხმარებლის სოციოლინგვისტურ კომპეტენციებზე, რომლებიც კონტექსტის მიხედვით შესაძლოა რეკონფიგურირებულ იქნას.

ავიღოთ, მაგალითად, გრაფიკული ვარიაცია შემდეგ გამონათქვამში: “keskiest dans la bible?”. მსმენელი, რომელიც არ არის შეჩვეული სმს მეტყველებას,

ამას პირველ რიგში ორალიზაციას დაუკავშირებს, რამდენადაც იგი არღვევს ჩვეულ ორთოგრაფიულ წესებს, რომლებიც საშუალებას აძლევს “ჩვეულებრივ მკითხველს [ნორმალურ დროში] გათავისუფლდეს ზეპირი ფორმის მედიაციისაგან და გამოიტანოს აზრი დაწერილი ნიშნებიდან” (Anis 1998: 12). ჩვენს მიერ ჩატარებული მცირე გამოკითხვის შედეგად აღმოჩნდა, რომ სმს-ის ნაკლებად მომხმარებელ გამოკითხულებს ჩვენს მიერ მიწოდებული სმს-ების აზრის გასაგებად სჭირდებოდათ წაკითხულის ორალიზება და მხოლოდ ამის შემდეგ იგებდნენ აზრს. ეს კიდევ ერთხელ ამტკიცებს აღწერის პლანში ფონოგრაფისტული ტიპის მიდგომის უპირატესობას.

დროთა განმავლობაში სმს მომხმარებლის სოციოლინგვისტური კომპეტენციის თანდათანობითი ჩამოყალიბების პარალელურად ორალიზაციისადმი მიმართვის აუცილებლობა მცირდება: ამ დროს ავტონომისტური მიდგომაც ასევე შესაძლო ხდება. ნაწერთან ვიზუოგრაფიკული ტიპის დამოკიდებულება მით უფრო შესაძლო ხდება, რაც უფრო მეტად უშინაურდება მომხმარებელი ამ გრაფიკულ ვარიაციას. იგი მას ითავისებს პოულობს რა მასში იმ ამოსავალ წერტილებს, რომლებიც გახდება ლინგვისტური გამართულობის პოტენციური წყაროები. ასე რომ, სმს მომხმარებლის სოციოლინგვისტური კომპეტენციის გაზრდასთან ერთად ორალიზაციის საშიშროება იკლებს და ამავე დროს, დესკრიფციული თვალსაზრისით ამ კომპეტენციის პროცესუალური განვითარების შესწავლა შესაძლოს ხდის როგორც ფონოგრაფისტულ, ასევე ავტონომისტურ მიდგომას.

ეს დასკვნა ეხმიანება იმას, რასაც ზემოთ ვახსენებდით ემპირიულ-ინდუქციური დესკრიფციის შესახებ, რომელიც მიმართულია ერთდროულად პროცესსა და ფაქტებზე (და მაშასადამე, უფრო “სინქრონულ-დინამიური” ორიენტაციისაა). გარდა ამისა, სმს მომხმარებლის სოციოლინგვისტური კომპეტენციის განვითარების შესახებ ჩვენი მოსაზრება გრაფიკულ პლანში ავსებს ზემოთ მოკლედ ჩამოყალიბებულ მეტა-წერის შესახებ ჰიპოთეზას. ასეთ შემთხვევაში ფონური დახმარება, რომელიც დაახასიათებს ამ მეტა-წერას, ჩაერევა მხოლოდ სოციოლინგვისტური კომპეტენციის აგების საწყის ფაზაში.

3.2.1.5. მეთოდოლოგიური ელემენტები

მოცემული ნაწილის ბოლო თავი ეძღვნება სმს მეტყველების აღწერის შესახებ ნაშრომთა უმეტესობაში გამოყენებული მეთოდოლოგიების მიმოხილვას. განხილული ლინგვისტური ფაქტები ძირითადად ვარიაციის სახელითაა მოხსენიებული. ვარიაციაზე ლაპარაკი თავისთავად სვამს ამოსავალი წერტილის საკითხს: ექსპლიციტურად ხშირად საკითხი ეხება ორთოგრაფიულ ნორმას, იმპლიციტურად კი ჩანს, რომ ამოსავალი წერტილის როლს ასრულებს მთლიანად სტანდარტული წერა, როგორც ნაირსახეობა. ამაში საკვირველი არაფერია. ჩვენ უკვე ვნახეთ, თუ როგორი განუყოფელია ერთიმეორისგან აპრიორი დაშორებული დონეები, როგორიცაა გრაფიკა და სინტაქსი.

როგორც უკვე აღვნიშნეთ ჩვენი ნაშრომის შესავალში, კონკრეტულად სმს მიმოწერის შესახებ არსებული გრაფიკული კვლევები შედარებით ნაკლებია, ამიტომ მიმოხილვების დროს ხშირად გამოვიყენებთ ე.წ. ჩატის მეტყველების შესახებ კვლევების მაგალითებს.

განსაკუთრებით მრავალრიცხოვანია ანგლოფონური ნაშრომები (Herring 1996; Crystal 2001), რომლებშიც მკვლევარები აღწერენ ძირითადად საკვლევ ჯგუფებს მოსაუბრის კომპეტენციის მიმართულებით. ამ კომპეტენციის გამოყენება საშუალებას იძლევა ჯერ განსაზღვრულ იქნას განსახილველი ფაქტები (ისინი, რომელნიც წარმოქმნის ვარიაციას, ან თავად ზოგიერთი ვარიაცია), შემდეგ კი მოხდეს მათი კლასიფიკაცია ემპირიული კატეგორიების მიხედვით, რომლებიც აღებულია როგორც კვლევის ამოსავალი წერტილები. ამ ეტაპზე საუბრობენ, მაგალითად, ორთოგრაფიულ შეცდომებზე, ონომატოპეებზე, აბრევიაციებსა და ა.შ.

მაგალითად, კრისტალი ჩატის მეტყველების კვლევისას ინგლისური ენის შესახებ შემდეგს ასკვნის:

“არსებობს რამდენიმე წყარო ვიზუალური განსხვავებებისა, რომელთა უმრავლესობა შესაძლოა მოიძებნოს სხვა ინტერნეტ სიტუაციებშიც. ხატულები თითქმის საერთოა. რეზუსის მსგავსი აბრევიაციები და სამეტყველო ელიზიები

ფრაზებს არაფამილიარულ სახეს აძლევს (მაგ. are>r, you>u, and>n), ასევეა ემოციური ხმაურის ტრანსკრიფცია (მაგ. hehehe, owowowowowow), პაუზები (მაგ. um, er, erm), და კომიკური სტილის შორისდებულები (მაგ. ugh, euugh, yikes, yipes). კრისტოფერ ვერიმ იბოვა მსგავსი შტრიხები ფრანგულ მაგალითებში: qqn [quelqu'un], c [c'est], t [tu]. განმასხვავებელია ასევე ნიკებში ნაპოვნი ნიშანთა თანმიმდევრობები, რომლებიც სიმბოლოთა კომბინაციას ახდენს უჩვეულო გზით (მაგ. DC77DC, aLoHA!, TwoHands). წინადადებათა შიდა პუნქტუაცია და ფინალური დაშორებები ჩვეულებრივ უგულვებელყოფილია, მაგრამ ძახილისა და კითხვის ნიშნები შენარჩუნებულია. შერწყმული ფორმებიდან ყველგან ამოგდებულია აპოსტროფი [...]. ემოციური პუნქტუაცია ხშირად გამოიხატება გადაჭარბებული ფორმით [...] როგორიცაა *hey!!!!!!*. ზოგჯერ მთელი შეტყობინება მხოლოდ კითხვის ნიშნისგან შედგება, რაც გამოხატავს გაოცებას ან სხვა ემოციას. დამახინჯებული სპელინგები (out of > outta, see you > cee ya, seems > seemz, ფრანგული ouais [...]) და ტიპოგრაფიული შეცდომები ხშირია. კაპიტალიზაცია მუდმივად იგნორირებულია, I- ს შემთხვევაშიც კი, მაგრამ ხშირია ნიკებში [...]. გრამატიკა უმთავრესად ხასიათდება სამეტყველო კონსტრუქციებით და არასტანდარტული ხმარებებით, ხშირად ამას თან სდევს სხვა დიალექტებსა თუ ჟანრებში შემჩნეული ფორმები. საერთოა დროებითი სიტყვათწარმოება – სიტყვების ერთად დაწერა ერთი შედგენილი სიტყვის ფორმით (wat a unifreakinversitynerd), ან რამდენიმე სიტყვს გადაბმა დეფიზით (dead-slow-and-stop-computer). სიტყვათა თამაშს ადგილი აქვს ყველგან. აღმოცენდება ახალი ჟარგონი – მაგალითად, bamf!, რომელსაც ზოგი იყენებს ჯგუფის დატოვების დროს ფინალურ გამონათქვამად (ეს სიტყვა მომდინარეობს კომიქსების წიგნიდან X-Men, როცა ერთ-ერთი გმირი ამ ხმას გამოსცემს ტელეპორტირების დროს). მიუხედავად იმისა, რომ არასტანდარტული ფორმაციები, ჟარგონი და სლენგი იცვლება ჯგუფიდან ჯგუფში, ყველა სინქრონული ჩატჯგუფი ემყარება ამ პროცესს სავარაუდოდ, როგორც ჯგუფის იდენტურობის დამადასტურებელ მექანიზმს.” (Crystal 2001: 164-165).

შემდეგ ეს ემპირიული კატეგორიები ლინგვისტების მეტა-დისკურსის საგანი ხდება, რისი მიზანიცაა ერთმანეთისგან განმასხვავებელ, განმსაზღვრელ

ფორმალურ კრიტერიუმებზე მუშაობა. ამ დროს ქრება “ეპი-“ კატეგორიები და ხდება მათი რეფორმულირება მეტ-ნაკლებად განსაზღვრული ფარგლების მქონე სხვადასხვა “მეტა-“ კატეგორიებად.

ელექტრონული ფრანგულის შესწავლაში მნიშვნელოვანია ანისის ბოლოდროინდელი კვლევები, რომლებიც უმთავრესად ეხება იმას, რასაც ავტორი “ნეოგრაფიას” უწოდებს, და რაც აღნიშნავს:

“ორთოგრაფიული ნორმისგან საგრძნობლად გადახრილ გრაფიებს, ყოველგვარი უარყოფითი თუ დადებითი ღირებულების გარეშე. ეს საგრძნობი ხასიათი ვლინდება ხერხების თვალშისაცემობით, როგორიცაა აბრევიაცია, ფონეტიკური გამარტივება, დახვეწილი ფრანგულისგან გადახრილი წარმოთქმების ტრანსკრიფცია და სხვ.; თავის უმაღლეს წერტილს იგი აღწევს ვერლანში.” (Anis 1999: 89).

ამ ემპირიული ჩამონათვალიდან გამომდინარე ავტორი აყალიბებს შვიდ ნეოგრაფიულ კატეგორიას:

ა. “ფონეტიკური გრაფიები“ (სტანდარტულ ფორმათა ალოგრაფიები):

- qu-ს შეცვლა k-დ შორისდებულებსა და მიმართებით და კითხვით-მახილის ნაცვასახელებსა და ზედსართავებში (მაგ. ki),
- დიგრამა “oi”-ს ფონეტიკური გადაკეთება, არა აბრევიაციური არამედ ექსპრესიული მიზნით (მაგ. moua, toa).

ბ. ფონეტიკური გრაფიები, რომლებიც წარმოადგენენ სალაპარაკო ენის ყოველდღიური ან ფამილიარული რეგისტრის ფორმებს და წარმოშობენ ზეპირმეტყველების ეფექტს.

- მუნჯი e-ს აპოსტროფით შეცვლის ტრადიციული ხერხები (მაგ. j'peux).
- სხვადასხვა ფონეტიკური ვარიანტების ჩაწერა (მაგ. ben ui, po)
- ფონეტიკური კუმშვების ჩაწერა (მაგ. chui),

➤ კვეთა (სიტყვის დასაწყისის ჩამოჭრა; აფერეზი; დასასრულის ჩამოჭრა: აპოკოპი) (მაგ. d'hab).

გ. კონსონანტური ჩონჩხი (მაგ. tjrs);

დ. სილაბოგრამა (მაგ. c'est-s მაგივრად c);

ე. ლოგოგრამების გამოყენება (მაგ. l, +);

ვ. გრაფიკული გაშლა. ეს არის ექსპრესიული ხერხი, რომელიც ემყარება ასოების გამეორებას (მაგ. grognonnnnnnnnn, naaaaaaaaan);

ზ. ვერლანი (მაგ. seul-tout).” (Anis 1999: 86-90).

ეს აღწერა უფრო სრულყოფილი სახითაა მოცემული 2002 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში (Anis 2002), რომელშიც წინა ჩამონათვალის “ე” ჯგუფში ლოგოგრამების (ნიშანი-სიტყვა) გვერდით ჩნდება “პარალოგოგრამები”, რომლებიც შეესაბამება ნიშანი-სიტყვების სეკვენციებს როგორცაა: mdr (mort de rire).

ყოველ შემთხვევაში, შეიძლება ცოტა ხნით შევჩერდეთ “ნეოგრაფიის” ტერმინზე, რომელიც დელოფეს აზრით ნაკლებად ადექვატურია:

“ინტერნეტ “ჩატში” ნაპოვნი, ენობრივი სიახლეების კანდიდატი ფაქტების დეტალურად შესწავლისას ვხვდებით, რომ საქმე გვაქვს მხოლოდ არანორმატიულ გრაფიებთან. ისინი ნაკლებად არიან “ნეოგრაფიები”, როგორც ამას ავტორი [ანისი] აცხადებს. ესენი მხოლოდ გრაფიკული ვარიანტებია, რომლებიც დიდი ხანია არსებობენ ნაკლებად მცოდნე მწერლებისათვის დამახასიათებელ წერაში და უბრალოდ ორთოგრაფიული შეცდომების (parske), ან კომიქსების გრაფიკული ტექნიკებისგან ნასესხები ვარიანტების სტატუსი გააჩნათ (mouiiiiiii). სინტაქსური ინოვაციის სახელის მიღების კანდიდატებს რაც შეეხება, ისინი ანალიზის დროს ჩნდებიან ან როგორც დიდი ხნის არასტანდარტული ვარიანტები, ან როგორც სტილისტური კომბინაციები, რომელთა მიზანია პოპულარული ზეპირმეტყველების წერითი კარიკატურის

შექმნა. [...] ყოველ შემთხვევაში, აქ საქმე გვაქვს არა ენის სისტემის, არამედ ნორმის მიმართ დამოკიდებულების მოდიფიკაციასთან, რის გამოც მწერალი ჩადის შეცდომებს იქ, სადაც არავინ ელის ამას.” (in Carton ed, 2001: 19).

მართალია, დელოფეს კრიტიკა საფუძველს მოკლებული არ არის, მაგრამ მხოლოდ ფორმისა ან ლინგვისტური პროდუქციის პლანში. თუმცა ციტირების დასასრული საინტერესოა, რადგან ავტორი მასში ეხება, ჩვენი აზრით, ამგვარი დებატების ნამდვილ საბაზისო საკითხს, ამ უკვე აღმოჩენილი ფორმების ახალ გამოყენებებს. ჩვენი აზრით, პრეფიქსი “ნეო”, რომელიც ანისის მიერ იყო ნახმარი, დიდწილად გამართლებულია ამ ახალ გამოყენებათა პლანში, რომლებიც სცილდება “უცოდინარი მწერლის” სფეროს. ამგვარი გადაცილების გამო სტანდარტიზებული გრაფია (ანუ წერა, რომლის კოდიფიკაცია სოციალურად გამართლებულია) იმავე პლანზეა დაყენებული, რაზეც ეს არასტანდარტული და რეგულირებული გრაფია (ჩვეულებრივ სტიგმატიზირებული, ან კერძო გამოყენებისათვის გამიზნული, ან ძალზე კოდიფიცირებული, როგორც კომიქსებისთვის დამახასიათებელი კავშირებისა ან ონომატოპეების შემთხვევაში და ა.შ). თუკი ჩავთვლით, რომ ეს გრაფია მინიმუმ მაინც არის რეგულირებული, რატომ არ შეიძლება იგი მიჩნეულ იყოს ერთგვარ წერად (თუნდაც თვლიდნენ, რომ საქმე ეხება მეორად წერას, “მეტა-წერას”)? მოკლედ, თუკი ციტირების ბოლო ნაწილს დავუბრუნდებით, კარგად არის ნაცნობი ის კავშირები, რომლებიც აკავშირებს ერთმანეთთან ნორმის მიმართ დამოკიდებულების ცვლილებებსა და ენის სისტემის მოდიფიკაციებს. ამგვარად, დელოფეს კრიტიკა მისაღები გვეჩვენება ვიწრო, სტატიკური სინქრონიის პირობებში ანუ წმინდად ფაქტუალური (და არა პროცესუალური, სოციალური განზომილების ჩამრთველი) კუთხით.

მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, რაც ყველაზე უფრო გვაინტერესებს ანისისეულ აღწერაში, ავტორი არჩევს ორთოგრაფიული ნორმისგან გადახრილ ფაქტებს შორის იმათ, რომლებიც ნებით არის წარმოქმნილი და ამით გაემიჯნებიან იმას, რასაც ემპირიულად “ორთოგრაფიულ შეცდომებს”, “ბეჭდვით შეცდომებს” და ა.შ. უწოდებენ. თუმცა ავტორი აზუსტებს, რომ

ნეოგრაფიკულ პერსპექტივაში ამგვარი შეცდომები ნაწილობრივ მაინც შეიძლება განხილულ იქნას. გვახსენდება ლუჩისა და მილეს კვლევა (Lucci et Millet 1994) ფრანგების ყოველდღიური ორთოგრაფიის შესახებ, რომელმაც აჩვენა დაშვებულ შეცდომებში რეგულარობები, ანუ გამოავლინა გრაფიკული სისტემის სისუსტე (რაც, სხვათა შორის ამართლებს იმას, რომ “ორთოგრაფიული შეცდომები” “გრაფიკულ ვარიაციებად” იქნას განსაზღვრული).

საინტერესოა ზემოთჩამოთვლილი დესკრიფციული კატეგორიების განხილვა. ისინი ერთსა და იმავე პლანში აყენებენ ხერხებს (როგორიცაა გაწელვა), გრაფემებს (სილაბოგრამები) თუ ნაირსახეობებს (ვერლანი) და ა.შ. ამგვარ ჰეტეროგენულობაში ვხედავთ “ეპი-“ და “მეტა-“ კატეგორიებს შორის კავშირის შენარჩუნებას (რაც ემპირისტული თვალსაზრისით ძირითადია). პარადოქსია, მაგრამ მონაცემთა ამგვარი ტიპის აღწერის ყველაზე მარტივ და ელეგანტურ გზად (პოზიტივისტური კრიტერიუმების მიხედვით) მიგვაჩნია ემპირისტული ხედვა.


ბოლოს აღსანიშნავია, რომ ეს კლასიფიკაცია მხოლოდ ავტორის, როგორც მსმენელი/ლინგვისტის ხედვას ითვალისწინებს. პრობლემა ის კი არ არის, რომ ავტორისეული სუბიექტურობა ერთვება, არამედ ის, რომ ეს სუბიექტურობა არ არის “კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენებული”. კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენების საჭიროება არ იქნება, თუკი ჩავთვლით, რომ მოცემული ენობრივი საზოგადოების ყველა წევრს იდენტური ენობრივი კომპეტენცია გააჩნია. მაგრამ თუკი ჩვენ ვიხილავთ არა ენას ზოგადად, არამედ რომელიმე კონკრეტულ მეტყველებას და თუკი ლაპარაკი გვაქვს არა ლინგვისტურ, არამედ სოციოლინგვისტურ კომპეტენციაზე, მაშინ ეს სუბიექტურობა კითხვის ნიშნის ქვეშ უნდა იქნას დაყენებული ანუ უნდა განიხილებოდეს სხვა სუბიექტურობებთან ერთად. იგი უკვე აღარ არის ერთბაშად მოცემული ფაქტი, რომელიც ამოსავალ წერტილად შეიძლება გამოდგეს, არამედ საგანი, რომლის აგებაა საჭირო.

3.2.2. ორთოგრაფიული ადაპტაციები

ორთოგრაფიულ ადაპტაციებში განხილულ იქნება სმს მეტყველებისთვის დამახასიათებელი შემოკლების ხერხები და მათი ფუნქციები. სიტყვა „შემოკლებას“ ჩვენს ნაშრომში გამოვიყენებთ როგორც ნეიტრალურ ტერმინს, რომელიც მოიცავს შემოკლების ყველა იმ ფორმას, რომელიც სმს მეტყველებაში გვხვდება და შედგება სიტყვის ან სიტყვათა ჯგუფის სრულ ფორმასთან შედარებით ნაკლები ნიშნისგან.

თავისთავად შემოკლების ეს ფორმები არ წარმოადგენს განსაკუთრებულ სიახლეს. ისინი ყოველთვის არსებობდა. მათგან ზოგი უძველესი დროიდანაც კი თარიღდება, ზოგი კი შედარებით ახალი ფენომენია. ამგვარია, მაგალითად:

- სიტყვებისგან ზოგიერთი მარცვლის მოშორება (ფრ. « mots tronqués »): métro, auto, vélo, moto, ciné (ma);
- შერეული სიტყვები (ფრ. « mots-valises ») : caméscope, modem;
- სიგლი: TGV;
- ციფრებისა და ასოების სპელინგის ფონეტიკური ხმარება: K7 – cassette-ის აღსანიშნად, რაც საკმაოდ ძველია.
- სხვადასხვაგვარი აბრევიატურები: pcq, bcp.
- სიტყვებს შორის დაშორების უარყოფა ანუ Scripta continua, რაც ჯერ ჯიდევ ვირგილიუსის „ენეიდაში“ გვხვდება (იხ. სურათი 5).
- პუნქტუაციის უარყოფა გვხვდება ბევრ ლიტერატურულ ნაწარმოებში, მათ შორის ჯოისის «ულისეშიც».
- ექსპრესიული მიზნით გრაფიკული წაგრძელებები ხშირია კომიქსებში.



აქედან გამომდინარე, სმს მეტყველების სპეციფიურობა და თვალშისაცემობა მდგომარეობს არა ხერხების სიახლეში, არამედ შემოკლების არსებული ხერხების უჩვეულო კონცენტრაციაში. გარდა ამისა, თვალშისაცემია ასევე აღნიშნული ხერხების მრავალფეროვანი და «შემოქმედებითი» გამოყენება.

ზოგადად მოკლე ტექსტურ შეტყობინებებში სამი ტიპის ორთოგრაფია შეიძლება გამოვყოთ :

- სტანდარტული, გამართული ორთოგრაფია – შეტყობინებებში, სადაც შემოკლებისა თუ ფონეტიზირების ხერხები არ არის ნახმარი.
- შერეული ორთოგრაფია – შეტყობინებებში, რომლებშიც მხოლოდ რამდენიმე სიტყვაა შემოკლებული ან ფონეტიზირებული;
- სმს ორთოგრაფია – შეტყობინებებში, სადაც ყველა სიტყვაა შემოკლებული ან ფონეტიზირებულია.

3.2.2.1. შემოკლების ფორმები

ამჯერად ცალ-ცალკე განვიხილავთ კორპუსში წარმოდგენილ შემოკლების ხერხებს, ესენია: აკრონიმია ან სიგლი, სილაბოგრამა, ლოგოგრამა, ფონეტიზირება, კლიპინგი, კონსონანტური ჩონჩხი.

სიგლი და აკრონიმია

აკრონიმია სიტყვათა პირველი ასოებისგან შემდგარი აბრევიაციაა, რომელიც, სიგლისგან განსხვავებით, ერთ სიტყვად წარმოითქმის. აკრონიმიის ტრადიციული მაგალითებია: NATO (North Atlantic Treaty Organization), radar (radio Detection And Ranging). სმს მეტყველებაში აკრონიმიის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს თითქმის ყველა ენაში გავრცელებული აბრევიაცია lol, რომელიც წარმოქმნილია ინგლისური გამონათქვამისგან laughing out loud და აღნიშნავს ძლიერ სიცილს, ხარხარს ან დაცინვას. ჩვენს მიერ საკვლევ კორპუსში აღმოჩენილია მხოლოდ 1 აკრონიმი - lol და 2 სიგლი, რაც წარმოდგენილია ცხრილში 4.

ცხრილი 4: სიგლი და აკრონიმი

სიგლი და აკრონიმი	ნორმა
lol	laughing out loud
rstp	répond s'il te plait
stp	s'il te plait

სილაბოგრამა

სილაბოგრამების ხმარება ზოგადად ფონეტიკურ პრინციპს ემყარება: სიტყვა დაშლილია შემადგენელ მარცვლებად და თითოეულ მათგანს აღნიშნავს ერთი გრაფიკული ერთეული – ასო, რომელსაც ანბანში შესაბამისი სახელწოდება გააჩნია. მაგალითად: c = c'est, ან ces ანუ საბოლოო ჯამში ნიშანი c წარმოითქმის არა ტრადიციულად [s] არამედ მისი ანბანური სახელწოდების

მიხედვით - [se]. სილაბოგრამა შეიძლება აღნიშნავდეს როგორც ერთ მთლიან სიტყვას, ასევე ხშირია მისი გამოყენება სიტყვის თავში, შუაში ან ბოლოში. სიტყვის რომელიმე ნაწილის აღსანიშნავად გამოყენებული სილაბოგრამა ხშირად ასომთავრულით არის ჩაწერილი, რითაც ავტორი ცდილობს გამოყოს იგი სიტყვის შემადგენელი, ნორმის მიხედვით ნახმარი ასოებისგან (მაგ. Deid – decidé).

აღსანიშნავია ისიც, რომ სილაბოგრამების ხმარება არანორმირებულია, ანუ ერთი და იგივე მომხმარებელი ხან ხმარობს სილაბოგრამებს, ხან კი იმავე მარცვალს სრულად წერს. განვიხილოთ ორი მაგალითი:

(16) Je penC pa ke lamitié pouV se tRminé en haine...mé pourtan là c le K

(18) c le foot ki te mé ds 7eta ?

პირველ შემთხვევაში ავტორი სილაბოგრამების ხმარების ორ «კლასიკურ» შემთხვევას ხელიდან უშვებს, მას ადვილად შეეძლო je-ს მაგივრად ეხმარა g, ხოლო se შეეცვალა e-თი, რაც ძალიან ხშირია ჩვენს კორპუსში. მეორე შემთხვევაშიც ავტორი სილაბოგრამების ხმარების ორი შესაძლებლობიდან მხოლოდ ერთს იყენებს (c – c'est), ხოლო მეორეზე (t – te) უარს ამბობს. ამგვარი მაგალითები კორპუსში ბევრია.

ცხრილიში 5 მოყვანილია საკვლევ კორპუსში გამოვლენილი სილაბოგრამები.

ცხრილი 5: სილაბოგრამები

სილაბოგრამა	ნორმა
t	t'ai
t	te
tpa	t'es pas
c	c'est
c	ce
ct	c'était

kc	casser
penC	pensais
g	je
k	cas
l	elle
DciD	decidé
tpa	t'es pas
pouV	pouvait
tRminé	terminer

ლოგოგრამა

ისევე, როგორც სილაბოგრამების, ლოგოგრამების გამოყენებაც ფონეტიკურ პრინციპზეა დაფუძნებული: სიტყვის მთელი მარცვალი შეცვლილია შესაბამისი წარმოთქმის მქონე ლოგოგრამით: მაგ. 2main; vi1. ზოგადად ფრანგულ სმს მეტყველებაში ლოგოგრამებში დომინირებს ისეთი ნიშნები, როგორიცაა 1, 2, 100 და +, რადგან მათი ფონეტიკური მსგავსების ალბათობა მთელ სიტყვასთან ან სიტყვის შემადგენელ რომელიმე ნაწილთან დიდია.

სილაბოგრამებსა და ლოგოგრამებს ზოგჯერ ასო-ციფრული ომოფონების სახელწოდების ქვეშ აერთიანებენ. მასში შედის ყველა ის ვარიანტი, სადაც ციფრებით ან ასოებით შეცვლილია სიტყვები ან ასოთა ჯგუფი, რომლებსაც იგივენაირი წარმოთქმა გააჩნია. აღნიშნულ ფენომენს კრისტალი (Crystal 2001: 229) ასოებისა და ციფრების “რეზუსულ შესაძლებლობას” უწოდებს.

ისევე, როგორც სილაბოგრამები, ლოგოგრამებიც არ ატარებს სისტემატურ ხასიათს. ერთსა და იმავე მომხმარებლის შეტყობინებებში ლოგოგრამების ხმარების შესაძლებლობები ყოველთვის არ არის გამოყენებული, მაგ:

(68) L vi1 après souper ;)

(69) Keske tu deviens et kestufé ojurdhui ?

მოცემული შეტყობინებები ერთსა და იმავე მომხმარებელს ეკუთვნის, თუმცა პირველ შემთხვევაში გამოყენებულია ლოგოგრამა სიტყვაში vil, მეორე შეტყობინებაში კი ისეთივე შესაძლებლობა არ არის გამოყენებული (deviens). საკვლევ კორპუსში აღმოჩენილი ლოგოგრამების შემთხვევები მოყვანილია ცხრილში 6.

ცხრილი 6: ლოგოგრამები

ლოგოგრამა	ნორმა
2pui	depuis
2main	demain
ojourd'8	aujourd'hui
ne...+	ne...plus
re100	ressens
vil	vient
koi29	quoi de neuf
6né	cimé = ciména

ფონეტიზირება

ფონეტიზირება მოცემული სიტყვის წარმოთქმას წარმოადგენს წერილობით და უფრო მოკლეა, ვიდრე სტანდარტულად ჩაწერილი სიტყვა. ფონეტიზირება სხვადასხვა ხერხით ხდება:

- დიგრამის მონოგრამით წარმოდგენა: que – ke; qui – ki.
- დიგრამის ფონეტიზირებული დაშლა: toi – toa.
- მუნჯი თანხმოვნების მახვილით შეცვლა: tu es belle - tu é belle ; demander – demandè; et – é; choisirais – choisiré.
- მუნჯი ასოების ამოგდება: dire – dir; nouvelles – nouvel.
- ფონეტიზირებული შერწყმა, რომელიც ძირითადად ეხება:

- კლიტიკურ ერთეულებს (clitique): **jatend** son cou **2fil** [J'attends son coup de fil]; **gspère qtu** va bien [J'espère que tu vas bien];
- მსაზღვრელებს: c le foot ki te mé ds **7eta** ? [C'est le foot qui te met dans cet état ?]; moi g **lepermi** [Moi j'ai le permis];
- წინდებულებს: g ésayé **2tapele** pl 1 **2foi** [J'ai essayé de t'appeler plein de fois]; jti1 bcp tro **àtoi** [je tiens beaucoup trop à toi];
- როთულ ლექსიკურ ფორმებს: **Keske** tu deviens et **kestufé ojurdhui** ? [Qu'est-ce que tu deviens et qu'est-ce que tu fais aujourd'hui?].

კორპუსში აღმოჩენილი ფონეტიზირების შემთხვევები მოცემულია ცხრილში 7.

ცხრილი 7: ფონეტიზირება

ფონეტიზირება	ნორმა
ke	que
ki	qui
ske	ce que
tinkiete	t'inquietes
kelkun	quelqu'un
koman	comment
texplik	t'expliquer
kestufai	qu'est-ce que tu fais?
bibliotek	bibliothèque
é	et, est
ché	chez
choisiré	choisirais
sè	c'est
gtèmmm	je t'aime
demandè	demander
tRminé	terminer
mé	mais
nen feré	n'en ferai

jamé	jamais
témé	t'aimer
pleuré	pleurer
toa	toi
jvoisle genre	je vois c'est le genre
jai	j'ai
jaime	j'aime
mon	m'ont
jvais	je vais
sarétte	s'aretter
chui , chuis	je suis
ma appele	m'a appelé
ma fai	m'as fait
ten	t'en
lamitié	l'amitié
dla	de la
jespere	j'espère
dun	d'un
chake	chaque
coi	quoi
jatend	J'attends
2fil	de fil
gspère qtu va bien	J'espère que tu vas bien
7eta	cet état
moi g lepermi	Moi j'ai le permis
2foi	de fois
àtoi	à toi
Keske	Qu'est-ce que
entr	entre
vi	vie
san	sans
pren	prend

ron	rond
poin	point
fai	fais
pa	pas
e	et
croi	crois
va	vas
com	comme
dir	dire

კლიპინგი

კლიპინგი წარმოადგენს შემოკლების იმ ფორმას, რომელშიც სიტყვის რომელიმე ნაწილი (რომელიც, ჩვეულებრივ, საუბარში გამოითქმის) წაშლილია (d’hab – d’habitude). კორპუსში აღმოჩენილი კლიპინგის შემთხვევები მოყვანილია ცხრილში 8.

ცხრილი 8: კლიპინგი

კლიპინგი	ნორმა
d’hab	d’habitude
tt	tout
ti	petit
l	le
ptit	petit
vien	vient
probl	problemes
ds	dans

კონსონანტური ჩონჩხი

კონსონანტური ჩონჩხის მისაღებად მომხმარებლები ახდენენ სიტყვიდან (ან ზოგ შემთხვევაში მთელი წინადადებიდან) ხმოვნების ამოგდებას იმ

შემხვევაში, როცა ეს ხელს არ უშლის სიტყვის აზრის გაგებას. ამის მაგალითებია: msg=message, dsl = desolé(e), pr=pour, Je t'aime = jtm ან gtm და ა.შ. კორპუსში აღმოჩენილი კონსონანტური ჩონჩხის შემთხვევები მოყვანილია ცხრილში 9.

ცხრილი 9: კონსონანტური ჩონჩხი

კონსონანტური ჩონჩხი	ნორმა
slt	salut
tt	tout
ds	dans
msg	message
grd	grand
prdn	pardon
tjrs	toujours
pr	pour
dsl	desolé
qnd	quand
ms	mais
mrc	merci
jtm, gtm	je t'aime
bjr	bonjour

მოკლე ტექსტურ შეტყობინებებში გამოყენებული შემოკლების ეს ფორმები არ წარმოადგენს ტრადიციულ აბრევიატურებს, რომლებსაც სტანდარტულ წერით მეტყველებაშიც ხშირად ვხვდებით და როგორიცაა, მაგ, qch., qqn., BBC, NATO და ა.შ. ისინი ძირითადად მომხმარებელთა წარმოსახვასა და შემოქმედებითობაზეა დამოკიდებული, სპონტანურად იქმნება და ადრესატს, თუკი იგი არ არის შეჩვეული, გონების დაძაბვა სჭირდება მათ გასაშიფრად. ამგვარი ელემენტები წარმოადგენს სმს მეტყველებისთვის, როგორც ახალი ტიპის წერითი

მეტყველებისთვის სპეციფიურ მახასიათებლებს. მომავალში სტანდარტული ორთოგრაფიის მიხედვით ჩაწერილი ერთეულებისგან გამიჯვნის მიზნით სმს მეტყველებაში არსებულ შემოკლებულ ფორმებს გრაფიკულ ვარიანტებად მოვიხსენიებთ. გრაფიკული ვარიანტები ერთგვარად კონკურენციას უწევს ნორმირებულ ვარიანტებს მაგ. შესაძლებელია დავუშვათ, რომ არსებობს თანაბარდირებულება (თუკი არ გავითვალისწინებთ სოციოლინგვისტურ პლანს) “je vois”, “j’vois”, “jvois” თუ “jvwa”-ს შორის.

3.2.2.2. ორთოგრაფიული ვარიანტების აღწერა

ამჯერად შევეცდებით ზემოთ ჩამოთვლილი გრაფიკული ვარიანტების ჯერ ფორმალური კრიტერიუმები განვსაზღვროთ, შემდეგ კი – სუბიექტური.

შემოკლების ფორმათა ფორმალური კრიტერიუმებით აღწერა შეგვიძლია პუნქტების სახით ჩამოვაცალიბოთ:

სიგლი და აკრონიმია:

- გრაფემათა რიცხვი კლებულობს
- ორალიზაციის შემთხვევაში შესამჩნევია

სილაბოგრამა:

- დიგრამის შეცვლა მარტივი გრაფემით
- «ხმოვანი» გრაფემების გამოტოვება
- გრაფემათა რიცხვი კლებულობს
- ორალიზაციის შემთხვევაში არ არის შესამჩნევი

ლოგოგრამა:

- მთლიანი მარცვლის შეცვლა მარტივი გრაფემით
- გრაფემათა რიცხვი კლებულობს
- ორალიზაციის შემთხვევაში არ არის შესამჩნევი

ფონეტიზირება:

- დიგრამის შეცვლა მარტივი გრაფემით
- მუნჯი ასოების გამოტოვება
- აპოსტროფის გამოტოვება
- გრაფემათა რიცხვი კლებულობს
- ორალიზაციის შემთხვევაში არის ან არ არის შესამჩნევი

კლიპინგი:

- სიტყვის ნაწილის გამოტოვება
- გრაფემათა რიცხვი კლებულობს
- ორალიზაციის შემთხვევაში შესამჩნევია

კონსონანტური ჩონჩხი:

- «ხმოვანი» გრაფემების გამოტოვება: გრაფიკული სიტყვის კონსონანტური ჩონჩხი
- გრაფემათა რიცხვი მცირდება
- ორალიზაციის შემთხვევაში შესამჩნევია

ჩვენს მიერ განხორციელებული ძირითადი ანალიზის შესაჯამებლად ჩამოვყალიბეთ ოთხი ფორმალური კრიტერიუმი:

- გრაფემის ტიპთან დაკავშირებული კრიტერიუმი: პუნქტუოგრაფიკული ტოპოგრამა თუ ალფაგრამა? თუ საქმე გვაქვს ტოპოგრამასთან ცხრილში გვექნება ნიშანი « + » (ალფაგრამის შემთხვევაში კი « - ») ;
- ნორმისგან გადახრის კრიტერიუმი: მოცემულ ვარიანტს აქვს თუ არა ტენდენცია ლინგვისტური კონტექსტის მიუხედავად დარჩეს ნორმისგან გადახრილ ვარიანტად (ცხადია, ამოსავალი წერტილი ორთოგრაფიული ნორმაა)? თუკი პასუხი დადებითია, მაშინ გვექნება « + » და პირიქით;
- რაოდენობრივი კრიტერიუმი: გრაფემათა რიცხვის შემცირება (“-“), სტაბილურობა (“=”) და მომატება (“+“);

- ორალიზაციის კრიტერიუმი: ზეპირი წარმოთქმისას ვარიანტის თვალშისაცემობის აღქმა შეუძლებელია (“+”), თუ შესაძლებელია (“-“)?

აღნიშნული კრიტერიუმების მიხედვით გრაფიკულ ვარიანტთა გადანაწილება მოვხდინეთ ცხრილში 10.

ცხრილი 10: გრაფიკული ვარიანტები - ფორმალური კრიტერიუმები

	გრაფიკული ტიპი	ხორმისგან გადახრა	რაოდენობრივი	ორალიზაცია
სიგლი და აკრონიმია	-	+	-	-
სილაბოგრამა	-	+	-	+
ლოგოგრამა	+	+	-	+
კონსონანტური ჩონჩხი	-	+	-	-
ფონეტიკური დამწერლობა	-	+	-	-/+
კლიპინგი	-	+	-	-

ჩანს, რომ მოცემულ ცხრილში განხილული კატეგორიები ძნელად იზოლირებადია ერთმანეთისგან. ეს ჯგუფები გარკვეულწილად გადაკვეთენ ერთმანეთს მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა დამახასიათებელი ნიშნებიც აქვს.

თუმცა შეუძლებელია ამგვარი კატეგორიზაციის დროს ფორმალური კრიტერიუმის გარდა არ გავითვალისწინოთ სუბიექტური კრიტერიუმიც. ამის დასადასტურებლად განვიხილოთ “fai”- ს მაგალითი, რომელიც ხშირია ჩვენს საკვლევ კორპუსში. ერთი შეხედვით იგი შეიძლება შეცდომად მივიჩნიოთ, თუმცა, მეორეს მხრივ, სრულიად შესაძლებელია ორთოგრაფიულ ვარიაციებსაც მივაკუთვნოთ, როგორც ფონეტიკური დამწერლობა. ამგვარად, ორთოგრაფიული შეცდომებისა და ზოგიერთი ვარიანტის გარჩევა ძნელია. შესაძლოა ორთოგრაფიული შეცდომა განზრახ არის დაშვებული უფრო სწრაფი წერის მიზნით. ამ შემთხვევაში ძალაუნებურად გადავდივართ ვარიაციაზე. ასე რომ, ყველაფერი გამომდინარეობს ავტორის განზრახვიდან. შესაბამისად, საქმეში ერთვება ადრესანტის სავარაუდო ინტენციონალობა.

თუმცა ინტენციონალობის ფაქტორს უკუპროპორციულად ემატება სტიგმატიზაციის პრობლემაც, რამდენადაც ორთოგრაფიული შეცდომები სტიგმატიზებულია მოცემული ლინგვისტური საზოგადოების შიგნით, ეს «შეცდომები» უმეტეს შემთხვევაში შეუძლებელია გამიზნულად დაშვებულად იყოს მიჩნეული. საქმე გვაქვს უკუპროპორციულ ლოგიკასთან, რომლის მიხედვით ინტენციონალობა წარმოებისას მით უფრო იზრდება, რაც მცირდება სტიგმატიზაცია მიღებისას. ეს ლოგიკა, ცხადია, გაიდებულია და ამდენად, ცოტა გამარტივებულიც.

დავაზუსტებთ, რომ ჩვენ არ ვცდილობთ სუბიექტური კრიტერიუმები ფორმალურ კრიტერიუმებს ჩავუნაცვლოთ, ან რომელიმეს უპირატესობა დავამტკიცოთ, რადგან ორივე მათგანს საკუთარი მნიშვნელობა გააჩნია და თანაბარდირებულია.

ამგვარად, დავინახეთ, რომ ისეთი მონაცემის კატეგორიზება, როგორიცაა სმს შემოკლებები, წმინდად ფორმალური კრიტერიუმებით თითქმის შეუძლებელია და დგება “ურთიერთგადაკვეთის” გადაულახავი პრობლემის წინაშე. ამიტომ აუცილებელი ხდება სუბიექტური კრიტერიუმების გათვალისწინება. ის, რაც ერთმანეთისგან განასხვავებს ფორმალური

ლინგვისტიკის მიმართულებას სოციოლინგვისტურისგან, მდგომარეობს იმაში, რომ ემპირიული კატეგორიზაციების შესახებ გამოკითხვა პირველ შემთხვევაში გამოუსადეგარია, განსხვავებით მეორე შემთხვევისა. ამის მიზეზი კი ის არის, რომ ფორმალური ლინგვისტიკისთვის კონკრეტული ლინგვისტური საზოგადოების შიგნით სოციოლინგვისტური კომპეტენცია ჰომოგენურადაა მიჩნეული (აქედან გამომდინარე “ლინგვისტური კომპეტენცია”). სოციოლინგვისტური მიდგომისას კი განსხვავებული სოციოლინგვისტური გამოცდილება მნიშვნელოვნად რეაგირებს წარმოდგენებსა და მათ დინამიკაზე.

3.2.2.3. ორთოგრაფიული ვარიანტები – ენობრივი იდენტიფიკაცია

კორპუსის მონაცემებზე დაკვირვებით ადვილი შესამჩნევია, რომ ხშირად ნახმარი ვარიანტებისგან განსხვავებით, რომლებსაც თითქმის სტერეოტიპული ხასიათი აქვთ (ke - que, ki - qui, c – c'est, d – de და ა.შ), შედარებით იშვიათი ვარიანტები, (მაგ. 2pui, 2main, ან penC, pouV, tRminé, DciD) უმეტესად ერთსა და იმავე მომხმარებლებთან გვხვდება. აქედან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სმს შემოკლებათა ამგვარი ხმარება ერთგვარად მომხმარებლის, როგორც “ენობრივი არსების” იდენტიფიციტების როლსაც ასრულებს. თუმცა გასათვალისწინებელია ისიც, რომ ამგვარი “მაიდენტიფიცირებელი” ვარიანტები გვხვდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ადრესატიც სმს-ის მუდმივი მომხმარებელია და შეჩვეულია ამგვარ “მეტყველებას”. სხვა შემთხვევაში, როდესაც ადრესატად არის “უცხო” ან შედარებით დისტანციაზე მყოფი ადამიანი, შეტყობინებას უფრო სტანდარტული სახე აქვს (მაგ. ნიმუშები № 16, 17, და 18):

(16) Je penC pa ke l'amitié pouV se tRminé en haine...mé pourtant là c le K...oui je te hais Sophie

(17) Bonjour, j'ai laissé le livre chez votre voisine. Merci. Jean.

(18) C le foot ki T mé ds 7eta ?

სადაც №17 აშკარად დისტანციაზე მყოფი ადრესატისადმი არის მიმართული და დანარჩენი ორისგან განსხვავებით სტანდარტულ წერილობით

ნორმას წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს ასევე “ენობრივი საზოგადოების” წევრობაც. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია თუ რა მიზნით და რა განწყობით წერს ავტორი შეტყობინებას: მაგ, ნიმუშებში № 10, 11 და 12.

(10) coucou jespere que tu vas bien car moi non.je ne sais pas comment te le dire car tu es une fille si belle et si intelligente mais je peux pas continuer a te mentir,je n'éprouve plus de sentiments pour toi mais sache que tu resteras ma meilleure amie quoiqu'il arrive.gros bisous

(11) tu pren la ru a droit du ron poin c just en face dla bibliotek

(12) tu fai coi c soir ?

სადაც ბოლო ორში გამოყენებულია ტიპიური სმს მეტყველება, მაშინ როდესაც პირველი შედარებით სტანდარტული ფორმიტაა დაწერილი და მხოლოდ ასომთავრულების გამოტოვება შეინიშნება, რაც აპარატის შეზღუდულობით შეიძლება აიხსნას. საქმე ის არის, რომ №10 შეტყობინებაში ავტორი ამცნობს ყოფილ შეყვარებულს, რომ უნდა დაშორდეს, რაც თვითონაც გულს სტკენს. ამ შემთხვევაში ავტორი ამჯობინებს სტანდარტულ წერას, რაც, სავარაუდოდ უფრო მეტ სერიოზულობას სძენს შეტყობინებას. ამგვარად, სმს-ის მომხმარებელი ერთი მხრივ ცდილობს სმს შემოკლებების საშუალებით თავისი “იდენტობის” ხაზგასმას, მეორე მხრივ კი იძულებულია მათი ხმარება კონტექსტის მიხედვით შეზღუდოს. აქედან გამომდინარე, მომხმარებელი, როგორც “ენობრივი არსება”, ერთგვარი ლინგვისტური ქამელეონის სახეს იღებს, რომელიც ფერს იცვლის სოციოლინგვისტური მონაცემების მიხედვით და ამავდროულად ინარჩუნებს თავის მაიდენტიფიცირებელ ფორმას.

3.2.2.4. დასკვნა

ჩვენს ხელთ არსებული მონაცემების ანალიზიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ მოკლე ტექსტურ შეტყობინებებში გამოყენებული ორთოგრაფია არის:

- ჰეტეროგენული – ერთი სიტყვა შეიძლება ჩაწერილ იყოს სხვადასხვაგვარად როგორც ერთი და იმავე მომხმარებლის, ასევე სხვადასხვა მომხმარებლების მიერ.
- პოლივალენტური და პოლისემიური – ერთი და იგივე ელემენტი შეიძლება წაკითხულ იქნას სხვადასხვაგვარად.

სმს ორთოგრაფიის მიზანია:

- დროისა და სივრცის ეკონომია;
- ენობრივი იდენტიფიკაცია.

ადვილი შესამჩნევია, რომ მოკლე ტექსტურ შეტყობინებებში გამოყენებული ორთოგრაფია სტანდარტული წერითი მეტყველების ნორმებისგან საგრძნობლად განსხვავდება. ინფორმაციისა და კომუნიკაციის ახალი ტექნოლოგიები ენობრივი ნორმების „შესუსტების“ მიზეზი ხდება, რაც ფრანგული ენის მაგალითზე განსაკუთრებით კარგად ჩანს. ყველდღიური ზეპირმეტყველების სპონტანური ტრანსკრიფციით სმს მეტყველებას სააშკარაოზე გამოაქვს სტანდარტული ორთოგრაფიის ყველაზე „მგრძნობიარე ადგილები“ და ფრანგულ ენას აკადემიური ჩარჩოებისგან ათავისუფლებს. ამგვარ კონტექსტში ენობრივი ვარიანტის ცნება, რომელიც აქამდე მონოლითური, „ერთადერთი“ ნორმირებული ორთოგრაფიის ჩრდილქვეშ იმყოფებოდა, სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება.

3.2.3. ტიპოგრაფიული ადაპტაციები

ელექტრონული მეტყველების ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელი არის პუნქტუაციის, კაპიტალიზაციის, მახვილების გამოტოვებისა და სიტყვათა დაშორების ხარჯზე ნიშანთა შემცირება. თუმცა ტიპოგრაფიული ”გადახრების”, ისევე როგორც გრაფიკული ვარიანტების მიზანი ხშირად არის არა ნიშანთა რაოდენობის შემცირება, არამედ ენობრივი იდენტიფიკაცია და ჯგუფის წევრობის ხაზგასმა. ამასთან, პუნქტუაციისა და კაპიტალიზაციის ხერხები ხშირად გამოყენებულია წერით ტექსტებში პარალინგვისტური მონაცემების

გადმოსაცემად. მათი ეს ფუნქცია სმს მეტყველებაში, ისევე, როგორც ზოგადად ელექტრონულ მეტყველებაში, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

3.2.3.1. ტიპოგრაფიული ადაპტაციის ხერხები

სიტყვათა დაშორება

ჩვენს ხელთ არსებულ ფრანგულ საკვლევ კორპუსში სიტყვათა შორის დაშორების შემდეგი სახეები შეიძლება გამოვყოთ:

1. სტანდარტული დაშორება – ადგილის გამოტოვება, აპოსტროფი.
2. სიტყვათა არასტანდარტული დაშორება. ამ შემთხვევაში ჩვენს კორპუსში სიტყვათა შორის საზღვრების აღნიშვნის სამი სხვადასხვა ვარიანტი დაფიქსირდა – ფიფქი, « პლუსის » ნიშანი და წერტილი:

(6) tu*fait*un*bœuf*tout*seul?;

(78) APPELLE +MOI+QUAND+TU+VOUDRAS.;

(79) JE.SUIS.PRES.DE.TOI.BISOUS.

1. სიტყვათა შორის დაშორების არარსებობა : (201)
APPELLEMOISURLEPORTABLE

2. სასვენი ნიშნის შემდეგ დაშორების არარსებობა : (24) tu
sais ke jtaime...ou il faut plus pr l demontrer?rstp.

3. ადგილის გამოტოვება, მაგრამ აპოსტროფის უარყოფა: (202)
J n en ai pa l droit.

4. სიტყვათა დაშორების აღნიშვნა ასომთავრულით: (67)
Hi,ComenVaTuTreUmblAmi ?

საინტერესოა არასტანდარტული დაშორების შემთხვევა - (203)
IL*FAIT*BEAU*CHEZ*VOUS*ICI*IL*Y*A*DU*SOLEIL. ადვილი შესამჩნევია, რომ ამ დროს საქმე არ გვაქვს არც დროის და არც ნიშნების დაზოგვასთან. შეიძლება ვიფიქროთ, რომ წერტილის მაგივრად ფიფქის გამოყენება მომხმარებლის მიერ აპარატის ფუნქციების არცოდნას უკავშირდება: სხვისი

აპარატით სარგებლობისას ან ახალი აპარატის შეძენისას. მაგრამ ჩვენს კორპუსში ორი ამგვარი მაგალითი აღმოჩნდა და ორივე ერთსა და იმავე მომხმარებელს ეკუთვნის, აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ თუ პირველი სმს-ის წერისას აპარატის ფუნქციებში კარგად ვერ იყო გარკვეული მომხმარებელი, მეორე შეტყობიების აკრეფისას მაინც უკვე უნდა სცოდნოდა ცარიელი ადგილის დატოვების წესი. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამგვარი დაშორებები მომხმარებლის პირადი არჩევანია თავისი შეტყობინებების ორიგინალურობისა და საკუთარი იდენტობის ხაზგასასმელად.

სიტყვათა შორის დაშორებებისა და აპოსტროფების გამოტოვების შემთხვევებში ერთი მხრივ შესაძლოა ნიშანთა დაზოგვასთან გვექნოდეს საქმე, მეორე მხრივ კი ადგილი აქვს დროის დაზოგვასაც. ჩვენს ხელთ არსებული კორპუსიდან გამომდინარე სავარაუდოა, რომ საქმე უფრო მეორე შემთხვევასთან გვაქვს, რადგან ამ კატეგორიაში შემავალ არც ერთ შეტყობინებაში არ არის სრულად გამოყენებული 160 ნიშანი და სტანდარტული დაშორებების შემთხვევაშიც ადვილად მოხდებოდა მოცემულ შეზღუდვაში მათი ჩატევა.

პუნქტუაცია

ჩვენს ხელთ არსებულ კორპუსებში პუნქტუაციური ნიშნების ხმარების შემდეგი ტიპები შეინიშნება:

1. სტანდარტული ხმარება: (30) tu es l'unique définition de l'amour, merci de faire de moi la femme la plus comblée du monde.
2. პუნქტუაციის სრულიად უარყოფა: (9) si on me demandè de choisir entr toi é ma vi g choisiré ma vi é toi tu ten iras san savoir ke sè toi ma vie gtèèmm
3. პუნქტუაციის ნაწილობრივი ხმარება (82) A toi ki fu important ds ma vi je sui dsl mé ojourd'8 g DciD ke tu nen feré + parti.
4. პუნქტუაციის ხმარება ექსპრესიული მიზნით, რაც გულისხმობს ძირითადად ძახილის და კითხვის ნიშნის გაორმაგებას, გასამმაგებას და ა.შ. ემოციის გამძაფრების მიზნით:

(60) koman texplik ske jre100 pr toa ?? ;) ; (76) je t'aiiime !!!; on est sur la plage !!!; tu m'aimes ???; (75) Pourquoi tu me donne + de t nouvel ??

პუნქტუაციური ნიშნებიდან განსაკუთრებით ხშირია წერტილის, კითხვის ნიშნისა და ძახილის ნიშნის ხმარება. უნდა დავაზუსტოთ ისიც, რომ პუნქტუაციურად გამართულ შეტყობინებებში ჩვენ განვიხილავთ იმ მცირე ზომის, 2-3 სიტყვიან შეტყობინებებსაც, რომლებიც წერტილის გარდა სხვა პუნქტუაციურ ნიშანს არ საჭიროებენ. აქედან გამომდინარე, ძალიან ძნელია პუნქტუაციის ნორმირებულ გამოყენებასა და ნაწილობრივ უარყოფას შორის ზღვარის გავლება.

მახვილები

სმს მეტყველებაში მახვილების (აქვე ვგულისხმობთ სედილს) ხმარების შემდეგი შემთხვევები შეიძლება გამოიყოს:

1. მახვილების სტანდარტული, ნორმირებული ხმარება;
2. მახვილების არასტანდარტული ხმარება, რაც გულისხმობს ძირითადად მახვილთა გამოყენებას კონკრეტული ხმოვნის გაჟღერების მიზნით, მაგ. (204) tu é si mignone;
3. მახვილების სრულიად უარყოფა.

ამ შემთხვევაში ძალიან რთულია რაოდენობრივი ანალიზი, რადგან შეტყობინებათა დიდ ნაწილში გამოყენებული შემოკლებები არ იძლევა მახვილების დასმის/მოთხოვნის საშუალებას. ბევრია ისეთი შემთხვევაც, სადაც ზოგ სიტყვაში მახვილები სტანდარტულადაა ნახმარი, ზოგში კი – არა. გარდა ამისა, არსებობს ძველი თაობის მობილური აპარატები, რომლებიც არ იძლევა მახვილების დასმის საშუალებას. ახალი თაობის აპარატებიდან უმრავლესობას კი, თუკი შეტყობინების ენად ფრანგული არ არის არჩეული, ლათინური შრიფტით წერისას მახვილის დასასმელად რამდენიმე დამატებითი ფუნქციის ჩართვა სჭირდება. ყოველივე აქედან გამომდინარე, ამ კატეგორიაზე რაოდენობრივი ანალიზი რთული აღმოჩნდა.

კაპიტალიზაცია

საკვლევ კორპუსზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ფრანგულ მოკლე ტექსტურ შეტყობინებებში კაპიტალიზაციის შემდეგი შემთხვევები შეიძლება გამოიყოს:

1. სტანდარტული კომპლექსური კაპიტალიზაცია (ყოველი წინადადება დასაწყისში და საკუთარ სახელებთან): (17) Bonjour, j'ai laissé le livre chez votre voisine. Merci. Jeanne.
2. კაპიტალიზაციის სრულიად უარყოფა: (24) tu sais ke j'taime...? ou il faut plus pr l demontrer? rstp. chuis ché mamy avec papa et paul.
3. მხოლოდ წერტილის, ძახილის ნიშნისა და კითხვის ნიშნის შემდეგი ასოს კაპიტალიზება – რაც ხშირად მობილური აპარატის თავისთავადი ფუნქციაა: (74) maman et papa. Je suis en bus à la porte d'orléans.
4. ასომთავრულს გამოყენება ფონეტიკური დამწერლობის ან სილაბოგრამების აღსანიშნად, მაგ. (16) Je penC pa ke l'amitié pouV se tRminé en haine...mé pourtan là c le K
5. ასომთავრულის გამოყენება სიტყვებს შორის დაშორების აღსანიშნად: (73) JeTécrisJoyeuxAnniversaire
6. ასომთავრულის გამოყენება ექსპრესიული მიზნით, რაც გულისხმობს სიტყვებით გადმოცემული გრძნობის გაძლიერებას ან არავერბალური ემოციის გამოხატვას: (65) Quand mon âme s'ouvre à la naissance de ton coeur Quand il est doux d'être près de toi et vital de te le dire JE T'AIME MON TRÉSOR ; (71) il fait SUPER bo; (72) DEBOUT ! c'est l'heure de se réveiller !!

3.2.3.2. ტიპოგრაფიული ადაპტაციების აღწერა

ტიპოგრაფიული ადაპტაციების ხერხების ფორმალური კრიტერიუმებით აღწერა შეგვიძლია პუნქტების სახით ჩამოვაყალიბოთ, როგორც ეს გავაკეთეთ ორთოგრაფიული ვარიანტების შემთხვევაში.

პუნქტუაცია:

- გრაფემათა რიცხვი იკლებს ან იმატებს
- ნაწილობრივ გასათვალისწინებელია აპარატის კლავიატურის კონფიგურაცია.

მახვილები:

- კლავიატურის კონფიგურაცია გასათვალისწინებელია
- გრაფემათა რიცხვი სტაბილური რჩება
- ორალიზაციის შემთხვევაში შესამჩნევია

კაპიტალიზაცია:

- გრაფემათა რიცხვი სტაბილური რჩება
- გასათვალისწინებელია აპარატის კლავიატურის კონფიგურაცია

სიტყვათა დაშორება

- გრაფემათა რიცხვი კლებულობს ან უცვლელი რჩება
- გასათვალისწინებელია ან არა კლავიატურის კონფიგურაცია
- ორალიზაციისას შეუმჩნეველია

ორთოგრაფიული ვარიანტების მსგავსად აქაც შეგვიძლია იგივე ფორმალური კრიტერიუმების გამოყოფა, თუმცა ამ შემთხვევაში დავამატებთ კიდევ ერთ – მედიასთან დაკავშირებულ კრიტერიუმს: თუკი კლავიატურის კონფიგურაცია გასათვალისწინებელია, ჩნდება ნიშანი “+”, თუ არა “-“. აღნიშნულ კრიტერიუმებს შესაბამის ცხრილში დავაჯგუფებთ (იხ. ცხრილი 11):

ცხრილი 11: ტიპოგრაფიული ვარიანტები - ფორმალური კრიტერიუმები

	გრაფემათა ტიპი	ნორმისგან გადახრა	რაოდენობრივი	კლავიატურა	ორალიზაცია

მახვილები	–	+	=	+	–
ასომთავრული	–	+	=	+	+
პუნქტუაცია	–	+	+/-	+	+
სიტყვათა დაშორება	–	+	+/-	+	-

როგორც ცხრილიდან ჩანს, თუკი ორთოგრაფიული ვარიანტები ძირითადად ნიშანთა შეცირებისკენ იყო მიმართული, ტიპოგრაფიული ადაპტაციების შემთხვევაში ძირითადი მნიშვნელობა ენიჭება კლავიატურის კონფიგურაციას: მომხმარებელი აღარ „იტვირთავს“ თავს დამატებითი ფუნქციების ჩართვა-გამორთვით შეტყობინებისთვის გამართული ტიპოგრაფიული სახის მისაცემად. მართალია, ამგვარად ჩაწერილი შეტყობინება „შეუჩვეველი“ ადამიანისთვის ზოგჯერ ძნელად გასაშიფრი ხდება, მაგრამ „შეჩვეულ“ ადრესატს ეს არ უჭირს.

3.2.3.3 ტიპოგრაფიული ადაპტაციები – ენობრივი იდენტიფიკაცია

ისევე, როგორც ორთოგრაფიული ვარიანტების შემთხვევაში, ტიპოგრაფიული ხერხებიც ხშირად ენობრივი იდენტიფიკატორების სახით გვევლინება. ადვილი შესამჩნევია, რომ შედარებით თვალშისაცემი ადაპტაციები, როგორიც არის, მაგ. სიტყვათა შორის დაშორების მაგივრად ფიფქის, წერტილის და ა.შ. ხმარება, უმეტესწილად ერთსა და იმავე მომხმარებელთან გვხვდება. ჩვენი კორპუსიდან გამომდინარე, ფიფქის გამოყენებით ჩაწერილი მხოლოდ სამი შემთხვევა გვაქვს, საიდანაც სამივე ერთ მომხმარებელს ეკუთვნის. აღნიშნული მიზნით წერტილი ნახმარია ხუთ შეტყობინებაში, აქედან სამი ერთ მომხმარებელს ეკუთვნის, ორი – მეორეს. ამასთან, აღნიშნული ხერხები გამოყენებულია მომხმარებლის ყველა შეტყობინებაში. მოცემული ხერხების

გამოყენება არ არის განპირობებული არც კლავიატურის შეზღუდულობით (დამატებითი ფუნქციის ჩართვა არ არის საჭირო სტანდარტული დაშორების მისაღებად) და არც ნიშანთა შემოკლების მიზნით (სტანდარტული დაშორება და ფიფქი, წერტილი თუ პლიუსის ნიშანი ერთნაირი რაოდენობით ნიშნებს ქმნის). აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ მოცემულ ხერხს მომხმარებელი იყენებს საკუთარი იდენტობის ხაზგასასმელად და ამით ქმნის ერთგვარ "სტილს", რომლის საშუალებით შეტყობინების მხოლოდ ვიზუალური მხარიდან შეიძლება მისი ავტორის გამოცნობა.

იგივე შეიძლება ითქვას კაპიტალიზაციის შემთხვევაში, მაგ, შეტყობინებებში №16 და №18, რომლებიც ერთსა და იმავე ავტორს ეკუთვნის, სილაბოგრამების აღსანიშნად გამოყენებულია კაპიტალიზაცია. როგორც ჩანს, ეს ავტორის "სტილია" მიუხედავად იმისა, რომ ამგვარი ხერხი კლავიატურაზე რამდენიმე დამატებითი მოქმედების შესრულებას მოითხოვს. მაშასადამე, თუკი სმს მეტყველება ძირითადად მიმართულია ნიშანთა შემცირებისკენ და, შესაბამისად, დროისა და სივრცის დაზოგვისკენ, ზოგიერთი მომხმარებელი საკუთარი მაიდენტიფიცირებელი ფორმის შესაქმნელად ზედმეტი მოქმედებების შესრულებასაც არ ერიდება. აგვარად, განხილულ შემთხვევაში დროისა და სივრცის ეკონომია, როგორც სმს მეტყველებაში გამოყენებული ტიპოგრაფიული ადაპტაციების მთავარი მიზანი, ადგილს უთმობს ენობრივ იდენტიფიკაციას. თუმცა იგივე მომხმარებლის შეტყობინება №3 სტანდარტული ტიპოგრაფიული ფორმითაა ჩაწერილი. ამის მთავარი მიზეზი შედარებით დისტანციაზე მყოფი ადრესატია, რაზეც ზემოთ უკვე ვისაუბრეთ (იხ. 3.1.3). ამდენად, ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს სოციოლინგვისტურ კონტექსტთან, რომელიც ენობრივ ვარიაციაში გადამწყვეტ როლს თამაშობს.

3.2.3.4. დასკვნა

განხილული მაგალითებიდან ნათლად ჩანს, რომ ფრანგულ სმს მეტყველებაში თავისუფლად გამოიყენება არატრადიციული ტიპოგრაფია რაც, ცხადია, ტექნიკური შეზღუდვების საფუძველზეა აღმოცენებული, ოღონდ, ორთოგრაფიული ვარიანტებისგან განსხვავებით, ამ შემთხვევაში მთავარია

დამატებითი ფუნქციების ჩართვა-გამორთვის თავიდან აცილება და შედარებით ნაკლები ყურადღება ექცევა ნიშანთა შემცირებას. თუმცა ტიპოგრაფიული თავისებურებები ხშირ შემთხვევაში არა მხოლოდ კლავიატურის კონფიგურაციის „დასამარცხებლად“ არის გამოყენებული, არამედ უფრო რთულ სოციალურ მნიშვნელობას იძენს და ენობრივი იდენტიფიკატორის როლში გვევლინება. თუმცა ისევე, როგორც ორთოგრაფიული ვარიანტების დროს, გადამწყვეტ როლს შეტყობინებათა წარმოებისას სოციოლინგვისტური გარემო თამაშობს.

3.3. სინტაქსური ადაპტაციები

3.3.1. სინტაქსური ანალიზი - ძირითადი სირთულეები

მოცემულ თავში განვიხილავთ იმ ძირითად სირთულეებს, რომლებიც სინტაქსური ანალიზის პროცესში შეიძლება წარმოიშვას, განსაკუთრებით ისეთი ფენომენის აღწერისას, როგორიცაა მოკლე ტექსტური დისკურსი.

რამდენადაც ჩვენი მიზანია მოკლე ტექსტურ შეტყობინებებში გამოყენებული ფრანგული მეტყველების შესწავლა, აუცილებელია თავიდანვე გავმიჯნოთ ერთმანეთისგან ფრანკოფონური და ანგლოფონური გამონათქვამები, რადგან ეს უკანასკნელნი ძალიან ხშირად გვხვდება როგორც კონკრეტულად სმს მიმოწერაში, ასევე ზოგადად ელექტრონულ მეტყველებაში. თუმცა არის შემთხვევები, როდესაც გამონათქვამი ერთდროულად ფრანკოფონურიცაა და ანგლოფონურიც, რაც დამატებით სირთულეებს ქმნის. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს კრეოლიზებული მეტყველებისთვის კარგად ცნობილ ფენომენთან – კოდების მონაცვლეობასთან. აღნიშნული პრობლემა კარგად ჩანს შემდეგ მაგალითებში:

(205) faut choisir entre les **floodeurs** et les **nukeurs**. je t'appelle.

(100) merci de me **forwarder** son **message** ;)

(97) J ai plusieurs fois essaye **cracker** le code mais je peux pas **reach**, lol:)))

(95) les chemins sont tout **flood. leave me a msg if you need me.**

(99) ce serait **cool** de me les communiquer.

(206) **excesss flood** nuit gravement à la santé!! ;)

ფრანკოფონურ, ისევე როგორც სხვა ენის გამონათქვამებში, ხშირია ანგლოფონური სოციოტექნიკური ტერმინოლოგია, როგორც ეს გვაქვს პირველ ორ მაგალითში. ამგვარი ლექსიკა შეიძლება ატარებდეს ენაში მეტ-ნაკლები ინტეგრაციის ნიშანს,¹⁸ მაგრამ ვფიქრობთ, გამართლებული არ იქნება კორპუსში არსებული ამგვარი ფენომენებისგან თავის საერთოდ არიდება. საკითხი უფრო რთულდება ბოლო მაგალითში: ისმის კითხვა, სინტაგმა "excesss flood" ფრანკოფონურია თუ ანგლოფონური? ან, ინგლისური აკრონიმი "lol" ელექტრონულ ფრანგულში შემოსულ ნასესხებ ტერმინად უნდა ჩავთვალოთ თუ არა. გასარკვევია ასევე, რომელ ენას უნდა მივაკუთვნოთ პრიორიტეტი ფრაზებში "merci de me **forwarder** son **message**" (სადაც ბოლო სიტყვა შეიძლება ფრანგულადაც ჩავთვალოთ და ინგლისურადაც) და "les chemins sont tout **flood. leave me a msg if you need me.**"

ენათა იდენტიფიკაციასთან დაკავშირებული ეს პრობლემა თვალსაჩინოს ხდის სინტაქსურ ანალიზთან დაკავშირებულ კიდევ ერთ პრობლემას, კოდირებასა და დეკოდირებას შორის დაშორებას. უნდა აღინიშნოს, რომ ეს დაშორება სივრცულ-დროითიცაა იმდენად, რამდენადაც შეტყობინებათა წერისა და მიღების/წაკითხვის დრო ერთმანეთს არ ემთხვევა. აქედან გამომდინარე, კოდირებისა და დეკოდირების დრო სხვადასხვაა. თუმცა, მეორე მხრივ, ბევრი მახასიათებლით სმს მიმოწერას სინქრონულ კომუნიკაციასაც ადარებენ, რადგან სხვა მედიასთან შედარებით (საფოსტო გზავნილი, ელექტრონული ფოსტა, ფორუმი) სწრაფია. აქედან გამომდინარე, ამგვარ კომუნიკაციაში გამოყენებულ მეტყველებას პირისპირ საუბრის ბევრი თვისება ახასიათებს.

¹⁸ ეს ნიშანი ძირითადად მორფოლოგიური ხასიათისაა, როგორც პირველ მაგალითში სუფიქსი "-eur". ამგვარი ნიშნის არსებობისას ინტეგრაცია აშკარაა, თუმცა არანაკლები ხარისხისაა იგი ნიშნის არარსებობის შემთხვევაშიც.

სმს მიმოწერის ამგვარი წინააღმდეგობრივი ხასიათი, თავის მხრივ, კიდევ ერთ პრობლემას ქმნის სინტაქსთან დაკავშირებით, რაც წერისა და ზეპირის საზღვრების აღრევას უკავშირდება. ზეპირი დისკურსის აღწერის მექანიზმში ცენტრალური ადგილი უჭირავს სუპრასემანტურ განზომილებას, რასაც პროსოდია წარმოადგენს. ისმის შეკითხვა, როგორ უნდა მოვიქცეთ ამგვარი პროსოდიული ელემენტების არარსებობის დროს მოკლე ტექსტური მიმოწერის გრაფიკული ხასიათიდან გამომდინარე? საყოველთაოდ ცნობილია, რომ პუნქტუაცია, რომელიც წერაში სუპრასემანტური როლის შემსრულებლად არის მიჩნეული, არ არის პროსოდიული ფენომენების გრაფიკული ექვივალენტი:

”პუნქტუაცია წარმოიშვა სამეტყველო ენისადმი გრაფიკული ფორმის ადაპტირების, წერაში სამეტყველო ჯაჭვის დანაწევრების აღნიშვნის საჭიროებიდან, რასაც ფრაზაში პროსოდია ახდენს. ზეპირისა და წერითი კოდის სინტაქსურ ერთეულებს შორის ამგვარი შესაბამისობა ენის განვითარების მანძილზე შერყეულ იქნა, რადგან არ მოხდა ორივე ფორმის ურთიერთპარალელური განვითარება. [...] ამდენად, პუნქტუაციის ინტერპრეტირება, როგორც წერაში ფრაზის ინტონაციის აღნიშვნისა, არასაკმარისია: პუნქტუაციასა და ინტონაციას შორის დამოკიდებულება ასახავს წერისა და ზეპირის სხვადასხვაგვარ ”ორგანიზაციას”, ისევე როგორც ამ ორი ფორმის ლინგვისტური საშუალებების სხვადასხვაგვარ ხმარებას. ინტონაციაც და პუნქტუაციაც, ორივე ემსახურება ფრაზის ფორმირებას, რაც მათ ფუნქციონალური თვალსაზრისით აახლოებს, მაგრამ ისინი ერთმანეთისგან განსხვავდება ამ ფუნქციის რეალიზების ხერხებით [...]” (Védénina 1989:137-138).

თუმცა უფრო რთულია ის შემთხვევები, სადაც პუნქტუაცია საერთოდ არ არსებობს, როგორც ეს გვხვდება შემდეგ მაგალითში:

(207) tekk moi je pet le feu aujourd hui congée yesss :))

იმის მიხედვით, თუ სად დავსვამთ მძიმეს – ”aujourd hui”- ს წინ თუ შემდეგ, – ფრაზის ინტერპრეტაცია იცვლება.

ამგვარი არასტანდარტული კორპუსის ანალიზის დროს კიდევ ერთი პრობლემა უკავშირდება ზოგადად სინტაქსური ველის დადგენას, ანუ რას ვგულისხმობთ სინტაქსში. გავიხსენოთ, მარტინეს ”სინტაქსურად არაანალიზებადი გამონათქვამები, რომლებიც ღირებულებას იძენენ კონტექსტში [...] და რომლებსაც აზრი აქვს მხოლოდ იმასთან მიმართებაში, რაც მათ წინ უძღვის ან მოსდევს” (Martinet 1985: 194), ან კიდევ სიტუაციაში მყოფი გამონათქვამები, რომელთა შესახებაც:

”ნათელია, რომ სინტაქსური სისტემის გამოვლენის დროს, ის გამონათქვამები აღმოჩნდება ყველაზე ინფორმაციული, რომლებიც ყველაზე ნაკლებად იქნება დაკავშირებული სიტუაციასთან და [საშუალებას მოგვცემს გამოიკვეთოს] სტრუქტურები, რომლებიც, იქნებიათ რა ლინგვისტური სიტუაციისგან დამოუკიდებელი, უკეთ წარმოადგენენ თავად ენას” (Martinet 1985:195-196).

ამგვარი ტრადიციული თვალსაზრისი, რომელიც გვახსენებს სოსიურისეულ დიქტომიას ენასა და მეტყველებას შორის, კარგად ერგება ისეთ იდეალურ ჩარჩოს, სადაც არსებობს ”ავტონომიური გამონათქვამები [...], რომლებიც არანაირად არ არის კონტექსტზე და წარმოების სიტუაციებზე დამოკიდებული” (Martinet 1985:196). სავარაუდოდ, სწორედ ამგვარი ავტონომიური გამონათქვამების საპირისპიროს წარმოადგენს მოკლე ტექსტური შეტყობინებები, რომლებშიც გამონათქვამები, სიტუაცია და კონტექსტი მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული.

ამდენად ვუბრუნდებით თავად სინტაქსის აღქმას. ისევ და ისევ მარტინეს მიხედვით:

”სინტაქსის საგნის ზუსტი განსაზღვრა არ არის ადვილი [...]. მაგრამ ერთადერთი პუნქტი, რომელზეც თანამედროვე ენათმეცნიერები თანხმდებიან, არის ის, რომ სინტაქსს მიეკუთვნება შესწავლა იმისა, თუ როგორ ხდება აზრის მქონე ენობრივ ერთეულთა კომბინაცია სამეტყველო ჯაჭვში გამონათქვამთა წარმოქმნის მიზნით” (Martinet 1985:13).

ფუნქციონალური თვალსაზრისით "სინტაქსის მიზანია გამოხატვა იმისა, თუ რა საშუალებებით შეიძლება იყოს აღნიშნული ენობრივ ერთეულთა თანმიმდევრობაში კონკრეტული აზრის მატარებელ ელემენტთა შორის კავშირები იმგვარად, რომ შეტყობინების ადრესატმა შეძლოს ამ აზრის გაგება" (Martinet 2000 [1990]: 404).

"[აზრისა და პოზიციის გარდა] სინტაქსურ მიმართებათა მესამე საყრდენია კონკრეტული მონემის ხმარება, იქნება ეს თანწყობისა თუ ქვეწყობის შემთხვევაში" (Martinet 1985:166).

აღნიშნული მონემა არის ის, რასაც ავტორი უწოდებს ფუნქციის ინდიკატორს ანუ ფუნქციონალს, რომელიც ორი სხვადასხვა კლასიდან წარმოდგება: თანწყობთა და ქვეწყობთა კლასიდან" (Martinet 1985:121).

"სინტაქსში მთავარია არა მატერიალური მანერა, რომლითაც მიმართებები გამოიხატება, არამედ ფორმალურად მარკირებული დამოკიდებულების არსებობა, იქნება ეს ექსპლიციტურად, ფუნქციონალის მეშვეობით თუ ერთეულთა პოზიციის საშუალებით" (Martinet 1979:155).

ზეპირმეტყველების მსგავსად სმს მეტყველებაც არასტანდარტული ობიექტია, თუმცა ამავდროულად უკავშირდება სტანდარტულ წერასაც. არასტანდარტული ობიექტის ანალიზი სტანდარტული, ტრადიციული სინტაქსური საშუალებებით, ცხადია, გარკვეულ პრობლემებს წარმოქმნის. იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ ტრადიციული სინტაქსური ანალიზი არასაკმარისია, ხაზგასასმელია ორი ელემენტი: ერთი მხრივ სინტაქსში ტრადიციული "ფრაზის" ერთეული ვედარ არის გამოყენებადი; მეორე მხრივ, ვერბალური ჯაჭვის სინტაგმათა შორის კავშირების აღსაწერად ჩვეული ფუნქციონალური, დისტრიბუციონალური თუ მორფოლოგიური კრიტერიუმები საკმარისი აღარ არის. ამასთან დაკავშირებით გადე საუბრობს ტრადიციული მიდგომის "ალტერნატიულ წინადადებებზე" (Gadet 1997: 93).

3.3.2. სმს ფრანგული და კრეოლი

ევრისტიკული თვალსაზრისით საინტერესოა მოკლე ტექსტურ შეტყობინებებში გამოყენებულ ფრანგულ ენასა და კრეოლს შორის მსგავსება-განსხვავებების მიმოხილვა. ამ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტს, რომ კრეოლური ენები ძირითადად ზეპირი ხასიათისაა, ამდენად იძულებული ვართ გავითვალისწინოთ წერასა და ზეპირს შორის თეორიული მიმართებები.

სმს ფრანგული შეიძლება განვიხილოთ, როგორც სტანდარტული წერითი მეტყველებისგან წარმომავალი წერითი მეტყველება (არხის თვალსაზრისით), რომელიც უფრო ზეპირი ფორმისკენ იხრება. კრეოლური ენები კი წერითი ფორმისკენ მიმართული ზეპირი ენებია. ეს ყოველივე გულისხმობს რეალურად ჩამოყალიბებული წერითი მეტყველების აღმოცენებამდე ტრანსკრიფციის გარდამავალი პერიოდის არსებობას, რომლის დროსაც ზეპირი მეტყველება უბრალოდ გრაფირებულია. ამგვარად, საქმე გვაქვს თანხვედრასთან, რომლისკენ მიმავალი გზები ურთიერთსაპირისპირო ამომავალი წერტილებიდან მომდინარეობს. აქ შეგვიძლია გავიხსენოთ აზაელ-მასიეს მიერ გამოყოფილი ოთხი "სტადია": სალაპარაკო ზეპირი მეტყველება, გრაფირებული ზეპირი (ტრანსკრიფციის ეტაპი), გრაფირებული წერითი მეტყველება, რომელიც შეიძლება თანაარსებობდეს სალაპარაკო წერით მეტყველებასთან (Hazaël-Massieux 1993).¹⁹ სმს ფრანგულის შემთხვევაში ამ სქემას მეხუთე სტადიაც უნდა დავმატოთ – წერითი მეტყველება, რომელიც ერთგვარად ცდილობს დაუბრუნდეს "ტრანსკრიფციის" სტადიას. მაგრამ ამგვარი "დაბრუნება" ჩვენს შემთხვევაში არ გამოდგება (რამდენადაც სინქრონიასთან გავქვს საქმე). უფრო ზუსტად, შეუძლებელია უარყოთ და არ გავითვალისწინოთ ის ფაქტი, რომ წერის "სტადია" უკვე არსებობს. ამის დამამტკიცებლად მიგვაჩნია სმს ურთიერთობისთვის დამახასიათებელი სოციოლინგვისტური კომპეტენციის არსებობაც.

¹⁹ ავტორის მიხედვით ტერმინოლოგიური განსხვავებები "სალაპარაკო" – "გრაფირებული", მიუთითებს სამეტყველო არხის მატერიალურობაზე, ხოლო "ზეპირი" და "წერითი" ხასიათი ლინგვისტური ვარიაციის ტიპს შეეხება.

ეს კომპეტენცია ლინგვისტურ პლანში გულისხმობს იმას, რომ "in absentia" მდგომარეობაში ყოფნისას მოიქცე ისე, თოთქოს "in praesentia" მდგომარეობაში იმყოფებოდე.²⁰ ამგვარად, მოცემული გვაქვს საკომუნიკაციო სიტუაცია, სადაც საბოლოო ჯამში თანამოსაუბრეები პირისპირ არიან და არც არიან. შეიძლება ითქვას, რომ საქმე გვაქვს "in absentia" მოქმედ ზეპირმეტყველებასთან ან "in praesentia" წერასთან.²¹ უფრო ზუსტად, შეიძლება დავასკვნათ, რომ სმს ფრანგული არც მთლიანად წერითი მეტყველებაა, არც მთლიანად ზეპირი, ხოლო საკომუნიკაციო სიტუაცია არც სრულიად "in praesentia" არის და არც ასრულიად "in absentia". აქედან გამომდინარე, ვერ ვიტყვით, რომ სმს ფრანგული არის ან "in absentia/in praesentia" წერა ან "in absentia/in praesentia" ზეპირი.

აზაელ-მასიეს ნაშრომების მნიშვნელოვანი ნაწილი შეეხება წერითი მეტყველების აღმოცენებას ისეთი ზეპირი ენების წიაღში, როგორიც კრეოლური ენებია. ზეპირი მეტყველების წერით ვარიანტამდე მიღწევის პროცესში იგი ეყრდნობა როგორც ლინგვისტური, ასევე სოციოლინგვისტური ფაქტორების გათვალისწინებას. ამჯერად ჩვენ ძირითადად ლინგვისტურ ასპექტებს მიმოვიხილავთ. ზეპირმეტყველება, რომელსაც აზაელ-მასიე შეისწავლიდა, ზეპირი ფრანგულისგან იმით განსხვავდება, რომ მას არ გააჩნია წერითი ვარიანტი. ამ შემთხვევაში შეიძლება ვისაუბროთ უბრალოდ ტრანსკრიფციაზე – ზეპირი ვარიანტის წერით საყრდენზე – და არა ჭეშმარიტ წერით ვარიანტზე.

"ენა, რომელიც წერას აღწევს [...] აღარ არის ზუსტად იგივე თავისი ზეპირი ფორმების ჩათვლით". [აქ ავტორს შენიშვნაში მოჰყავს] „ჟ. გუდი შენიშნავს: "წერა არ არის მხოლოდ ზეპირის ჩამნაცვლებელი და მისი მეორე

²⁰ ცხადია, სმს მიმოწერისას მხარეები არ იმყოფებიან რეალურ დროში და სივრცობრივადც დაშორებულნი არიან. მაგრამ ამ შემთხვევაში გვიჩვენია ვისაუბროთ რეალურ დროში სიტუაციაზე, ანუ სიტუაციაზე, რომელიც წარმოდგენილია აგებული. დროითი საკითხი ერთ-ერთი ძირითადი ღერძია, რომელზეც კლასიკურად ერთმანეთს უპირისპირდება "in absentia" და "in praesentia" განხილვები. პირველ შემთხვევაში დროითობა გასხვავებულია, მეორე შემთხვევაში – პირიქით.

²¹ გავეხსენოთ, რომ წერითი ნაირსახეობა ძირითადად ასოცირდება "in absentia" კომუნიკაციასთან, ზეპირი კი – პირიქით. თუმცა ყველა "in praesentia" კომუნიკაცია ვერ იქნება ზეპირ ნაირსახეობასთან ასოცირებული (მაგ. კონფერანსი, რომელიც დაწერილ მიმართვას კითხულობს, ანუ საქმე გვაქვს ადგილზე მყოფი აუდიტორიის წინაშე წერითი მეტყველებით საუბართან).

განზომილება, იგი თავად ზეპირი კომუნიკაციის ბუნებას ცვლის (Goody 1979: 146)““ (Hazaël-Massieux 1993: 27).

ამგვარი მოსაზრების გათვალისწინება ჩვენთვის აუცილებელია, რამდენადაც ჩვენი ჰიპოთეზის მიხედვით, სმს მომხმარებლებს სჭირდებათ განსაკუთრებული სოციოლინგვისტური კომპეტენციის გამომუშავება, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ ”in absentia” ყოფნისას მოიქცე ისე, როგორც ”in praesentia”. ვფიქრობთ, რომ ამგვარი კომპეტენციის განვითარება, რომელსაც ხშირად განმარტავენ, როგორც არაფორმალობისკენ სწრაფვას, უკავშირდება ტექნოლოგიურ შეზღუდვებს.

საინტერესოა აზაელ-მასიეს მიერ მოცემული, ოთხი ”სტადიისგან” შედგენილი სქემა. ამ სქემაში განსაკუთრებით ხაზგასასმელია ინტონაციის ადგილი, რომელიც სხვადასხვა ”სტადიების” მიხედვით იცვლება და ერთგვარ პრიზმას წარმოადგენს:

1. პირველ სტადიაში ანუ სალაპარაკო ზეპირ მეტყველებაში ინტონაციას აქვს ფუნდამენტური როლი (ინტეგრაციის, სეგმენტაციის, ექსპრესიული და გრამატიკული ფუნქციები);

2. მეორე სტადიაში ანუ გრაფირებულ ზეპირ მეტყველებაში (ტრანსკრიფციის სტადია) ინტონაციის როლი ძირითადია (ექსპრესიული და გრამატიკული);

3. მესამე სტადიაში ანუ წერით გრაფირებულ მეტყველებაში (წერის სტადია) ინტონაციის როლი მცირდება: ვითარდება ლექსიკური, ტაქტიკური, მორფოლოგიური ხერხები, რომლებიც გრამატიკული ფუნქციების გადმოცემას ემსახურება, ანუ იმას, რასაც ადრე ინტონაცია გამოხატავდა.

4. მეოთხე სტადიაში ანუ სალაპარაკო წერით მეტყველებაში ინტონაციას მხოლოდ ჭარბსიტყვაობის²² ფუნქცია აქვს: კომუნიკაციის ”დიდი” ერთეულების

²² redondance (ფრ.)

საზღვრების დადგენა (სეგმენტაცია, რაც ასევე მარკირებულია ლექსიკური და მორფო-სინტაქსური ხერხებით”) (Hazaël-Massieux 1993: 45).

ინტონაცია აქ არის ერთგვარი წითელი ხაზი, რომელიც საშუალებას იძლევა თვალი ვადევნოთ ლინგვისტურ ევოლუციას, რასაც წერისკენ მიმავალი ზეპირი მეტყველება განიცდის.

ავტორის აზრით, მთავარი, რაც განასხვავებს ერთმანეთისგან წერასა და ზეპირს, არის ზოგადად ”კომუნიკაციის ორგანიზაციის” პლანი. კონკრეტულად კი ეს განსხვავება ეხება ჭარბსიტყვაობის გამოხატვას, რაც ყველა ტიპის კომუნიკაციისთვის მნიშვნელოვანია (იგი არის გარანტია კომუნიკაციის ეფექტურობისა, რამდენადაც იცავს მას ისეთი ფენომენისგან, როგორიცაა ხმაური და ინფორმაციის გადაცემის საშუალებას იძლევა).

”ზეპირში ჭარბსიტყვაობა გამოიხატება გარკვეული ინფორმაციების უბრალო გამეორებაში, ჟესტებისა და მიმიკების გამოყენებაში, რომლებიც ხაზს უსვამს ან აძლიერებს ძირითად ინფორმაციას; სხვადასხვა ნიშნების გამოყენებაში, რომლებიც მიმართულია მოცემულ სიტუაციაში შეტყობინების ინტერპრეტირების გამარტივებისაკენ. წერაში, სადაც ჟესტები არ არსებობს, არ არსებობს ფიზიკური თანამოსაუბრე, არ არსებობს მყისიერად ხელმისაწვდომი სიტუაცია, მოქმელმა ყველაფერი უნდა გადასცეს ლინგვისტური შეტყობინებით, რომელიც, აქედან გამომდინარე, უნდა იყოს სრულყოფილი” (Hazaël-Massieux 1993: 47).

მაშასადამე, წერაში ”უნდა მოხდეს ზეპირისთვის სპეციფიური ყველა ამ ელემენტის კომპენსირება” (Ibid: 127): ხერხები მრავალია და ეხება როგორც ორთოგრაფიულ სისტემას, ასევე პუნქტუაციას (”რომელსაც შეუძლია შეცვალოს, მაგრამ მხოლოდ ნაწილობრივ, ინტონაცია” (Ibid: 127)), გრამატიკულ სტრუქტურას თუ ლექსიკის განვითარებას (”სინონიმების, პერიფრაზების ძიება და სხვ” (Ibid.: 167)).

სანამ წარმოვადგენდეთ უფრო კონკრეტულად თუ როგორ შეიძლება მოხდეს ეს ფუნქციური კომპენსირება ზეპირსა და წერას შორის, რაც ჩვენი ინტერესის ძირითად საკითხს წარმოადგენს, მანამდე შევჩერდებით წერა-ზეპირის დიქტომიასა და ე.წ. ზეპირმეტყველების გრამატიკის პრობლემატიკაზე.

3.3.3. დიქტომია წერა-ზეპირი

წერისა და ზეპირის დიქტომია საკმაოდ კარგად არის შესწავლილი (Baron 2000; Biber 1995; Crystal 2001; Halliday 1985/1989; Shortis 2001). წერითი და ზეპირი მეტყველების სიტუაციებს შორის ძირითადი განსხვავებები შეიძლება ცხრილის სახით ჩამოვყალიბოთ (იხ. ცხრილი 12).

ცხრილი 12: წერა/ზეპირი სიტუაციური მახასიათებლები

ზეპირი	წერა
აუდიო	ვიზუალური
არაფორმალური	ფორმალური
თანამოსაუბრეთა საერთო გამოცდილება	საერთო გამოცდილება არ არის აუცილებელი
საერთო დრო და სივრცე	განსხვავებული დრო და სივრცე
დიალოგური	მონოლოგური
ეფემერული	ხანგრძლივი
რეალური დროით შეზღუდული	დროში ნაკლებად შეზღუდული
სპონტანური	დაგეგმილი
არარედაქტირებული	რედაქტირებული
ინტერაქციული მიზანი	გააზრებული, იდეური მიზანი

გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნული დიქტომია ეფუძნება წერის, როგორც აკადემიური მეტყველების და ზეპირის, როგორც ყოველდღიური

საუბრის აღქმას. ამ შემთხვევაში მთავარია, თუ რა მნიშვნელობა აქვს ზემოთმოყვანილ მახასიათებლებს ტიპიურად აღქმული წერითი და ზეპირი მეტყველების ძერწვაში. ზეპირი და წერითი მეტყველების ენობრივი მახასიათებლები კარგად ჩანს ცხრილში 13.

ცხრილი 13: წერა/ზეპირი - ენობრივი მახასიათებლები

ზეპირი	წერა
მერყეობის გამომხატველი ნიშნები, როგორიცაა: ფალსტარტი, თვითკორექცია, გამეორება და ა.შ.	შეცდომებისა და ვიზუალური თვითკორექციის არარსებობა. წერა მეტად ორგანიზებული და სტრუქტურირებულია, ვიდრე ზეპირი.
კლაუზალური კომპლექსურობა და პარატაქსული ურთიერთობა (Halliday 1985/1989; 1994); გრძელი თანწყობილი წინადადებები.	ლექსიკურად კომპლექსური და დატვირთული (Halliday 1985/1989; 1994), კლაუზებს შორის ჰიპერტაქსული დამოკიდებულება (რაც გამოიხატება ქვეწყობის კავშირების გამოყენებაში).
თანამოსაუბრის მხრიდან რეაქციის, პასუხის მიღების შესაძლებლობა და სპეციალური დისკურსული მარკერების გამოყენება, როგორიცაა, მაგ. “ზომ იცი” და ა.შ.	ძირითადად მონოლოგური ხასიათი.
გამონათქვამებს შორის ნათელი	გამონათქვამები გამოყოფილია

საზღვრების არქონა. სტრუქტურული ერთეულები ხშირ შემთხვევაში ინტონაციისა და პაუზების საშუალებით გამოირჩევა ერთმანეთისგან.	ორთოგრაფიული ნორმებით (კაპირალიზება, წერტილი).
დეიქტიკური გამონათქვამების გამოყენება	ექსპლიციტურობა: დეიქტიკური სიტყვების არარსებობა.
ბუნდოვანი მეტყველება, თითქოს მოსაუბრე ახორციელებს კომუნიკაციის მიზანს “მესამე პირის მიმართ” (Brazil 1995: 29)	წერა, განსხვავებით ზეპირისაგან, უფრო “შინაარსის” გადმოცემაა ვიდრე სოციალური ურთიერთობების დამყარება.
პირის ნაცვალსახელების სიხშირე	პასიური კონსტრუქციების გამოყენება
ზმნების სიხშირე	ნომინალიზაცია
ყოველდღიური ლექსიკონი	ფორმალური და თემატური ლექსიკონი

პროსოდიული ნიშნები, როგორიცაა ინტონაცია, მახვილი, ტონალობა	გრაფიკული ნიშნები, როგორიცაა პუნქტუაცია, კაპიტალიზაცია, აბზაცები.
--	---

ზემოთ ჩამოთვლილი ენობრივი მახასიათებლები სწორედ იმ სიტუაციური შეზღუდვებიდან გამომდინარე არის წარმოქმნილი, რომლებიც ახასიათებს ერთი მხრივ წერით და მეორე მხრივ ზეპირ მეტყველებას. ნათელია, რომ წერა არის უფრო განცალკევებული და სტრუქტურირებული, ზეპირი კი – ჩართული და ფრაგმენტული (Chafe 1982). თუმცა ჰოლიდეი (Halliday 1985/1989) წერისა და ზეპირის სხვადასხვა სოციალურ ფუნქციებზე აკეთებს აქცენტს და სისტემურ-ფუნქციური თვალსაზრისიდან გამომდინარე საკომუნიკაციო არხთან ერთად ხაზს უსვამს მომხმარებელთან დაკავშირებული ცვლადების მნიშვნელობასაც. მისი აზრით, წერის გამოყენება ინფორმაციის შესანახად, გადასაცემად თუ ცოდნის გასავითარებლად წარმოშობს ლექსიკურად დატვირთულ, ექსპლიციტურ ტექსტს, ხელს უწყობს ნომინალიზაციისა და გრამატიკული მეტაფორის სხვა ფორმების გამოყენებას; ხოლო ზეპირი მეტყველების კლაუზალური სირთულე მას უფრო მოქნილს ხდის სხვადასხვა საკომუნიკაციო ფუნქციის შესრულებისთვის.

მართალია, წერა-ზეპირის დიქტომია ხელსაყრელი ამოსავალი წერტილია, მაგრამ მაინც გამარტივებულ განზოგადებას წარმოადგენს. ამგვარი ხედვა არა მხოლოდ ყურადღების მიღმა ტოვებს საკომუნიკაციო არხის გარდა სხვა სიტუაციურ მახასიათებლებს, არამედ ასევე ვერ ითვალისწინებს ტექნოლოგიის როლს პირისპირ სინქრონულ ზეპირმეტყველებასა და დისტანციურ ასინქრონულ წერით მეტყველებას შორის საზღვრების წაშლის ტენდენციაში (Baron 1998). ტექნოლოგიის, ისევე როგორც მომხმარებელთან და მომხმარებელთან დაკავშირებული სხვა მახასიათებლების, როლის გავლენა წერასა და ზეპირს შორის საზღვრების წაშლაზე უკეთ გამოიკვეთება სპექტრულ და მულტი-სპექტრულ აღწერებში.

3.3.4. წერისა და ზეპირის სპექტრული და მრავალგანზომილებიანი მოდელები

ბიბერმა (Biber 1988) პირველმა განავითარა მოდელი, რომლის მიხედვით შეიძლება ზეპირი და წერითი სამეტყველო ვარიაციების ერთმანეთისგან განსხვავება სიტუაციური და ლინგვისტური მახასიათებლების საშუალებით. მან თავის ნაშრომში კორპუსზე დამყარებული ანალიზის შედეგად ჩამოაყალიბა ტიპიურ წერილობით და ზეპირ სიტუაციებს – იგივე განზომილებებს შორის განსხვავებები, რომელთა საფუძველზე მოახდინა სამეტყველო ვარიაციების დახასიათება.

ბიბერმა თავისი ნაშრომით აღიარა, რომ სამეტყველო ვარიაციებს შორის განსხვავების მთავარი მიზეზი შეიძლება არ იყო მხოლოდ საკომუნიკაციო არხი და, ამავდროულად, ჩამოაყალიბა გარკვეული ჩარჩო, რომლის საფუძველზე შესაძლებელია სამეტყველო ვარიაციების ემპირიული განსაზღვრა რამდენიმე თანადროული ფუნქციური განზომილებისა და ენობრივი ნიშნის მიხედვით (Conrad and Biber 2001: 13-42). მის მიერ გამოკვეთილი განზომილებები საშუალებას იძლევა ერთმანეთს შედარებულ იქნას ისეთი სამეტყველო ვარიაციები, როგორიცაა აკადემიური პროზა, პირისპირ საუბარი, საგაზეთო სტატია თუ ფუნქციური პროზა ისეთი ნიშნების მიხედვით, როგორიცაა ჩართულობა, ინფორმაციულობა, ნარატიულობა, აბსტრაქტულობა და ა.შ. ეს ყველაფერი ხდება ხშირად წარმოდგენილი ენობრივი მახასიათებლებისა და მათი შესაბამისი ფუნქციების (ან განზომილებების) თანხვედრაზე დაყრდნობით.²³ ყოველივე ზემოთთქმული არ ნიშნავს იმას, რომ კონკრეტული ენობრივი მახასიათებლები საერთოდ არ ფიგურირებს გარკვეულ ტექსტებში, არამედ აქ ხაზი ესმება მათ მეტ-ნაკლები სიხშირით გამოყენებას.

მიუხედავად მისი მნიშვნელობისა, MDA-ს (Multy-Dimensional Analysis) გააჩნია გარკვეული შეზღუდვებიც. მას ხშირად უსაყვედურებენ იმას, რომ სრულიად ვერ ხსნის კავშირს თითოეული რეგისტრის სიტუაციურ

²³ მაგალითად, წარსული დროის, მესამე პირის ნაცვალსახელებისა და ზმნიხედების სიხშირე მიიჩნევა ნარატიული ფუნქციის ნიშნად.

მახასიათებლებსა და ლინგვისტურ ნიშნებს შორის (Collot and Belmore 1996). ასევე უსაყვედურებენ ანალიზისას ზედმეტად რთული პროგრამის გამოყენებას, თუმცა ბიბერმა ასევე მოგვცა უფრო მცირე მასშტაბებში განხორციელებული კვლევები კონკრეტული სამეტყველო ვარიაციების შესახებ (Collot and Belmore 1996). მოიხედავად კრიტიკისა, MDA-მ ერთგვარი გარდატეხა მოახდინა წერა-ზეპირი ვარიაციების თეორიულ აღწერაში. აღნიშნული მოდელი წინამდებარე კვლევისთვის მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც საკომუნიკაციო არხის გვერდით ხაზი გაუსვა მომხმარებელთან და მოხმარებასთან დაკავშირებული ფაქტორების ბაზისურ მნიშვნელობას.

სპექტრულ მიდგომაში საკომუნიკაციო მედიუმზე კონცენტრირების მთავარი შედეგია ის, რომ ტექნოლოგიურად გაშუალებული სამეტყველო ვარიაციები ერთად ჯგუფდება მიუხედავად მათი გამოყენებისა. იმ კვლევებში, რომლებშიც ტექნოლოგიური არხი წერასა და ზეპირს შორის საზღვრების წაშლის წინაპირობად არის აღიარებული, ზეპირი და წერითი მეტყველების წარმოებასა და გადაცემაში ტექნოლოგიის ეფექტი განთავსებულია წერა-ზეპირის სპექტრზე (Baron 1998; Crystal 2001). ამ სპექტრის მიხედვით ონლაინ კომუნიკაცია განიხილება, როგორც წერილობითი მეტყველება, რომელიც თანდათან უფრო მეტად ამჟღავნებს ზეპირისთვის დამახასიათებელ ნიშან-თვისებებს. დღეისთვის მიღებული თვალსაზრისის მიხედვით ელექტრონული კომუნიკაცია არის წერისა და ზეპირი მეტყველების ნიშნების ერთობლიობით მიღებული ჰიბრიდული ფორმა (Baron 1998; Crystal 2001). თუმცა ამგვარი თვალსაზრისის ნაკლოვანება არის ის, რომ ელექტრონული კომუნიკაცია განიხილება და აღიწერება ერთ ჰომოგენურ ვარიაციად და, როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, კომუნიკაციის მედიუმში სამეტყველო ვარიაციის განსაზღვრაში მთავარ ცვლადად მიიჩნევა.

კომუნიკაციის ელექტრონულ სახეობათა შეზღუდვებსა და პოტენციურ ფუნქციებს შორის განსხვავებები სულ უფრო მეტად არის აღიარებული და ძირითადად ეფუძნება სინქრონულობის, შეტყობინებათა სიგრძის, თანამოსაუბრეთა შორის ურთიერთობების ცვალებადობას (Collot and Belmore 1996; Gains 1999; Crystal 2001; Herring 2004; Shortis 2001; Baron and Ling 2003; Thurlow and

Brown 2003). ამგვარი განსხვავებები ამტკიცებს, რომ საერთო ჯამში ელექტრონული კომუნიკაცია განსხვავდება ფურცელზე დაფუძნებული თუ სხვა სამეტყველო ვარიაციებისგან და ყოველი ვარიაცია უნდა იქნას განხილული როგორც ცალკე, თავისთავადი თვისებების მქონე, ან შედარებული სხვა ენობრივ ვარიაციებთან არა საკომუნიკაციო არხზე დაფუძნებით, არამედ სხვა მახასიათებლების საფუძველზე. მაგალითად, კოლო და ბელმორი (Collot and Belmore 1996) CBB-ს აღწერენ, როგორც ენობრივად საჯარო ინტერვიუს მსგავსს, რაც გამოწვეულია მსმენელების არსებობით, და ხაზს უსვამენ ისეთი სიტუაციური ცვლადების მნიშვნელობას, როგორიცაა თემატიკა. სმს მეტყველება, არსებული ლიტერატურიდან გამომდინარე, წარმოადგენს ტექსტებს, რომლებიც ხასიათდება ასინქრონულობის სხვადასხვა ხარისხით, ყოველდღიური მიზნებით, ინტერპერსონალურობით, არაფორმალურობით, შედარებით მცირე ზომით და არასტანდარტული ორთოგრაფიული ფორმების მაღალი კონცენტრაციით (Hand af Segersteg 2001; Thurlow and Brown 2003). საბოლოოდ, სმს მეტყველება შეიძლება მივიჩნიოთ ცალკე სამეტყველო ვარიაციად მიუხედავად ფორმალური მსგავსებებისა ელექტრონული კომუნიკაციის სხვა სახეობებთან. სწორედ ეს არის წინამდებარე ნაშრომის მთავარი ჰიპოთეზა.

ჩვენს ნაშრომში გამოვიყენებთ ტერმინს “შესაძლებლობები”, რაც საშუალებას იძლევა, უფრო მეტი ყურადღება მიექცეს მომხმარებლის ქმედების გავლენას ტექნოლოგიაზე (North 2006). “შესაძლებლობები” ნორსის (North 2006: 212) მიერ განმარტებულია, როგორც “გარემოს მახასიათებლები, რომლებიც გამომდინარეობს მისი მატერიალური თავისებურებებიდან”. თუმცა გადამწყვეტი მაინც მომხმარებლის მიერ აღნიშნული შესაძლებლობების ეფექტურად გამოყენებაა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ის, თუ როგორ ხდება ტექნოლოგიის გამოყენება, დამოკიდებულია არა მხოლოდ იმ შესაძლებლობებზე, რასაც იგი იძლევა, არამედ იმაზე, თუ როგორ არის აღნიშნული შესაძლებლობები გამოყენებული მომხმარებლის მიერ მათი კულტურული ცოდნისა თუ გამოცდილების მიხედვით (North 2006: 212). საბოლოოდ, ტექნოლოგია ზღუდავს, მაგრამ ვერ აკონტროლებს ადამიანის ქცევას (Baron 2002) და მომხმარებლების ერთსა და იმავე ტექნოლოგიას სხვადასხვაგვარად იყენებენ (North 2006: 212).

ვარაუდი იმის შესახებ, რომ მოკლე ტექსტური შეტყობინება ზემოთაღნიშნული შესაძლებლობებით “იძერწება”, ეკუთვნის სარლოუსა და ბრაუნს (Thurlow and Brown 2003). მომხმარებლებს შეუძლიათ თავად გადაწყვიტონ როგორ მიაგვანონ სინქრონულ საუბარს სმს დიალოგი (Kasesniemi and Rautianen 2002, cited in Thurlow and Brown 2003: 13) ან გამოიყენონ სმს-ის შედარებითი ასინქრონულობა იმისათვის, რომ გააკონტროლონ თავიანთი ნაწერი (Ling and Yttry 2002: 159, cited in Thurlow and Brown 2003: 13). როგორც სარლოუსა და ბრაუნის კვლევიდან ჩანს (ისევე, როგორც ჩვენი საკვლევი კორპუსიდან გამომდინარე), შეტყობინებათა საშუალო სიგრძე 65 ნიშნით შემოიფარგლება, როცა სისტემა ერთ შეტყობინებაში 160 ნიშნის საშუალებას იძლევა. აქედან გამომდინარე ცხადია, რომ აბრევიაციები ნაკლებად არის მოტივირებული სივრცის დაზოგვის სურვილით, ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს უფრო დროის დაზოგვასთან და სხვა ინტერაქციულ მოთხოვნებთან (Thurlow and Brown 2003). ჩვენი კორპუსის კვლევამ კი აჩვენა, რომ ტელეფონის ფიზიკურ შეზღუდვებთან ერთად მომხმარებლის მიერ არასტანდარტული ფორმების გამოყენება სმს მეტყველებაში საკუთარი იდენტობის პერფორმირებისა და ზეპირი პირისპირ ინტერაქციის მიზანმიმართულ ხდება.

3.3.5. “მოკლე ტექსტური სინტაქსი”

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მოკლე ტექსტურ დისკურსს ბევრი საერთო აქვს ზეპირ გრამატიკულ ფორმებთან, რაც მას პირისპირ სინქრონულ საუბართან აახლოებს. აქედან გამომდინარე, კვლევას წარვმართავთ წერითი და ზეპირი გრამატიკის ინტეგრირებული მოდელის მიხედვით. კერძოდ, ვაჩვენებთ ერთი მხრივ, თუ როგორ იყენებენ მომხმარებლები ზეპირმეტყველების ფორმებს პირისპირ საუბრის არაფორმალური ეფექტის მიღწევის მიზნით. მეორე მხრივ ვნახავთ, რამდენად განსხვავდება შეტყობინებებში გამოყენებული სინტაქსი როგორც წერითი, ასევე ზეპირი მოდელისგან, რაც გვაძლევს იმის საფუძველს, რომ ვისაუბროთ ე.წ. “მოკლე ტექსტურ სინტაქსზე”.

3.3.5.1. კლაუზების კომბინაცია

კლაუზების კომბინაციის ანალიზისას განვიხილავთ კონკრეტულად, თუ როგორი მიმართება მყარდება შეტყობინებებში კლაუზებს შორის – პარატაქსული თუ ჰიპოტაქსული, და როგორია შეტყობინებებში რაოდენობრივი მიმართება კლაუზებსა და წინადადებებს²⁴ შორის. სანამ კორპუსის მონაცემებზე გადავალთ, აუცილებლად გვეჩვენება რამდენიმე განმარტების გაკეთება. პირველ რიგში დავაზუსტებთ, რომ ტერმინს “წინადადება” გამოვიყენებთ ტექსტის გარკვეული ფრაგმენტის აღსანიშნად, რომელიც შეიცავს ერთ ან რამდენიმე კლაუზას და მთავრდება წერტილით (ტექნოლოგიური შეზღუდვებიდან თუ სხვა ფაქტორებიდან გამომდინარე, წინადადების პირველი ასოს კაპიტალიზებას შეიძლება არ ჰქონდეს ადგილი). ამ შემთხვევაში თავს ავარიდებთ იმგვარი შეტყობინებების ანალიზს, რომლებიც საერთოდ არ შეიცავს წერტილს, კითხვის ნიშანს ან ძახილის ნიშანს.

ჩვენი საკვლევი კორპუსის მონაცემებით 260 შეტყობინებიდან 73 აღმოჩნდა ერთი კლაუზისგან შემდგარი ერთწინადადებიანი ტექსტი, შესაბამისად, მათში კლაუზების კომბინაციას ადგილი არა აქვს. მათ შორის უმრავლესობა კითხვითი (38) ან ძახილის (32) წინადადებაა²⁵. ამგვარი ტიპის შეტყობინებათა მაგალითებია:

(5) On se voit 2main?

(6) tu*fait un*bœuf*tout*seul?

(7) mes*zommes!☺

(8) ouesketa ete? :(

კორპუსის დანარჩენ მონაცემებში კლაუზების კომბინაციის ანალიზისას დავეყრდნობით ნაწილობრივ კარტერისა და მაკარსის (Carter and McCarthy 2006)

²⁴ კლაუზად მოვიხსენიებთ რთულ თანწყობილ ან ქვეწყობილ წინადადებაში შემავალ დამოკიდებულ წინადადებას და განვასხვავებთ ამით თავად „წინადადებისგან“.

²⁵ კითხვით ან ძახილის წინადადებად მივიჩნიეთ შესაბამისი პუნქტუაციური ნიშნის მქონე შეტყობინებები.

ზეპირი კლაუზების აღწერას, ისევე, როგორც ბიბერისა (Biber et al. 1999) და ჰოლიდის (Halliday 1994) ნაშრომებს. კარტერი და მაკარსი ზეპირი კლაუზების აღწერისას იყენებს მრავლობითი კოორდინაციის ცნებას : ზეპირმეტყველებაში კლაუზები ერთმანეთზე გადამებულია თანწყობის კავშირებით (and, but (ინგ.)) ან ქვეწყობის ისეთი კავშირებით, როგორიცაა because და so (ინგ.), რომლებიც ფუნქციონირებს, ფართო გაგებით, როგორც თანწყობის კავშირები. კარტერი და მაკარსი (Carter and McCarthy 2006: 556) აღნიშნავენ, რომ მრავლობითი კოორდინაცია შეიძლება მოხდეს ე.წ. «კონტაქტურ კლაუზებს» შორისაც (კლაუზები, რომლებიც ერთმანეთთან კოორდინირებულია არა კავშირით, არამედ მძიმეთი). საბოლოოდ, მრავლობითი კოორდინაცია მოიცავს კლაუზებს, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულია პუნქტუაციით, თანწყობისა და ზოგიერთი ქვეწყობის კავშირებით.

ამგვარი ზეპირი ტიპის წინადადებები, რომლებშიც კლაუზები მრავლობითი კოორდინაციით არიან ურთიერთდაკავშირებული, ჩვენს კორპუსში 260-დან მხოლოდ 42 აღმოჩნდა. მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს, სადაც კლაუზები გამოყოფილია “/” ნიშნით, წინადადებები კი – “//” ნიშნით:

(159) Je suis chez Camille,/ tu veux quelque chose?//

(34) si tu veux etre seul/ fais/ mais cherche pas des excuses !//

(160) si tu vois ma mere/ ne lui raconte pas mon histoire/ elle part demain/ et veut/ que j'aile avec elle.//

(142) Si sa se trouve/ ya 1 criminel/ ki rode ke la nuit/ é/ i son a sa recherche//. lol chui oci fol ke ma sœur//. A 2min.// Grododo Lolo.

როგორც ვხედავთ, პირველი სამი შეტყობინება, მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე კლაუზისგან შედგება, მხოლოდ თითო წინადადებას მოიცავს. მესამეში კი სამი წინადადება გვაქვს, რაც ჩვენს კორპუსში ძალიან იშვიათია.

საბოლოო ჯამში, ტიპური ზეპირმეტყველების მსგავსი შეტყობინება შეიცავს მცირე რაოდენობით (ერთი, ორი ან, ძალიან იშვიათად, სამი)

წინადადებებს, რომლებიც თავის მხრივ მრავალი კლაუზისგან შედგება. ამ უკანასკნელებს ერთმანეთთან უმრავლეს შემთხვევაში პარატაქსული მიმართება აქვთ და ურთიერთდაკავშირებული არიან თანწყობის კავშირებით ან მძიმით, ხოლო ჰიპოტაქსული მიმართების შემთხვევაში დომინირებს ქვეწყობის კავშირები « que » ან « si ».

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ზეპირმეტყველებისათვის ტიპური კლაუზების კომბინაცია კორპუსში შემავალი შეტყობინებების მხოლოდ მცირე რაოდენობაში გვხვდება. მათგან განსხვავებული კომბინაცია გვხვდება იმ შეტყობინებებში, რომლებსაც ჩვენ «სმს სინტაქსისთვის» ტიპურად მივიჩნევთ. ამგვარი შეტყობინებები შეიძლება მოიცავდეს რამდენიმე წინადადებას:

(149) Bsoir sister !//gsper/ksa va mie ac tzamie casscouill.//juste 1ti msg/ pr tsouété une bonne soiré !//gro bizou.// fone me d ktu pe !//

(137) ouai moi sa va C la forme !// 7 semain jaV D exam/ sa C bi1 paC.// Lá jregard star war 2 tro for Maitr Yoda !// Fo tro ke jaye voir le 3 bi1to.// Bizous.

(136) Slt ma pool !// Tu ve/ ke jtapel auj/ ou next week ?// 2tte facon on sera en tr1 2 révisé! // Di moi !//

როგორც ვხედავთ, სმს სინტაქსისთვის სპეციფიურია მცირე რაოდენობის (უმრავლეს შემთხვევაში მხოლოდ ერთი) კლაუზების მქონე რამდენიმე წინადადების შემცველი შეტყობინებები. ორი ან მეტი კლაუზის არსებობის შემთხვევაში უფრო ხშირად ჰიპოტაქსური მიმართება გვხვდება, ვიდრე პარატაქსული.

ამგვარად, სმს დისკურსისთვის დამახასიათებელია შეტყობინებები, რომლებიც შეიცავს ზეპირისგან განსხვავებით მეტი რაოდენობის წინადადებებს, მხოლოდ ეს უკანასკნელნი ზეპირთან შედარებით მცირე რაოდენობის (უმრავლეს შემთხვევაში ერთი), უმეტეს შემთხვევაში ჰიპოტაქსურ მიმართებაში მყოფი კლაუზებისგან შედგება.

გვხვდება ასევე შეტყობინებები, რომლებშიც კლაუზების როგორც ზეპირმეტყველებისთვის ასევე სმს სინტაქსისთვის სპეციფიური კომბინაცია გვხვდება. მაგალითისთვის მოვიყვანო შეტყობინებას, სადაც პირველი წინადადება ზეპირი ხასიათისაა, რამდენადაც შეიცავს პარატაქსული მიმართებით დაკავშირებულ სამ კლაუზას. შემდეგი სამი წინადადება კი სმს სინტაქსისთვის სპეციფიური, ერთი კლაუზისგან შემდგარი წინადადებების სახით წარმოდგება:

(161) On se voit chez Jean,/ on boie un peu/ et on s'exerce.// 3 ou 4 h max. //Flamarion 3.// tres facile.//

საბოლოოდ, კლაუზების კომბინაციის ორი ტიპის გარჩევა გვაფიქრებინებს, რომ მომხმარებელი არა მხოლოდ აგებს ზეპირ საუბართან მიახლოებულ მეტყველებას მრავლობითი კოორდინაციის საშუალებით, არამედ ასევე იყენებს სმს დისკურსისთვის სპეციფიურ კონსტრუქციებს, რომლებიც ერთი კლაუზისგან შემდგარი წინადადებების ჯაჭვში გამოიხატება.

3.3.5.2. დისლოკაცია

დისლოკაცია წარმოადგენს ზეპირი სინტაქსის ერთ-ერთ ყველაზე დამახასიათებელ ფორმას (Gadet 1990). ამ სახელწოდებით მოიხსენიებენ იმ სინტაქსურ მოვლენას, როდესაც არა-კლაუზური ელემენტი კონკრეტული კლაუზის წინ (მარცხენა დისლოკაცია) მდებარეობს ან მოსდევს მას (მარჯვენა დისლოკაცია). აღნიშნულ ელემენტებს ძირითადად სახელობითი ფრაზა წარმოადგენს და კლაუზის შიგნით ისინი ნაცვალსახელით მეორდება. კარტერი და მაკარსი ზეპირი გრამატიკის აღწერისას მარცხენა და მარჯვენა დისლოკაციის ნაცვლად იყენებენ ტერმინებს "header" და "tail". ამგვარად თავს არიდებენ ნორმიდან გადახვევაზე მინიშნებას. თუმცა ჩვენ ტრადიციულ სახელწოდებას გამოვიყენებთ და აღნიშნულ ფენომენს დისლოკაციის სახელით მოვიხსენიებთ. დისლოკაციის მოვლენა მსმენელზეა გათვლილი (Carter and McCarthy 2006: 196): მარცხენა დისლოკაცია ახდენს მსმენელის ერთგვარ ორიენტირებას და ამზადებს

მას ახალი ინფორმაციის მისაღებად, მარჯვენა დისლოკაცია კი უკვე ნათქვამის განმარტებას და გაძლიერებას ახდენს.

ფრაზის დისლოკაციური სეგმენტაცია საშუალებას იძლევა მის ამა თუ იმ მონაკვეთზე მოვახდინოთ ყურადღების კონცენტრირება და აღნიშნული მონაკვეთი გავხადოთ თემა. ამ შემთხვევაში ბალის (Bally 1932) შემდეგი მაგალითები მოჰყავს:

1. je n'arrive pas à résoudre ce problème
2. moi je n'arrive pas à résoudre ce problème
3. résoudre ce problème, je n'y arrive pas
4. ce problème, je n'arrive pas à le résoudre.

როგორც უკვე აღვნიშნეთ დისლოკაციის ფენომენი სასაუბრო ფამილიარული, აფექტური მეტყველებისთვის არის დამახასიათებელი (Bally 1932; Vendryes 1920). მიუხედავად ამისა, ჩვენს საკვლევ კორპუსში ამგვარი ფორმა ძალიან იშვიათად გვხვდება და სულ სამი შემთხვევა აღმოვაჩინეთ:

(27) Je te croyais ma meilleure amie, te considérais comme de ma famille. **Ce que tu me fais**, je ne te **le** pardonnerais jamais. Juste par jalousie, t'as piqué mon petit-ami. tu finiras seule toute ta vie sans aucun ami!

(43) j'aime la vie et toi .mé **une vie sans toi** je ny pense meme pas...je t'aime :*)

(171) **cette femme elle** m'a crevé, je **la** supporte plus ☹

ცხადია, რომ იმ ფაქტის გამო, რომ სმს შეტყობინებები ონლაინ მიმოწერისგან განსხვავებით იძლევა გამგზავნისგან კორექტირების, ხოლო მიმღებისგან გადაკითხვის საშუალებას, ამცირებს ადრესატისათვის მიმართულების მიცემის საჭიროებას, ამდენად იშვიათად გვხვდება მარცხენა დისლოკაცია. მარჯვენა დისლოკაციის არარსებობა კი, სავარაუდოდ, მომხმარებლებს შორის ახლო ურთიერთობისა და საერთო კონტექსტის არსებობის მიმანიშნებელია.

3.3.5.3. „კუდიანი კითხვები“²⁶

ე.წ. კუდიანი კითხვები არის ფორმაუცვლელი შეკითხვები, რომლებიც ზეპირმეტყველებაში გამოიყენება ნათქვამის გაგების ან თანხმობის დასადასტურებლად. მაგალითად:

(76) je t'aimme !!! on est sur la plage !!!; tu m'aimes, **non** ???

(5) On se voit 2main, **ok** ?

ჩვენს კორპუსში აღმოჩენილი კუდიანი კითხვებია: "oui?"; "non"; "n'est-ce pas?"; "d'accord?"; "ok?". აქედან უკანასკნელი ყველაზე ხშირად გვხვდება (5 შემთხვევა).

როგორც ვხედავთ, მოკლე ტექსტურ შეტყობინებებში აღნიშნული ფორმის შეკითხვები გვხვდება, თუმცა არა ისეთი სიხშირით, როგორც ზეპირმეტყველებაში. მათი გამოყენება კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს სმს მიმოწერის ინტერპერსონალურ ხასიათს და იმ ფაქტს, რომ სმს მიმოწერაში სივრცის დაზოგვაზე მეტად ხშირად ინტერპერსონალური მოთხოვნილებების პრიორიტეტი იგრძნობა.

3.3.5.4. მოკლე საპასუხო რეპლიკები²⁷

მოკლე საპასუხო რეპლიკები წარმოადგენს სიტყვებს ან ფრაზებს, რომლებიც "გამოიყენება მოსაუბრის მიერ ნათქვამის დასადასტურებლად და მსმენელის მხრივ აღნიშნული ნათქვამისადმი ინტერესის გამოსახატავად", და ამდენად მიუთითებს მთელ წინამორბედ გამონათქვამზე (Carter and McCarthy 2006: 189). კარტერისა და მაკარსის მიხედვით (Carter and McCarthy 2006) მოკლე საპასუხო რეპლიკები შეიძლება იყოს მინიმალური: სიტყვები ან ბგერები, როგორიცაა yeah, mm; ან არა-მინიმალური: ზედსართავები და ზმნიზედები (absolutely, certainly, definitely, fine, good, great, indeed, really (eng.)), ასევე ფრაზები ან კლაუზები (Is that so?;

²⁶ tag question (ინგ.)

²⁷ response token (ინგ.)

By all means, Fair enough, Not at all, True enough, Of course, What a pity! (eng.)). ამგვარი გამონათქვამები, თავიანთი როლიდან გამომდინარე, გაცილებით ხშირია ზეპირმეტყველებაში, ვიდრე წერაში.

ჩვენს საკვლევ კორპუსში აღმოჩენილი მოკლე საპასუხო რეპლიკები ძირითადად შეტყობინების დასაწყისში გვხვდება და ხშირ შემთხვევაში მომდევნო გამონათქვამის ნაწილს წარმოადგენს:

(170) **oui**, je sais. mais elle arrive demain et n'a pas de temps.

(153) **lol oui il veut** :) il demande que ca :)

ამავდროულად, ხშირად რამდენიმე მოკლე საპასუხო რეპლიკა გაერთიანებული გვხვდება:

(168) **non certainement**☺ je deteste tchater tu sais.

(169) **ok pas de prob.** je peux faire toute seule. mais ne me demande plus de lui phoner;)

გვხვდება ასევე შემთხვევები, როცა შეტყობინება შეიცავს ერთზე მეტ არასრულ პასუხს ან პასუხების ერთიანობას. ამის მიზეზია ის ფაქტი, რომ მომხმარებლები ზოგჯერ მიღებულ შეტყობინებაში არსებულ რამდენიმე შეკითხვაზე ერთი შეტყობინებით ცემენ პასუხებს:

(167) **ok. Non non**, juste viens chez moi, puis on va voir.

მოკლე საპასუხო რეპლიკებად განვიხილავთ ასევე არავერბალური მონაცემების გამომხატველ საშუალებებს, როგორიცაა: haha, lol, oops, x და სხვადასხვა ხატულები. მათ ჩვენ სმს დისკურსისთვის სპეციფიური მოკლე საპასუხო რეპლიკების სახელწოდებით მოვიხსენიებთ და ამით განვასხვავებთ ზეპირმეტყველებისთვის სპეციფიური ზემოთჩამოთვლილი საპასუხო რეპლიკებისგან. სმს დისკურსისთვის სპეციფიური საპასუხო რეპლიკები უმრავლეს შემთხვევაში სხვა მოკლე საპასუხო რეპლიკებთან ერთად გვხვდება:

(164) **lol pas mal**, merci☺

(166) **ha haa xxx** tu as fait ton premier reportage je vois, bravo! ;)

თუმცა საკვლევ კორპუსში აღმოჩნდა 5 შეტყობინება, რომლებიც მხოლოდ სმს დისკურსისთვის დამახასიათებელ თითო მოკლე საპასუხო რეპლიკას წარმოადგენს:

(162) ☺

(165) ☺

(187) ☹

(163) lol

(191) :-P

3.3.5.5. დისკურსული მარკერები

დისკურსულ მარკერებს, როგორც ერთეულებს ან როგორც კლასს, მკვეთრად განსაზღვრული კონტურები არ გააჩნია. ამგვარ ფორმებს დისკურსული მარკერების გარდა სხვა სახელწოდებებითაც მოიხსენიებენ: სტრუქტურაციის მარკერები (Traverso 1996; Dostie et de Seve 1999), კონექტორები (Riegel et al. 1994), დისკურსული ნაწილაკები (Mosegaard-Hansen 1998), დისკურსის სიტყვები (mots du discours) ან მცირე სიტყვები (petits mots) (Ducrot et al 1980, Vincent 1993, Bouchard 2000).

ფორმის მიხედვით დისკურსული მარკერები მოიცავს როგორც სიტყვების (ben, alors, oh, donc,tiens, enfin), ასევე ფრაზულ თუ კლაუზალურ ერთეულებს (tu sais, vois, de toute facon, c'est-a-dire). მათი დისკურსული როლი შეიძლება განსხვავდებოდეს არადისკურსული ფუნქციისგან, რამდენადაც მათი ადგილი უმეტესად განისაზღვრება კლაუზის გარეთ (Carter and McCarthy 2006: 209). დისკურსული მარკერების კლასი ყველაზე კარგად განისაზღვრება ფუნქციით: შიფრინის (Shiffrin 1987: 41) მიხედვით, დისკურსული მარკერები ქმნის "ვერბალური (ან არავერბალური) ხერხების ფუნქციურ კლასს, რომლებიც მიმდინარე საუბრის კონტექსტური კოორდინირების საშუალებას იძლევა".

კარტერისა და მაკარსის მიხედვით ”დისკურსული მარკერები დისკურსის სემანტიკებს აკავშირებს ერთმანეთთან მონიტორინგის, ორგანიზაციისა და მართვის მიზნით”. მათში შედის ისეთი ფუნქციები, როგორიცაა მისალმება-დამშვიდობების ფორმულები, ინტერაქციის დანაწევრება და თემების შეცვლის მარკირება, საერთო გამოცდილების მონიტორინგი. ამგვარად, ისევ კარტერისა და მაკარსის მიხედვით, დისკურსული მარკერები თამაშობს უფრო ინტერპერსონალურ როლს მიუთითებს რა თანამოსაუბრეებს შორის ფორმალობასა და ძალაუფლებრივ მიმართებაზე და ხაზს უსვამს ინტერაქციის მათეულ შეფასებას.

ზეპირმეტყველებისათვის დამახასიათებელი დისკურსული მარკერების ანალიზი ჩვენს საკვლევ კორპუსში ცხადჰყოფს უპირველეს ყოვლისა იმ ფაქტს, რომ ამგვარი ფორმები მოკლე ტექსტურ შეტყობინებებში ხშირად გვხვდება, მეორე მხრივ კი, ისინი ჩართულია დისკურსის ორგანიზებაში და თემატიკის საზღვრების მარკირებაში, ასევე ახდენს ყურადღების ფოკუსირებასა თუ გადატანას. თუმცა, ზეპირმეტყველებისგან განსხვავებით მათ ნაკლებად აქვთ ტექსტის დანაწევრებისა და დისკურსის მონიტორინგის ფუნქცია. ტექსტის დანაწევრების ფუნქციის ნაკლებად გამოყენება შეიძლება აიხსნას შეტყობინებათა მცირე ზომით, თუმცა დისკურსის მონიტორინგის ფუნქციის მქონე მარკერების (tu sais, tu vois) იშვიათობა უკვე საინტერესოა, რამდენადაც მოკლე ტექსტურ შეტყობინებებს საკმაოდ მაღალი ინტერპერსონალური სახიათი გააჩნია.

ზეპირმეტყველებაში მსმენელის მონიტორინგის ფუნქციის მარკერები, როგორიცაა ”tu vois” და ”tu sais”, ჩვენს საკვლევ კორპუსში ძალიან იშვიათია. კარტერისა და მაკარსის (Carter and McCarthy 2006: 221) მიხედვით ზეპირმეტყველებაში საერთო ცოდნის მონიტორინგი ძირითადად ხდება დისკურსული მარკერით ”you see” (”tu vois”), რომელიც ”გამოხატავს ვარაუდს იმის შესახებ, რომ მსმენელს შეიძლება არ ჰქონდეს იგივე ცოდნა, რაც მოსაუბრეს; და მარკერით ”you know” (”tu sais”), რომელიც მიუთითებს იმაზე, რომ მსმენელსა და მოსაუბრეს საერთო ცოდნა გააჩნიათ, გამონათქვამი არ არის

საკამათო, ან ამოწმებს, რომ მსმენელი ნამდვილად აღიქვამს ნათქვამს” (Carter and McCarthy 2006:221).

ჩვენს საკვლევ კორპუსში ”tu vois” მხოლოდ ორჯერ გვხვდება:

(19) **tu voi** ske tu ma fai la tinkiete pa sa t retombera dessus un jour e ne croi pa ke tu va te sortir com ca

(172) elle n'est pas assez adaptee a tout ca, **tu vois**, faut que je lui parle.

ასევე მცირე რაოდენობით არის ”tu sais”-ს შემთხვევები (4 შემთხვევა):

(182) **tu sais** que c la première fois que tu lol ce soir ?

(24) **tu sais** ke jtaime...ou il faut plus pr l demontrer? rstp.

(173) faut kon sarret sinon je peu ecrire san cesse **tu sais**

(192) **tu sais** je suis un ange moi > :)

საბოლოო ჯამში, „tu sais“-სა და „tu vois“- ს იშვიათი გამოყენება, სავარაუდოდ უკავშირდება სმს მიმოწერაში დროისა და სივრცის შეზღუდულობას. თუმცა, რამდენადაც ინტერპერსონალური მოსაზრებები ხშირად უგულვებელყოფს დროისა და სივრცის დაზოგვის საჭიროებას, ამგვარი დისკურსული მარკერების მცირე რაოდენობით აღმოჩენა საკვლევ კორპუსში სრულად მაინც ვერ აიხსნება.

ბიბერის (Biber et al 1999: 1083) მიხედვით „oh“ ზეპირმეტყველებაში ყველაზე ხშირად გამოყენებული შორისდებულია, რომელიც ჩვენს საკვლევ კორპუსში 56 შეტყობინებაში გვხვდება, მაგ.

(3) Oh, flora 2pui ke je t vu, J TM, tu é belle comme une fleur, é tu é si mignone, ke a chake foi ke je te regarde, mon coeur se met a battre plus vite ke les ailes dun oiseau. JTM. maxime... (ki te le dit du fond du coeur)

(4) Un escargot cois une limace que dit il... Oooh!! un nudiste lol

(174) Oh non j'ai oublié son adresse ☹

(175) Oh sorry j'ai pas pensé à tout ça.

მისი როლი, როგორც დისკურსული მარკერისა, უკავშირდება მის, როგორც შორისდებულის ხმარებას ახალი ინფორმაციის მიმართ გაკვირვების, იმედგაცრუებისა და სხვა ემოციების გამოსახატავად (Schiffrin 1987; Biber et al 1999; Carter and McCarthy 2006: 115). შიფრინის სიტყვებით „oh“ აადვილებს „ინფორმაციისადმი დამოკიდებულების გადაცემას“ ქმნის რა ყურადღების ერთიან ფოკუსს და აღნიშნავს ინფორმაციის თვალშისაცემობასა და მის შესახებ თანამოსაუბრეთა საერთო ცოდნას (Schiffrin 1987: 74).

როგორც ზეპირმეტყველებისთვის დამახასიათებელი სხვა ფორმების არსებობა, „oh“- ს შემთხვევებიც ხაზს უსვამს ფიზიკურ შეზღუდულობასთან შედარებით ინტერპერსონალური სურვილების პრიორიტეტულობას. სავარაუდოდ „oh“- ს მოკლე ტექსტურ შეტყობინებაში მომხმარებელი იყენებს პრაგმატული მიზნით: რათა მსმენელზე მოახდინოს იგივე პრაგმატული ეფექტი, რაც აღნიშნულ მარკერს ზეპირ საუბარში აქვს. ზეპირმეტყველებაში „oh“ ექსპლიციტურს ხდის ინფორმაციის მიმართ მსმენელისა და მოსაუბრის ორიენტაციას და, ამდენად აღნიშნავს „[მათ] შორის საუბრის გადანაწილებას“ და „თანაბარ წყობას ერთმანეთის მიმართ“ (Schiffrin 1987: 99-100). მისი არსებობა შეტყობინებებში, სადაც მომხმარებელს ნაკლები კოგნიტიური საჭიროება აქვს ინფორმაციის გარდამავალი ეტაპების აღსანიშნავად, მიანიშნებს იმაზე, რომ მომხმარებელი იყენებს „oh“- ს ზეპირმეტყველებისეულ ინტერპრეტაციას რათა შექმნას ინფორმაციის სასაუბრო არაფორმალური გაცვლა.

3.3.5.6. მისალმება-დამშვიდობების ფორმულები

ჩვენს საკვლევ კორპუსში თვალშისაცემია კიდევ ერთი არა-კლავზარული ელემენტის სიხშირე და როლი: მისალმება-დამშვიდობების ფორმულები. მისალმების ფორმულით (რომელსაც ხშირ შემთხვევაში მოსდევს მიმართვა) იწყება შეტყობინებათა თითქმის 10%. ამათგან ყველაზე ხშირად გამოყენებული ფორმულებია: Hi, Salut,Stl, Hey, Coucou, Ccou, Kikou, Helo, Bsoir:

(135) kikou ! Rdv dvt le mag d zick. Gros kisu.

(134) helo. dsl 2 te DranGPendan le weekendCsurtou kon a pa bocou 2 2voir ;)e je voule savoir sil fale rediG entieremen le com 2 frç. merci.biz

(106) Ccou poulette, ce soir super fromages au kot. Si te dit, il suffit d me smser le plus tot poss. Bon aprem, bisous X

შეტყობინებათა მხოლოდ 5% -ში გვხვდება მისალმების ფორმულის შემდეგ ადრესატის მოკითხვა (ca va?; comment ca va? comment vas tu? Keske tu deviens ? commen va? J esp q ca va). მაგალითად:

(32) Coucou grd frère ! Comment sa va ? faut pas croire que jvais t'oublier en vrai t'es que on cousin mais je te prend comme un frère. Je suis heureuse pour toi ! Joyeux anniversaire!

(67) Hi,ComenVaTuTreUmblAmi ? ;)

(69) Hi, Keske tu deviens et kestufé ojurdhui ?

(92) Coucou toi.-)commen va?

თითქმის იგივე რაოდენობით გვხვდება დამშვიდობების ფორმულები (დაახლოებით 9%): see you (c u ; see u), ciao, a tte, a toute, bizz, a demain (A 2m1), bisous (izous), Gros kizou, á bientô gros bisous, bon nuit, bon aprem, bon journe, biz.

(145) Noublie po le pantalon rose stp merci ma tite poule !! a tte

(141) Alor ta semain d postier s bien pace ? Et g penc a toi a chak x k jenten mdme lacroix. Alor fuck them all t plai. Titre simpa ki en di lou. Bizz

(139) T tro chou ! Moi ossi jss super contente 2 cet soiré kon é pu discuT ensembl ! Tkt mtu kon c kon é du bon coT 2la tabl fo trouV LEmec ! Bisou é bon journé ! A 2m1

საინტერესოა, რომ შედარებით ფორმალური სამეტყველო სტილისთვის დამახასიათებელი « au revoir » საკვლევ კორპუსში საერთოდ არ გვხვდება. ამავედროულად, მომხმარებელი ნაკლებად ზოგავს დროსა და სივრცეს დამშვიდობების ფორმულების ხარჯზე და თავს არ არიდებს არავერბალური

მონაცემების გამოხატვას, სიტყვებით იქნება ეს (bisou, biz) თუ გრაფიკული ნიშნებით (:-*) (X).

როგორც ვხედავთ, ჩვეულებრივი წერილისგან განსხვავებით მოკლე ტექსტურ შეტყობინებებში მისალმება-დამშვიდობების ფორმულები ნაკლებად გვხვდება. ამის ახსნა შეიძლება როგორც «მუდმივი კონტაქტის შეგრძნებით» («Sense of perpetual contact », (Thurlow 2003), ასევე შეიძლება განვიხილოთ, როგორც ინტენსიური სმს კომუნიკაციის მარკერი (Androutsopoulos and Schmidt 2004 : 64). სმს ადამიანებს საშუალებას აძლევს ერთმანეთთან კონტაქტი ჰქონდეთ დღის ნებისმიერ მონაკვეთში და შექმნან ისეთი სიტუაცია, თითქოს მოსაუბრეები ერთმანეთთან პირისპირ იმყოფებიან, მიუხედავად იმისა, რომ რეალურად ფიზიკურად ერთმანეთისგან დისტანციაზე იმყოფებიან. შესაბამისად, თუკი ადამიანები ერთმანეთს არ დაშორებიან, ანუ გამუდმებით ერთმანეთის პირისპირ იმყოფებიან, აღარ არის მისალმების საჭიროება.

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მისალმების ფორმულების ნაკლები რაოდენობა უკავშირდება ნიშანთა ეკონომიასაც, მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ კორპუსის შეტყობინებების უმრავლესობაში სრულად არ არის ათვისებული 160 ნიშანი, ამგვარი ახსნა არაადეკვატური ჩანს. მხედველობაშია მისაღები ის ფაქტიც, რომ შეტყობინებათა დიდი ნაწილი დიალოგის ნაწილს წარმოადგენს და ერთგვარ რეპლიკებად წარმოდგება. რამდენადაც პირისპირ თუ სატელეფონო საუბრისას რეპლიკები არ იწყება და არ მთავრდება მისალმება-დამშვიდობების ფორმულებით, ამ ტიპის შეტყობინებებშიც არ არის ისინი გამოყენებული.

ამგვარად, შეიძლება დავასკვნათ, რომ მისალმება-დამშვიდობების ფორმულების ნაკლებობა მოკლე ტექსტურ შეტყობინებებში აიხსნება პირველ რიგში არა დროისა და სივრცის შეზღუდულობით, არამედ სმს კომუნიკაციის ზეპირმეტყველების მსგავსი, დიალოგური ბუნებით და სმს დისკურსის თვისებით, ფიზიკურად დაშორებული ადრესატი წარმოადგინოს, როგორც პირისპირ მყოფი.

3.3.5.7. სიტუაციური ელიფსი

სიტუაციურ ელიფსს კარტერი და მაკარსი (Carter and McCarthy 2006 :181) განსაზღვრავს, როგორც «ელიფსი, რომელიც არა ექსპლიციტურად მიუთითებს უშუალო სიტუაციაში მყოფ ადამიანებსა თუ საგნებზე». ამგვარ მოვლენას უფრო ხშირად სალაპარაკო კონტექსტუალიზებულ ინტერაქციაში აქვს ადგილი, ვიდრე წერილობით ტექსტებში, სადაც საერთო კონტექსტი ნაკლებად არის. ელიფსის მნიშვნელობა სმს დისკურსში საინტერესოა, რამდენადაც სმს მიმოწერა უშუალო, არაფორმალურ ხასიათს ატარებს და მომხმარებლებს საერთო კონტექსტი გააჩნიათ. თუმცა შეტყობინებებში ზოგი ელემენტის გამოტოვება და ზოგის არა, სავარაუდოდ მიუთითებს იმაზე, რომ მომხმარებლები ერთი მხრივ ცდილობენ მიახლოებონ დისკურსი ზეპირმეტყველებას, მეორე მხრივ კი ვხვდებით სმს დისკურსისთვის სპეციფიურ ფორმებს.

მოკლე ტექსტურ შეტყობინებებში ზეპირმეტყველების მსგავსი ელიფსი მოიცავს ისეთ შემთხვევებს, როგორიცაა დეტერმინანტის, *il y a*-სა და უარყოფის ნაწილაკის (*ne*) გამოტოვება:

(208) *j'entend rien pcq trop de bruit*

(*je n'entend rien parce **qu'il y a** trop de bruit*)

(211) *Jariv pa a etudier bio*

(*j'arrive pas à étudier **la** bio*)

(212) *oki pr semaine proch, ma camion est déjà parti*

(*ok, pour **la** semaine prochaine, ma camion est déjà partie*)

ზეპირმეტყველებისთვის დამახასიათებელი ელიფსის გამოყენება კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ მომხმარებელი ცდილობს პირისპირ ინტერაქციის არაფორმალურობა და ინტიმურობა შესძინოს სმს კომუნიკაციას.

ზეპირმეტყველებისთვის არ არის დამახასიათებელი პირის
ნაცვალსახელის, განსაკუთრებით სუბიექტის გამოტოვება, თუმცა
შეტყობინებებში ამგვარი ფაქტები მაინც გვხვდება:

(213) non mai veu pas croire c pa rigolo du tout

(non mais **je ne** veux pas croire, ce n'est pas rigolo du tout)

(210) Pas eu mon exam

(je **n'ai** pas eu mon examen)

არაზეპირის მსგავს შემთხვევას წარმოადგენს ასევე შემაერთებული ზმნის
გამოტოვება:

(209) livre architect depose boite. Merci pr prêt.

(Le livre de l'architecture **est** déposé dans la boîte. Merci pour me le prêter.)

(214) Plage bon idée. loin mai ca va avec mon vieu carbo.

(La plage **est** une bonne idée. **c'est** loin mais ca va avec mon vieux carbo.)

ყოველივე აქედან გამომდინარე ცხადია, რომ მომხმარებელი ყოველთვის
არ ცდილობს ზეპირმეტყველების მიბაძვას, ამდენად გამოტოვების ზოგიერთი
შემთხვევის ახსნა სხვა ფაქტორებში უნდა ვეძებოთ. ამგვარ ფაქტორებს ისევ და
ისევ მედიუმის ფიზიკური შეზღუდულობა – დროისა და სივრცის დაზოგვის
საჭიროება წარმოადგენს.

3.3.5.8. გამეორება

გამეორების, როგორც «მსმენელის ჩართვის სტრატეგიის» მნიშვნელობა,
ბევრ ენათმეცნიერთან არის ხაზგასმული (Tannen 1989 ; Bolinger 1961 ; Hymes 1981).
ტანენის მიხედვით (Tannen 1989: 97), გამეორება არის «ინდივიდუალური
შემოქმედებითობისა და ინტერპერსონალური ჩართულობის შეუზღუდავი
რესურსი». ტანენი განასხვავებს თვით-გამეორებას (self-repetition) და ალო-
გამეორებას (allo-repetition), ეს უკანასკნელი ნიშნავს სხვის მიერ წარმოთქმული

ფონემების, მორფემების, სიტყვების, გამონათქვამებისა თუ სხვა უფრო ვრცელი დისკურსული ერთეულების გამოვლენას. ამგვარი გამოვლენა შეიძლება მოიცავდეს როგორც ზუსტ, ასევე პერიფრაზულ ფორმებს.

გამოვლენის სპეციფიური ფუნქციები სასაუბრო დისკურსში ტანენის მიერ ხუთ კატეგორიად არის დაჯგუფებული (Tannen 1989) :

1. დისკურსის წარმოების გამარტივება;
2. დისკურსის გაგების გამარტივება;
3. წინა დისკურსთან დაკავშირება;
4. ინტერაქციის გაადვილება;
5. გამოვლენა დისკურსის ამა თუ იმ მონაკვეთისა, რომელიც შეიძლება მსმენელმა ვერ გაიგონა ან არ მიაქცა ყურადღება.

ხუთივე ფუნქცია ერთად შედის უფრო ზოგადი ფუნქციის – ჩართულობის შემადგენლობაში (Tannen 1989: 52).

მოკლე ტექსტურ შეტყობინებებში, ისევე როგორც ზეპირმეტყველებაში, გამოვლენა გამოიყენება ჩართულობის შესაქმნელად. ეს უკანასკნელი მიიღწევა გარკვეული შეფასებითი ეფექტის გამოწვევის საშუალებით, რაც ამგვარი შეზღუდული მედიუმის შემთხვევაში სხვაგვარად რთული მისაღწევია, და პასუხების დაკავშირებით წინა შეტყობინებებთან (ტანენის მიერ გამოყოფილი დაკავშირების ფუნქცია). თუმცა ზეპირმეტყველებისგან განსხვავებით, ნაკლებად ჩანს, რომ მომხმარებელი გამოვლენას იყენებდეს დისკურსის წარმოქმნის მიზნით. სავარაუდოდ ამის მიზეზია ის, რომ თუკი ზეპირმეტყველება რეალურ დროში მიმდინარეობს, სმს მიმოწერა ასინქრონულია: მომხმარებლებს აქვთ ტექსტის დაგეგმვისა და რედაქტირების დრო. ამას გარდა, ზეპირისგან განსხვავებით, კორპუსის ანალიზი ცხადჰყოფს სტილისა და შეტყობინებათა სტრუქტურის გამოვლენის შემთხვევებს.

გამოვლენა მოკლე ტექსტურ შეტყობინებებში ორ ძირითად ფუნქციას ასრულებს: თვით-გამოვლენას აქვს შეფასებითი როლი, ხოლო ალო-გამოვლენა

შეფასებითი როლის გარდა, მიუთითებს მოსმენაზე და ერთმანეთთან აკავშირებს მოსაუბრეთა აზრებს. მაგალითად განვიხილოთ შემდეგი შეტყობინება:

(21) oui c exact, chui un peu etrange tu l sais, oui assez etrange :-p biz

ამ შემთხვევაში გრამატიკული კონსტრუქცია un peu etrange » მეორდება « assez etrange »- ის ფორმით და წარმოადგენს თვით-გამეორებას. ამით ხაზი ესმება მოსაუბრის თვით-შეფასებას: თუკი პირველ ნაწილში იგი ამბობს «ცოტათი უცნაური ვარ», შემდეგ უფრო აძლიერებს ამ შეფასებას «საკმაოდ უცნაური»-თ. რა თქმა უნდა, მომხმარებელს შეეძლო პირდაპირ მეორე კონსტრუქცია ეხმარა, მაგრამ ამ შემთხვევაში თვითშეფასების ეფექტი ნაკლები იქნებოდა.

იგივე ტიპის კონსტრუქციები გვხვდება შემდეგ შეტყობინებებში:

(185) appelle moi quand tu arrives... si jamais tu arrives... ca fait un an que j'attend :(

(186) kellogs ah non, pas du tout:)) franchement pas:) mais tu ne m'as toujours pas dit ce qu'on allait goûter :)

პირველ შემთხვევაში კონსტრუქციის « tu arrives » გამეორება და « quand » - ის შეცვლა « si » კავშირით მიუთითებს იმაზე, რომ მოსაუბრე არ არის დარწმუნებული ადრესატის ჩამოსვლაში, მით უმეტეს, რომ თურმე ერთი წელია ელის. მეორე შემთხვევაში უარყოფის გამეორება (non, pas du tout; franchement pas) უფრო დამაჯერებელს ხდის პასუხს.

აღნიშნულ მაგალითებში სინტაქსური პარალელიზმი კიდევ ერთხელ ამტკიცებს იმას, რომ მედიუმის ტექნიკურ შეზღუდვებს (დროისა და სივრცის დაზოგვა) ხშირად ნაკლები გავლენა აქვს მომხმარებლის არჩევანზე.

შემდეგ მაგალითებში განვიხილავთ ალო-გამეორებას, რომელიც გაგზავნილ და მიღებულ შეტყობინებებში მეორდება:

(181) A. tva fini par avoir l Dpression... non **je lol**...

(182) B. tu sais c la première fois que **tu lol** ce soir.

(183) A. Tes **chez toi** ? on peu aller faire en ptit tour si tu veu.

(184) B. oui je suis **chez moi**. non merci, je veux me reposer un peu pour demain, tu saïs.

ამ ტიპის გამეორება ერთი მხრივ მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ ადრესატმა გაიგო ნათქვამი და, მეორეს მხრივ აძლიერებს გამონათქვამს და თამაშობს შეფასებით როლს. შანსი იმისა, რომ პასუხის დროს ამგვარი გამეორების გარეშე გაუგებრობა მოხდეს, გაცილებით დიდია სმს მიმოწერაში, ვიდრე პირისპირ საუბარში. მაგალითად, შემდეგ შეტყობინებებში გამეორების არარსებობის გამო ადვილი არ არის იმის გამოცნობა, თუ რომელ შეკითხვას რომელი პასუხი აქვს გაცემული:

(178) A. ta son numero ? sinon je vai demander

(179) B. **Non, oui**, jten pris. ta fini ?

(180) A. **ok, non, non**, jaten encore

საინტერესოა, რომ ზეპირისგან განსხვავებით, სმს დისკურსში უმეტესად გვხვდება არსებითი სახელის სრული გამეორება და არა მისი შეცვლა პირის ნაცვალსახელით, ელიფსითა თუ სხვა ანაფორული რეფერენციით. მაგალითად:

176) A. alors ca va avec ta nouvelle jupe ? n va au pub a 19 :30 si tu veux je peux passer.

(177) B. Dac on va au pub. Ma jupe jaieme pas trop mais ca va.

როგორც ვხედავთ, არსებითი სახელები pub და jupe მეორე შეტყობინებაში სრულად არის გამეორებული. ზეპირმეტყველებაში ამ შემთხვევაში სავარაუდოდ ზმნიზედა (y) და ნაცვალსახელი (elle) იქნებოდა გამოყენებული. მაგრამ, რამდენადაც სმს მიმოწერა არ არის სინქრონული ხასიათის, არსებითის გამეორება საჭიროა, რათა მოხდეს პასუხის დაკავშირება წინა შეტყობინების შესაბამის ნაწილთან.

ამგვარად, გამეორება სმს დისკურსში რამდენადმე განსხვავდება ზეპირმეტყველებისგან იმისდა მიხედვით, თუ რა მიზნით და რა შესაძლებლობებს იყენებს მომხმარებელი. როგორც ასინქრონული კომუნიკაციის სახე, მოკლე ტექსტური შეტყობინება გამეორებას იყენებს, რათა ერთმანეთთან დააკავშიროს გაგზავნილ და მიღებულ შეტყობინებებში არსებული შეკითხვები და პასუხები, ან უბრალოდ იდეები. გარდა ამისა, გამეორება თამაშობს გამლიერებისა და შეფასების როლს, რაც სხვაგვარად ძნელი მისაღწევია მედიუმის შეზღუდული რესურსებიდან გამომდინარე.

3.3.5.9. სინტაგმატური სტრუქტურის მარკერები

მორფოლოგიური და ტიპოგრაფიული ადაპტაციების განხილვიდან გამომდინარე ცხადი გახდა, რომ არატრადიციული ვარიანტების ძირითადი მიზანი მოკლე ტექსტურ დისკურსში არის დროისა და სივრცის ეკონომია და ენობრივი იდენტიფიკაცია. ამჯერად შევჩერდებით ამგვარი არატრადიციული ვარიანტების სინტაქსურ როლზე მოკლე ტექსტურ შეტყობინებებში. როგორც უკვე ითქვა, ზეპირ გამონათქვამებში სინტაქსური კავშირების ანალიზისას ინტონაციას ხშირად გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. დავასკვნით ისიც, რომ მოკლე ტექსტური დისკურსი შეიძლება ჩავთვალოთ ”წერით ზეპირმეტყველებად”. შესაბამისად, სინტაქსური კავშირების მარკერებად ამგვარ დისკურსში გვევლინება ის ელემენტები, რომლებიც შეიძლება ინტონაციის ჩამნაცვლებლად წარმოვიდგინოთ. ამგვარი ელემენტებია პარავერბალური და არავერბალური მონაცემების გამომხატველი ტიპოგრაფიული ვარიანტები – გრაფიკული წაგრძელებები, ექსპრესიული პუნქტუაცია და ხატულა.

გრაფიკული წაგრძელებები

(151) Jojo mon amiii comment tu vas mon grand?

მოცემულ მაგალითში შეიძლება ჩავთვალოთ, რომ გრაფიკული წაგრძელება თამაშობს სტრუქტურული მარკერის როლს იმდენად, რამდენადაც ვიზუოგრაფიული თვალსაზრისით ამ ხერხით საზღვარია გავლებული გამონათქვამის ორ ნაწილს შორის. აქ სტრუქტურულად ადგილი აქვს

პარალელიზმს პრე-რემატული და პოსტ-რემატული სინტაგმების დონეზე: "mon amiii" და "mon grand", თუმცა მათ შორის გამმიჯნავი პუნქტუაცია არ არსებობს.

ექსპრესიული პუნქტუაცია

(215) cam ah voui... toujours aussi affectionnees les relations entre vous je vois

ამ შემთხვევაში სამი წერტილი ერთმანეთისგან ყოფს პრემბულას და რემას. საინტერესოა ასევე სემანტაღური ხასიათის პოსტრემა – "je vois". "les relations entre vous"-სა და "je vois"-ს შორის არ არის არავითარი დემარკაცია, რამდენადაც ეს უკანასკნელი შეიძლება ზედმეტად ჩაითვალოს. მართლაც, მოცემულ ჯაჭვში ერთმანეთის გვერდიგვერდ მყოფი ელემენტები – "vous" და "je" – არ შეიძლება იყოს ერთსა და იმავე სინტაქსურ პლანში (როგორც, მაგალითად კონკრეტული ზმნის ნაცვალსახელოვანი არგუმენტები), რამდენადაც არსებობს წინდებული "entre", რომელიც იმთავითვე ახდენს აღნიშნულ ნაცვალსახელებს შორის გამიჯვნას.

ხატულა

გრაფიკულ წაგრძელებებთან და ექსპრესიულ პუნქტუაციასთან შედარებით ხატულები გაცილებით ხშირია ჩვენს კორპუსში და, შესაბამისად, მათი სინტაქსური როლიც ძლიერია. განვიხილავთ სინტაგმატურ ჯაჭვში სხვადასხვა პოზიციაში მყოფი ხატულების რამდენიმე მაგალითს.

ყველაზე ხშირად ხატულები შეტყობინების ბოლოს გვხვდება და პუნქტუაციის როლს ასრულებს. იშვიათია ისეთი შემთხვევა, სადაც გამონათქვამის ბოლოს წერტილი და ხატულა ერთად იქნება. როგორც წესი, მომხმარებელი გამონათქვამს (და ხშირ შემთხვევაში შეტყობინებას) ასრულებს წერტილით (1), ხატულით (2) ან სიტყვით (პუნქტუაციის ნიშნის გარეშე) (3).

(70) Bonjour. Je prends cet instant pour vous souhaiter joyeux et heureux anniversaire.

(68) L vil après souper ;)

(73) JeTécrisJoyeuxAnniversaire

წერტილისგან განსხვავებით, ძახილისა და კითხვის ნიშნის შემდეგ ხშირია ხატულის ხმარება:

(216) mais c'est tres bien 2eme! ou bien vous n'etiez que 2 equipes?;)

(85) Woooww ! :-))

(67) Hi,ComenVaTuTreUmblAmi ? ;)

(43) j'aime la vi et toi mé une vie sans toi je ny pense meme pas...je t'aime :*)

ამჯერად განვიხილავთ გამონათქვამში შუალედურ პოზიციაში მყოფი ხატულის შემთხვევას, რაც ასევე ხშირია ჩვენს საკვლევ კორპუსში. ამგვარი პოზიციის დროს ჩვენი ინტერესის მთავარი მიზანია განვსაზღვროთ, აქვს თუ არა ხატულას სინტაგმატურ ჯაჭვში განსაზღვრული ფიქსირებული ადგილი, უკავშირდება თუ არა იგი რომელიმე სხვა მასტრუქტურირებელ მარკერს და ა.შ.

განვიხილავთ გამონათქვამში შუალედურ პოზიციაში ხატულის ორ შემთხვევას: ერთი ხატულა შუალედურ მდგომარეობაში (153, 92, 62, 152, 154) და ორი ან რამდენიმე ხატულა შუალედურ მდგომარეობაში (155 და 186).

(153) lol oui il veu:) il demande que ca :)

(92) Coucou toi:-)commen va?

(62) salut Joji :(y a tjrs qch ki empeche :-(

(152) j'en i reçu alors ne le nie pas :p lol je rigole :)))

(154) non pas du tout ;) g essayé 2tapele pl 1 2foi

(155) moi? :) i'm crevee!:) sinon ca va quoique un tit massage ne me ferait pas de tort;)

(186) kellogs ah non, pas du tout:)) franchement pas:) mais tu ne m'as toujours pas dit ce qu'on allait goûter :)

შედარებით ნეიტრალური ემოციური შეფერილობის მქონე ხატულა - :-)) – ხშირ შემთხვევაში ერთგვარი მისალმების რიტუალს უკავშირდება და მისალმების ფორმულის შემდეგ დგას, როგორც ეს გვხვდება შეტყობინებაში 92. ამ შემთხვევაში იგი, შეიძლება ითქვას, მოცემული საზოგადოებისთვის მიღებულ ზრდილობის კოდს უკავშირდება და ნაკლები ემოციური შეფერილობა აქვს. ამასთან, აღნიშნულ მაგალითში ხატულა პუნქტუაციის როლსაც ითავსებს.

უფრო დეტალურად განვიხილოთ შეტყობინება 62. აქ უფრო მკვეთრი ემოციური შეფერილობის ხატულასთან გვაქვს საქმე – :-(. ამ შემთხვევაში ხატულა არ არის დაკავშირებული მისალმებასთან ან ზრდილობის ფორმულასთან, არამედ გარკვეული ფაქტით გამოწვეულ იმედგაცრუებას, გულისტკივილს, რეალურ ემოციას გამოხატავს. აღნიშნული შეტყობინება შემდეგნაირად უნდა იქნას წაკითხული: ”1) Salut Joji, 2) :(y a tjrs qch ki empeche :-((”. ამასთან საქმე გვაქვს ორმაგ ჭარბსიტყვაობასთან: სიცილაკის გამეორებით აღმნიშვნელის პლანში და სიცილაკებს შორის მოქცეული ვერბალური ჯაჭვით აღსანიშნის პლანში. გარდა ამისა, შეიძლება ჩავთვალოთ, რომ ხატულას პუნქტუაციური როლი ამ შემთხვევაშიც სახეზეა: შუალედურ პოზიციაში მყოფი ხატულა არა მხოლოდ მიაწინებს გამონათქვამის მეორე სეგმენტზე, არამედ ერთგვარად ამცნობს პირველი სეგმენტის დასრულებასაც.

შუალედური ხატულას სინტაქსური პოზიციის უფრო დეტალურად განხილვისას შესამჩნევია, რომ მას უჭირავს სხვადასხვა პოზიციები: პრემბულის დასასრული (92; 62; 155), პირველი გამონათქვამის დასასრული (153; 152; 154; 186). მოცემული მაგალითების უმეტესობაში ხატულა ერთადერთი სტრუქტურული მარკერია (153; 92; 62; 154). შეტყობინებები 152, 155 და 186 ორმაგი სტრუქტურული მარკირების მაგალითებს წარმოადგენს, სადაც ხატულებთან ერთად იგივე ფუნქციას ინაწილებს პირველ შემთხვევაში (152) ნაცვალსახელთა (j'; je,) გამეორება, მეორე შემთხვევაში (155) – პუნქტუაციური ნიშნები (?; !), ხოლო მესამე შემთხვევაში (186) – კავშირი ”mais”.

არის შემთხვევები, სადაც ხატულას პოზიცია შეტყობინების ინტერპრეტაციაში გადამწყვეტ როლს ასრულებს. მაგალითისთვის მოვიყვანოთ ორ შეტყობინებას:

(157) solo je vois pas aussi loin;) avec toi c kan tu veux toutes facons t sais bien!

(158) ma camille merci encore toi;) ca va?

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ორივე შემთხვევაში ხატულას პოზიცია გადამწყვეტ როლს ასრულებს შეტყობინების ინტერპრეტაციისთვის. ამის საილუსტრაციოდ შეგვიძლია შევუცვალოთ ხატულას მდებარეობა:

solo je vois pas aussi loin avec toi ;) c kan tu veux toutes facons t sais bien!

ma camille merci encore;) toi ca va?

ამგვარად ცხადი ხდება, რომ მოკლე ტექსტურ დისკურსში ხატულას სინტაქსური როლი მნიშვნელოვანია.

ხატულას პოზიციასთან დაკავშირებით საკვლევ კორპუსში აღმოჩენილი შემთხვევებიდან საინტერესოა ასევე შეტყობინების დასაწყისში მყოფი ხატულას შემთხვევა:

(156) :)) oui, une bonne soirée. Tu veux voir des photos ? C'était super ;)

ამჯერად აშკარაა, რომ ხატულა მიღებულ შეტყობინებაზე ემოციურ პასუხს წარმოადგენს, რასაც მოსდევს ვერბალური პასუხი. შეიძლება ჩავთვალოთ, რომ გამონათქვამი « :)) oui, une bonne soirée » ორი სეგმენტისგან შედგება, რომელთაგან პირველი ხატულაა, მეორე კი – ვერბალური ნაწილი.

აქვე უნდა განვიხილოთ შეტყობინებები, რომლებიც მხოლოდ ხატულასგან შედგება (:-)), სადაც ხატულა მიღებულ შეტყობინებაზე პასუხს წარმოადგენს და მთელი გამონათქვამის როლს ასრულებს.

საბოლოო ჯამში, ხატულების სტრუქტურული როლის შესახებ შეიძლება დავასკვნათ, რომ გამონათქვამის ბოლოს მოთავსებული ხატულა ძირითადად ასოცირდება ძლიერ პუნქტუაციასთან (მახილის ან კითხვის ნიშნებთან ერთად), ან მარტო გვევლინება სხვა სტრუქტურული მარკერების გარეშე. ამ შემთხვევაში იგი არის პუნქტუაციური როლის მქონე პოსტრემატული ელემენტი.

შუალედურ პოზიციაში მყოფი ხატულას შემთხვევაში მაკრო-სინტაქსურ დონეზე იგი გვევლინება პრემბულის ბოლოს (ან შიგნით) ან პირველი და მეორე გამონათქვამის მიჯნაზე. ამ შემთხვევებში ხატულას მარტოს შეუძლია ითამაშოს მასტრუქტურირებელი როლი.

3.3.5.10. კონვერსია

კონვერსია, ანუ გრამატიკული კლასის ცვლილება საკმაოდ ჩვეული ფენომენია. კორპუსში გვხვდება როგორც ზეპირმეტყველებისთვის ჩვეული კონვერსიის შემთხვევები, ასევე საკუთრივ სმს დისკურსისთვის ჩვეული მორფო-სინტაქსური კონსტრუქციები.

ზეპირისთვის ჩვეული კონვერსია უკავშირდება არსებითი სახელი « genre »-ის ხმარებას ზმნიზედად ან მაკავშირებელი სიტყვად:

(120) jpeu vnir ms ke jusk genre12h.

(121) Dsl pr lretard mai jetai ds un trip danse. Genre je met la musik a fon et jdanse.

(122) Pourrais tu egalement me prendre qqes fluo, genre orange-bleu-vert-jaune, stp?

(123) T'as pas envie d'acheter un petit kdo pour lu, genre 10-15€ et on ldonne a 2?

უფრო უჩვეულო შემთხვევაა ზმნის ადგილზე ნახმარი არსებითები cœur და tél :

(118) Je te cœur tout plein tout plein ! Gros bisous ! Je te teleraï a 13h.

ხშირია ზმნური გამოყენება სიტყვებისა dodo და sms :

(104) Sms-moi qud tu arriv

(105) Non mé pq tu sms pr l bisou

(106) Ccou Poulette, ce soir souper fromages au kot. Si ca te dit, il suffit d me smser le plus tot poss. Bon aprem, bisous.

(107) Je pe dodo ds tes bras ?

(108) Je suis crevee dc je vais déjà dodo !

(109) Tu vas déjà aller dodo je suppose ?

ზემოთმოყვანილ მაგალითებში dodo შეიძლება ჩავთვალოთ faire dodo- ს შემოკლებულ ფორმად, თუმცა ზოგ შემთხვევაში აშკარაა, რომ თავად dodo არის ზმნად ნახმარი:

(110) Mon appel c t pr etre sur ke tu dodo plu

იგივე ტიპის კონვერსია გვხვდება ონომატოპეასთან და lol-თან:

(111) bon ben comme j'arrivais pas a zzz, j'ai étudié math !

(112) Gpa encor fini Rappor ms jen px plu, jv zzz qd mm

(181) Tva finir par avoir l Dpression... non je lol...

(182) tu sais que c la premiere fois que tu lol ce soir ?

(113) Enfin tout dépend du film !! Non je lol !

გვხვდება ასევე ზედსართავ სახელად ნახმარი lol :

(114) Moi j'ai pu faire un autre reportage, c'était lol.

(115) Je trouve lol l'histoire avec caro

(116) Tro lol ya plein d'gens ki veule me voir demain.

ამგვარად, როგორც ვხედავთ, მოკლე ტექსტურ შეტყობინებებში გრამატიკულ კონვერსიას აქვს როგორც ზეპირი, ასევე საკუთრივ სმს დისკურსისთვის სპეციფიური სახე.

3.3.6. დასკვნა

საკვლევი კორპუსის ანალიზიდან გამომდინარე აღმოჩნდა, რომ სინტაქსური თვალსაზრისით მოკლე ტექსტური შეტყობინებები აჩვენებს როგორც ზეპირმეტყველებისათვის, ასევე საკუთრივ «სმს დისკურსისთვის» დამახასიათებელი ფორმების არსებობას.

მაგალითად, ზეპირმეტყველებისგან განსხვავებით, შეტყობინებები შეიცავს მცირე რაოდენობით, ხშირად არეული ურთიერთკავშირის მქონე წინადადებებს, რომლებიც თავის მხრივ, შედარებით მეტი რაოდენობის კლაუზებისგან შედგება. ამ უკანასკნელებს შორის უმეტესწილად ჰიპოტაქსური მიმართებაა. ამდენად, კლაუზების კომბინაცია სმს დისკურსში ზეპირმეტყველებისგან რამდენადმე განსხვავდება.

არასრული პასუხების ანალიზის შედეგად აღმოჩნდა, რომ გარდა ზეპირისათვის დამახასიათებელი პასუხებისა, შეტყობინებებში დიდი ადგილი უჭირავს საკუთრივ სმს დისკურსისთვის სპეციფიურ ფორმებს, როგორიცაა ხატულები, « lol », « haha » და ა.შ. ზეპირისგან განსხვავებით შეტყობინებებში მოკლე პასუხები იშვიათად გვხვდება ცალკე მდგომი, არამედ უფრო ვრცელი გამონათქვამის ნაწილს წარმოადგენს. ამასთან, ხშირად რამდენიმე არასრული პასუხი გაერთიანებულია.

ანალიზმა ცხადჰყო ასევე ზეპირმეტყველებისთვის ტიპიური დისკურსული მარკერების (tu vois, tu sais, oh) არსებობა. მიუხედავად იმისა, რომ საკვლევი შეტყობინებებიდან ნაკლებად ჩანს მომხმარებლების მიერ თანამოსაუბრის ჩართულობის ექსპლიციტური მონიტორინგი, ზეპირი მარკერების (oh) ხმარება ცხადჰყოფს ინფორმაციის მიმართ მომხმარებელთა ორიენტაციას.

მისაღება-დამშვიდობების ფორმულები და მიმართვები ასევე თამაშობს მათგანნიშნულ როლს ტრადიციული კლასიური სტრუქტურის გარეთ, რაც სავარაუდო იყო სმს მიმოწერის რეპლიკური ხასიათიდან გამომდინარე.

ზეპირმეტყველებისგან განსხვავებული სტრუქტურა გააჩნია გამეორებასაც, რაც ძირითადად ახდენს ერთი მხრივ შეტყობინებათა ერთმანეთთან დაკავშირებას, მეორე მხრივ პარავერბალური მონაცემების არარსებობის კომპენსირებას გაძლიერებისა და შეფასების ფუნქციის საშუალებით.

ტიპოგრაფიული ვარიანტების პოტენციური მასტრუქტურირებელი როლის შესწავლამ აჩვენა, რომ ისინი შეიძლება ჩავთვალოთ სტრუქტურაციის არატრადიციულ რესურსებად შედარებით ტრადიციული რესურსების გვერდით (მაგ. პუნქტუაცია).

ჩვენი აზრით, შემთხვევითი არ არის ის ფაქტი, რომ ტრადიციული ლინგვისტური რესურსებისგან განსხვავებული რესურსები გამოიყენება მოკლე ტექსტურ დისკუსში გამონათქვამის სტრუქტურისათვის. ამას ამტკიცებს ისიც, რომ მაშინაც კი, როცა ჩვეული ელემენტების (მაგ. ნაცვალსახელები) გამოყენება ხდება, მათ გვერდით ხშირად გვხვდება არატრადიციული ვარიანტიც. ჩვენს მიერ შესწავლილი რამდენიმე მაგალითიდან ჩანს, რომ ტრადიციული რესურსის შემთხვევაში პოტენციური თვისობრივი გამორჩეულობა უნდა იყოს ერთგვარად რაოდენობრივად კომპენსირებული არატრადიციული ელემენტით.

ზემოთჩამოთვლილი შედეგები ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ მედიუმის შეზღუდვებთან შედარებით მომხმარებლებისთვის პრიორიტეტულია ინტერპერსონალური ურთიერთობები და ხშირად იყენებენ ზეპირის რესურსებს პირისპირ მეტყველებისთვის დამახასიათებელი არაფორმალურობის ეფექტის შესაქმნელად.

საბოლოო ჯამში, ზეპირმეტყველებისათვის დამახასიათებელი სინტაქსის შუქზე მოკლე ტექსტური შეტყობინებების განხილვა აშკარას ხდის, რომ შეიძლება ვისაუბროთ ე.წ. «სმს სინტაქსზე», რომელიც განსხვავდება როგორც

წერითი ასევე ზეპირი მეტყველებისგან და თავისი საკუთარი მახასიათებლები გააჩნია. ეს უკანასკნელნი შეიძლება აიხსნას ერთი მხრივ სიტუაციური პირობებით, სადაც არაფორმალურ და ინტიმურ კომუნიკაციაში ჩართული მომხმარებლები დგებიან მედიუმის ფიზიკური შეზღუდვების პირისპირ. მაგალითად, წერილობითი სახე, ისევე როგორც მცირე ზომის კლავიატურა და ეკრანი, თავისებურად ხელს უშლის გრძელი ზეპირი ფორმების გამოყენებას. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ სმს სინტაქსის კვლევა და აღწერა უნდა მოხდეს არა ზეპირთან ან წერასთან შედარებით, არამედ როგორც თავისთავადი, საკომუნიკაციო სიტუაციის გავლენით ჩამოყალიბებული სამეტყველო ვარიანტისა.


3.4 ხატულა

ელექტრონული მეტყველების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი თავისებურება უკავშირება ე.წ. ხატულების (იგივე სიცილაკი, ღიმილაკი) ხმარებას. ამ ორიგინალური ნიშნების გამოყენება ერთ-ერთი იმ მიზეზთაგანია, რის გამოც ზოგადად ციფრული დისკურსი – სმს იქნება ეს თუ ინტერნეტი – ერთი მხრივ შეიძლება ზეპირმეტყველებას შევადაროთ, მეორე მხრივ კი განვასხვავოთ როგორც ზეპირი, ასევე წერითი მეტყველებისგან, როგორც სპეციფიური ნიშნების მქონე სამეტყველო ვარიაცია.


ხატულა ანუ სიცილაკი (ინგლიურად *Emoticons* ან *smileys*) პუნქტუაციური ნიშნებისგან შემდგარი (ტიპოგრაფიული) ან გრაფიკული ხასიათის სიმბოლოა, რომლის მთავარ ფუნქციას წარმოადგენს ელექტრონულ მეტყველებაში პირისპირ კომუნიკაციისთვის დამახასიათებელი ემოციების გამომსახველი მიმიკებისა და ქესტუალობების შეტანა (იხ. სურათი 6 და 7). მათ ყველაზე ხშირად განსაზღვრავენ, როგორც პარალინგვისტური ნიშნების (მიმოქესტუალობა, ინტონაცია) არარსებობის კომპენსირების საშუალებებს (Baron 2000; Kruger, Epley,

Parker and Ng 2005). სიცილაკები ასევე შეიძლება ექსპრესიულ პუნქტუაციურ ნიშნებადაც განვიხილოთ.

სურათი 6: ტიპოგრაფიული ხატულები



სურათი 7: გრაფიკული ხატულები



გარდა ამისა, ხატულებს ადარებენ აგრეთვე თეატრალურ ტექსტში არსებულ დიდასქალიებს, რამდენადაც ისინი მკითხველს საშუალებას აძლევს ტექსტის კითხვის დროს მატერიალურობა და ჟესტუალობა წარმოიდგინოს.

ქართულ ტერმინოლოგიაში სიტყვები “ხატულა”, “სიცილაკი” და “დიმილაკი” ჯერ კიდევ ახალია და უფრო ხშირად ინგლისური სახელწოდებებით – smiley, emoticon – მოიხსენიებენ. ფრანგულ ენაში, გარდა ორი ზემოთჩამოთვლილი ტერმინისა გვხვდება “binette”, “frimousse”²⁸, “souriard” და ა.შ. თუმცა ყველაზე ხშირად მაინც ორივე ენაში სიტყვა “smiley” იხმარება.

3.4.1. წარმოშობა

პირველად ორი წერტილითა და ფრჩხილით გამოხატული მრგვალსახიანი ფიგურა გამოჩნდა ნიუ იორკ ჰერალდ ტრიბუნის (*New York Herald Tribune*) 1953 წლის 10 მარტის ნომრის მე-20 გვერდზე. ყვითელი ფერი და საბოლოო ფორმა

²⁸ ტერმინი “frimousse”, რომელიც ყველაზე იშვიათად გვხვდება, ოფიციალურადაა რეკომენდებული. (Journal officiel, 1999 წლის 16 მარტი).

კი მას მისცა ჰარვეი ბალმა 1963 წელს ერთ-ერთი დიდი ამერიკული სადაზღვევო კომპანიის დაკვეთით. ამ ნიშნის მიზანი იყო თანამშრომლების კარგ ხასიათზე დაყენება. სულ მალე ხატულამ უდიდესი პოპულარობა მოიპოვა. მიუხედავად იმისა, რომ იყო მცდელობა ნიშნის საავტორო უფლების დაცვისა, ამერიკაში ჯერ კიდევ პროცესის დასრულებამდე გახდა იგი პოპულარული და მისმა გამოყენებამ საჯარო ხასიათი მიიღო.

სიცილაკი პოპულარული გახადეს 1970-იანი წლების დასაწყისში ძმებმა მიურეი და ბერნარ სპეინებმა. ისინი აწარმოებდნენ ყავის ჭიქებს, მაისურებსა და მისაკრავ ქაღალდებს, რომლებზეც გამოსახული იყო ხატულა შემდეგ სიტყვებთან ერთად : «ბედნიერი დღე გქონოდეთ» (« Have a happy day «).

თავის მხრივ, ლონდონში არსებული საზოგადოების, SmileyWorld – ის პრეზიდენტი ფრანკლინ ლუფრანი ამტკიცებს, რომ აღნიშნული ლოგო მან თავად შექმნა 1971 წელს რამდენიმე ევროპულ გაზეთში კარგი ახალი ამბების ხაზგასასმელად და მკითხველთა კარგ ხასიათზე დასაყენებლად.

მანვე განავითარა ხატულების სხვადასხვა ვარიანტები და აღნიშნული ლოგო წერით ნიშნად აქცია. დღეისთვის ეს ნიშანი ფრანკლენ ლუფრანის მიერ დარეგისტრირებულია 100-ზე მეტ ქვეყანაში, ხოლო მისი საზოგადოება, SmileyWorld, თანამშრომლობს ტანსაცმლის, პირადი მოხმარების საგნების, კანცელარიის, სათამაშოების, საკვებისა და ა.შ. მწარმოებლებთან. 1997 წელს მისმა ვაჟმა, ნიკოლა ლუფრანმა განავითარა აღნიშნული ლოგოს 100-ზე მეტი ვარიაცია.

გრაფიკული სიცილაკების ანალოგს წარმოადგენს მათი ტიპოგრაფიული ვარიანტები, რომელთა გამოხატვაში გამოიყენება მხოლოდ სასვენი ნიშნები. პირველი ტექსტური ხატულები – :-) და :-(– გამოგონებულ იქნა 1982 წლის 19 სექტემბერს კარნეჯი მელონ უნივერსიტეტის (Carnegie Mellon University) კომპიუტერული მეცნიერებების კათედრის პროფესორის, სკოტ ე. ფალმანის მიერ უნივერსიტეტის ფორუმზე არსებული შეტყობინებების აღსანიშნავად.

ტიპოგრაფიული ხატულების აგების პრინციპი მარტივია : საკმარისია თავი 90 გრადუსით შეაბრუნო მარცხნივ, რომ ადვილი გასარჩევია სტილიზებული სახის ფორმა, რომელშიც ორი წერტილი თვალს გამოხატავს, ტირე – ცხვირს, ფრჩხილი კი – პირს. დღეისთვის არსებობს ტიპოგრაფიული ხატულების მარცხნივ შებრუნებული ვერსიებიც, რომლებიც არანაკლები პოპულარობით სარგებლობს.

ბევრი კომპიუტერული პროგრამა, მათ შორის Microsoft Word-ი, ინტერნეტ ფორუმები და მყისიერ შეტყობინებათა სერვისები (ე.წ. მესინჯერები) კლავიატურაზე აკრეფილ ტიპოგრაფიულ ხატულას ავტომატურად გარდაქმნის შესაბამის გრაფიკულ ექვივალენტად. ამგვარი გრაფიკული სახეები გაცილებით მდიდარია ვიზუალურად, მათ წასაკითხად არ არის საჭირო თავის შებრუნება, ზოგ შემთხვევაში ანიმაციურიცაა. ამის მიზეზია ის, რომ ისინი არ არის ASCII-ს²⁹ ნიშნებით შეზღუდული და წარმოადგენს Gif-ის ფორმატის სურათებს.

3.4.2 თეორიული საფუძვლები

ხატულას სპეციფიური, ორიგინალური ასპექტის გამო მეცნიერები უკვე დიდი ხანია მისით ინტერესდებიან, განსაკუთრებით ახალი ტექნოლოგიებისა და ლინგვისტური დაჯგუფებების კვლევისას. ამ ერთი შეხედვით მარტივ თემაზე ყველაზე მეტი ლიტერატურაა უკვე დაგროვილი. თუმცა საკუთრივ ხატულების ენობრივი მახასიათებლები მაინც ნაკლებადაა შესწავლილი. კვლევები, რომლებიც ამ საკითხს ეხება, ორი სხვადასხვა მიმართულებითაა განხორციელებული: დისკურსებისა თუ საუბრების ანალიზი (Wilson 1993; Mourlhon-Dallies and Colin 1995; Marcoccia 2000a ; Rezabeck and Cochenour 1995) და ფსიქოლოგია (Witmer and Katzman 1997; Walther and Addario 2001 ; Wolf 2000; Derks Bos and Von Grumkow 2007). დისკურსული კვლევები ძირითადად გვთავაზობს შეტყობინებებში სიცილაკების როლთა ტიპოლოგიას. მათში წარმოდგენილია სხვადასხვა ჰიპოთეზა ერთი მხრივ ხატულებსა და ვერბალურ შინაარსს შორის დამოკიდებულებაზე, მეორე მხრივ – ზეპირ ინტერაქციებში არავერბალური და

²⁹ American Standard Code for Information Interchange - ალფანუმერული ნიშნების გამოსახვის სტანდარტული კოდი.

პარავერბალური მონაცემების როლის შედარებაზე ხატულების ფუნქციასთან. ფსიქოლოგიაში არსებული ნაშრომები კი ძირითადად ეხება ხატულების ემოციურ განზომილებას, მათ როლს შეტყობინებების ინტერპრეტაციაში და გენდერული განსხვავებების გამოვლენას მათ ხმარებაში.

3.4.3. ტიპოგრაფიული ხატულას სტრუქტურა

ტიპოგრაფიული ხატულა წარმოადგენს ცალკეული გრაფემებისგან შემდგარ პიქტოგრამას. გავიხსენოთ გრაფემათა ანისისეული ტიპოლოგია (იხ. 3.2.1.2. ფრანგული ენის გრაფიკული სისტემა და გრაფემების ტიპოლოგია), სადაც იგი განარჩევს ალფაგრამებს, ტოპოგრამებსა და ლოგოგრამებს. აქედან ხატულებში გვხვდება მხოლოდ ალფაგრამები და ტოპოგრამები. ანისი ალფაგრამებს განსაზღვრავს, როგორც მხოლოდ "განმასხვავებელ ერთეულებს", რომელთაც სხვა მნიშვნელობა არ გააჩნიათ, განსხვავებით ტოპოგრამებისგან, რომლებიც მნიშვნელობის მატარებელიც არიან და განმასხვავებელიც (Anis 1989: 33-52). ხატულებში შემავალ ალფაგრამებს კი საკუთარი მნიშვნელობაც გააჩნიათ, მაგალითისთვის ავიღოთ ხატულა "-P", სადაც P აღნიშნავს გამოყოფილ ენას. ამდენად, ხატულაში სტანდარტული გრაფემები არასტანდარტული მნიშვნელობით არის გამოყენებული.

პიეროზაკი (Pierozak 2003) ხატულებში შემავალ გრაფემებს ადარებს მორფემებს და იქვე ხაზს უსვამს არბიტრალურ მიმართებას აღსანიშნსა და აღმნიშვნელს შორის. მაგრამ რამდენადაც სიცილაკი თავისი სტრუქტურით პიქტოგრამა უფროა და, შესაბამისად, ვიზუალურად წარმოაჩენს თავის აღსანიშნს, ამდენად მათ შორის არბიტრალური მიმართება ვერ იქნება. მისი შემადგენელი თითოეული გრაფემა ვიზუალურად არის განპირობებული.

ხატულების შემადგენელი გრაფემები შემდეგნაირად შეიძლება აღვწეროთ:

- თვალების ადგილი: “:” “;” – თვალები (ნეიტრალური ფორმა), თვალის ჩაკვრა.
- ცხვირის ადგილი: “-“ “o” “O” – ცხვირი (ნეიტრალური ფორმა), ჯამბაზის ცხვირი (ორი ვარიანტი).

- პირის ადგილი: «)» «p» «P» «x» «X» «(» «/» - ღიმილი (ნეიტრალური ფორმა), გამოყოფილი ენა (ორი ვარიანტი), კოცნა (ორი ვარიანტი), მოწყენილობა, დაბნეულობა.
- არის ასევე ორაზროვანი ნიშნები « - » « = ». მაგალითად, ხატულაში “:-” - აღნიშნული ნიშანი შეიძლება გამოსახავდეს როგორც ცხვირს ასევე პირს. ხოლო ისეთ ფორმაში, როგორიცაა « =) » « = » შეიძლება გამოხატავდეს თვალებს ან ცხვირს.

ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება ჩამოვაცალიბოთ ხატულას ჩვენეული განსაზღვრა:

ხატულა არის პიქტოგრამის მსგავსი ერთეული, რომელიც შედგება როგორც განმასხვავებელი, ასევე მნიშვნელობის ფუნქციის მქონე ალფაგრამებისა და ტოპოგრამებისგან და აღსანიშნისადმი ვიზუალურად განპირობებულ მიმართებაში იმყოფება.

თუკი პიეროზაკის მსგავსად, ხატულებში შემავალ გრაფემებს მორფემებს შევადარებთ, მაშინ ესენი იქნება ლექსიკური მორფემები, რომლებიც ცალკე აღებული, სრულიად სხვა მნიშვნელობას იძენს. მაგალითად გრაფემა “)” ხატულაში აღნიშნავს პირს, ცალკე აღებული წარმოადგენს პუნქტუაციურ ნიშანს – ”ფრჩხილს”. აქედან გამომდინარე, “)” როგორც გრაფემა თავისუფალია, მაგრამ როგორც ხატულას შემადგენელი მორფემა – დაკავშირებული, რადგან ცალკე მდგომი, როგორც მორფემა, არ არსებობს.

ასევე შეიძლება გამოვყოთ დერივაციული მორფემები. ასეთია ძირითადად პირის აღმნიშვნელი მორფემები “)”, “(”, “D”, “P” - რომლებიც აღმატებით ხარისხს აწარმოებენ: “:-)))”, “:-DD” და ა.შ.

საინტერესოა, რომ სიტყვის მსგავსად, ხატულებსაც შეიძლება ჰქონდეს შემოკლებული ფორმები, სადაც ძირითადად ყველაზე ნაკლები სემანტიკური ინფორმაციის მატარებელი ელემენტი იკარგება. მაგ. :) ან :o) – პირველ

შემთხვევაში რედუცირებულია ცხვირის გრაფმა, მეორე შემთხვევაში კი – თვალების. კორპუსზე დაკვირვებით, ადვილი შესამჩნევია, რომ ყველაზე ხშირად სწორედ შემოკლებული ფორმები გვხვდება. შემოკლების ამ შემთხვევას შესაძლოა დავარქვათ «აბრევიაცია».

3.4.4. ხატულების ფუნქციები

როგორც უკვე აღინიშნა, სიცილაკები შეიქმნა ელექტრონულ კომუნიკაციში არავერბალური მონაცემების : მიმოყესტუალობა, ემოციები და ა.შ. გამოსახატავად. თუმცა დროთა განმავლობაში მათ სხვა დატვირთვაც მიიღეს და კონკრეტული სიტყვების მაგივრადაც გამოიყენება:

(217) Jetaim mais je suis ☹ car tu me manque ma petite.

(je t'aime mais je suis **triste** car tu me manque, ma petite.)

აქედან გამომდინარე, ხატულების ფუნქციები დავაჯგუფეთ ორ კატეგორიაში : არავერბალური და ვერბალური გამოყენება.

3.4.4.1 ხატულების არავერბალური ფუნქციები

არავერბალური გამოყენებისას ხატულა გამოხატავს არავერბალურ მონაცემებს, შეტყობინების კითხვისას იგი არ წარმოითქმის და მას გამოხატავს არავერბალური საშუალებები: ინტონაცია, მიმიკა, ქესტიკულაცია და ა.შ.

საკვლევი კორპუსის ანალიზიდან გამომდინარე ხატულების ოთხი ძირითადი არავერბალური ფუნქცია გამოვყავით : ექსპრესიული, იუმორისა და ირონიის, დამოკიდებულების (ავტორსა და ადრესატს შორის), შემარბილებელი ფუნქცია

ექსპრესიული ხატულები

მკვლევართა დიდი ნაწილი (Wilson 1993; Mourlhon-Dallies and Colin 1995; Marcoccia 2000a; Rezabek and Cochenour 1998; Frias 2003) თვლის, რომ ხატულები გასაგებს ხდის შეტყობინების ავტორის გრძნობებსა და ემოციებს, როგორიცაა

სიხარული, მოწყენილობა თუ სიბრაზე. ექსპესიულ ხატულასა და შეტყობინების ვერბალურ შინაარსს შორის დამოკიდებულება შეიძლება ორი ტიპის იყოს:

1. ხატულამ შეიძლება ითამაშოს ექსპრესიული როლი, როცა ატარებს ინფორმაციას შეტყობინების ავტორის ემოციურ მდგომარეობაზე, რისი გაგებაც ვერბალური შინაარსით შეუძლებელია :

(22) On rentre demain, Nadine ne veut plus etre seule ☹

ამ შემთხვევაში შეტყობინების შინაარსი, ანუ ის ფაქტი, რომ შეტყობინების ავტორი ხვალ ბრუნდება (სავარაუდოდ სახლში), შეიძლება ავტორისთვის სასიხარულოც იყოს და სამწუხაროც. მხოლოდ ვერბალური მხარე ამის გაგების საშუალებას არ იძლევა, სამაგიეროდ შეტყობინების ბოლოს არსებული მწუხარების გამომხატველი ხატულა აშკარას ხდის შინაარსის სამწუხარო ხასიათს.

2. ხატულა აძლიერებს ვერბალურ შინაარსში არსებულ ექსპრესიულ ღირებულებას.

(23) Je me suis mis aux loongues balades moi qui adore ;-))

აღნიშნულ მაგალითში ვერბალურადაც არის გადმოცემული, რომ ავტორი სეირნობს და თან ძალიან მოსწონს ეს ყოველივე. ხატულა ამ შემთხვევაში აძლიერებს ემოციას.

ირონიისა და იუმორის გამომხატველი ხატულები

ირონიული გამონათქვამებისთვის დამახასიათებელი სემანტიკური ინვერსიის ნიშნები ყოველთვის ადვილად ამოსაცნობი არ არის, ასეთ შემთხვევაში ხატულა თამაშობს იმავე როლს, რასაც პირისპირ დიალოგში – არავერბალური და ამით კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ელექტრონული დისკურსის ჰიბრიდულ ხასიათს.

თვალის ჩაკვრისა და ღიმილის ხატულებს შეუძლია გააძლიეროს ირონიული განზომილება შეტყობინებისა, რომელიც უკვე შეიცავს ირონიის დისკურსიულ ნიშნებს (ჰიპერბოლა, ანტიფრაზა და ა.შ), მაგ:

(29) A bas la dictature, à bas le totalitarisme mondiale. Quel saint homme de Georges Bush :-p Quel désintéressement exemplaire:-p Un model pour l’humanité toute entière :-p

დამოკიდებულების ხატულები

ხატულას გამოყენება შეიძლება იმის მაჩვენებელიც იყოს, რომ შეტყობინების ავტორი ადრესატთან ახლობლურ ურთიერთობაშია (Marcoccia 2000a). ზოგიერთი ხატულა შეიძლება გაანალიზებულ იქნას როგორც ახლობლობის ტაქსემები, რომლებიც შესაბამისობაში იქნება სხვა დისკურსიულ ნიშნებთან (შენობით ლაპარაკი, ფამილიარული რეგისტრი):

(38) Avec un tel budget, tu peux te payer un petit bijou sur eBay US... Soldano, Matchless, VHT... T’as le choix ;-)VHT... T’as le choix ;-)

შემარბილებელი

ხატულა შეიძლება მიზნად ისახავდეს ვერბალური შინარსის მტრული ან მუქარითი ხასიათის შერბილებას (Thompson and Foulger 1996). ამასთან, შეტყობინება შეიძლება შეიცავდეს სხვა შემარბილებელ ხერხებს: მოდალური დეზაქტუალიზაცია, კრიტიკათა მოდალიზაცია და ა.შ. ამ შემთხვევაში ისინი თამაშობენ პირისპირ ინტერაქციებში ინტონაციისა თუ მიმწესტუალობის მსგავს როლს.

(50) Tu pourrais mieux t’exprimer mon gars Alors sois précis ;-)

(51) Je vois que certains ont bonne memoire :) Non, je n’ai pas retourné ma veste, mais a moins de me contredire, je pense que tu ne m’as pas tout a fait compris :)

ამგვარად, საკვლევი კორპუსის ანალიზმა ცხადყო მოკლე ტექსტურ შეტყობინებებში ხატულების ოთხი ძირითადი სემანტიკური ფუნქცია.

მოყვანილი მაგალითებიდან აშკარა ხდება ზოგადად ელექტრონული დისკურსისთვის სპეციფიური ამ ნიშნის მნიშვნელობა შეტყობინებების გაგებაში.

3.4.4.2 ხატულების ვერბალური ფუნქციები

ხატულას ვერბალურ გამოყენებად განვიხილავთ იმ შემთხვევებს, როცა იგი ცვლის კონკრეტულ სიტყვას. ამ შემთხვევაში შეტყობინების წაკითხვისას ხატულა გაჟღერდება ვერბალურად. ამგვარი გამოყენებისას მისი ფუნქციები გამონათქვამში იგივეა, რაც იმ სიტყვისა, რომელსაც იგი ცვლის. ჩვენს საკვლევ კორპუსში ხატულას ვერბალური გამოყენების მხოლოდ ორი შემთხვევა დაფიქსირდა:

(218) Les :-) vivent plus longtemps que les :(

(219) ok. ecrit moi quand tu fini, je te :*)

პირველ შემთხვევაში ხატულა წარმოდგენილია არსებით სახელად, რომელსაც წინ სრული გრამატიკული ნორმის დაცვით უძღვის განსაზღვრული არტიკლი, და ქვემდებარის როლს ასრულებს. მეორე შეტყობინებაში ხატულა ზმნას (კოცნა) გამოხატავს და შემასმენლის ფუნქცია აქვს.

3.4.5. ხატულები - ენობრივი იდენტიფიკატორები

კორპუსზე დაკვირვებით ადვილი შესამჩნევია, რომ მომხმარებლები ძირითადად ორიდან ერთ-ერთი ტიპის ხატულებს ხმარობენ და ამ მხრე ინტერაქციონალური შესაბამისობა არსებობს. ისევე როგორც სილაბოგრამების შემთხვევაში, აქაც შესამჩნევია, რომ კონკრეტულ მომხმარებელს თავისი «რჩეული» ხატულები აქვს და ძირითადად მათ იყენებს.

ენობრივი იდენტიფიკაციის თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს რამდენიმე ფაქტი.

ქვემოთმოყვანილ ორ შეტყობინებაში, რომლებიც ერთსა და იმავე მომხმარებელს ეკუთვნის, ორივე შემთხვევაში სრული სახით გვაქვს ხატულები წარმოდგენილი.

(62) salut Joji :(y a tjrs qch ki empeche :-(

(63) je t vu ;-)

ასევე ერთსა და იმავე ავტორს ეკუთვნის შემდეგი სამი შეტყობინება, რომლებშიც შემოკლებული ვარიანტია გამოყენებული.

(54) lol :)

(55) elle s attaque tjrs aux plus grades :)

(56) excz pr les probl ke jai provoque :(

არის შემთხვევები, როდესაც ერთი და იმავე ავტორის შეტყობინებებში გარკვეული ტიპის ხატულა ფიგურირებს, თუმცა შეტყობინების შინაარსი შეიძლება სხვა ფუნქციის სიცილაკს უფრო მოითხოვდეს:

(59) on flood pas stp ;)

(60) koman texplik ske jre100 pr toa ?? ;)

სავარაუდოდ, აღნიშნული ხატულა ავტორის «რჩეულს» წარმოადგენს ნებისმიერ შემთხვევაში.

საინტერესოა ასევე ქვემოთმოყვანილი შეტყობინებები - 34, 35 : ავტორს ორივე შეტყობინებაში აქვს სიცილაკი გამოყენებული და ორივე შემთხვევაში ერთი და იგივე, შედარებით ორიგინალური ტიპის (:P). ამას ისიც ემატება, რომ ორივე შემთხვევაში წარმოდგენილი ვარიანტი შეიცავს ასომთავრულს (თუმცა იგივე ემოციის გამოხატვა ზედმეტი «გარჯის» გარეშეც შეიძლებოდა პატარა ასოთი).

(34) si tu veux etre seul fais mais cherche pas **d es** excuses ! : P

(35) **ché** po :P

აქვე ყურადღება უნდა მივაქციოთ 39, 40 და 41 შეტყობინებებს :

(39) SUPEEEER ! :)))

(40) mon chat vien de se kc la gueule du bureau :)

(41) j'ai perdu la ligne de parametres du programme pour ma these et ca donne plus les meme resultats c rigolo

ამათგან ორი შეიცავს ხატულას, მესამეში კი იგივე ფუნქციას ასრულებს ტექსტი (c rigolo). ცხადია, ხატულას გამოსახვა გაცილებით ადვილია, რადგან იგი მაქსიმუმ 3 ნიშანს შეიცავს, მაშინ, როცა მოცემული ტექსტი 7 ნიშნიანია (თუ ჩავთვლით გამოტოვებულ ადგილსაც). ეს არჩევანი, სავარაუდოდ, განპირობებულია შედარებით დისტანციაზე მყოფი ადრესატის არსებობით (თუმცა, მეორე მხრივ, ამ შემთხვევაში საეჭვო ხდება სილაბოგრამის გამოყენება).

ამავე შემთხვევასთან გვაქვს საქმე 70-ში, რომელიც იმავე ავტორს ეკუთნის, ვისაც 68 და 69.

(68) L vi1 après souper ;)

(69) Woooww ! :-)))

(70) Bonjour. Je prends cet instant pour vous souhaiter joyeux et heureux anniversaire

პირველ ორ შეტყობინებაში გამოყენებულია ხატულები, რასაც ემატება ტიპიური სმს მეტყველება. ბოლო შეტყობინებაში კი არც ხატულა გვაქვს და არც სმს მეტყველებისთვის დამახასიათებელი ვარიანტები, თან თქვენობითი ფორმაა გამოყენებული. აქ თითქმის დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ამგვარი რადიკალური ცვლილება გამოწვეულია დისტანციაზე მყოფი, სავარაუდოდ უფროსი ასაკის ადრესატით.

3.4.6. დასკვნა

როგორც ვნახეთ, ხატულა – ელექტრონული მეტყველებისთვის დამახასიათებელი ეს ორიგინალური ნიშანი, სმს მიმოწერაში საკმაოდ მნიშვნელოვან როლს ასრულებს. იგი ერთი მხრივ ემსახურება წერილობით

ტექსტებში პირისპირ საუბრისთვის დამახასიათებელი ემოციის გადმოცემას, რასაც ჩვენ არავერბალური ფუნქცია ვუწოდებთ. მეორე მხრივ კი გარკვეული სიტყვების ადგილს იკავებს და ამით სივრცის დაზოგვასაც უწყობს ხელს. ხატულას ამგვარი ფუნქცია ნაშრომში ვერბალური ფუნქციის სახელით მოვიხსენიეთ. თუმცა კორპუსის მონაცემებიდან გამომდინარე ცხადია, რომ ვერბალური ფუნქცია მომხმარებლების მიერ ჯერ კიდევ იშვიათად არის გამოყენებული.

სოციოლინგვისტური თვალსაზრისით საინტერესოა, რომ მიმოწერაში, რომლის მონაწილეებს გარკვეული სიახლოვე აკავშირებთ ერთმანეთთან (სოციალური მდგომარეობის, აზრის, შეხედულებების მხრივ და ა.შ) გაცილებით მეტი შანსია იყოს უფრო მეტი რაოდენობით ერთნაირი ხატულები გამოყენებული, ვიდრე იმ შემთხვევაში, როცა მოხმარებლები ერთმანეთისგან შორს არიან ან არ იცნობენ, ან კიდევ ცდილობენ საკუთარი ინდივიდუალობისა და პოზიციების ხაზგასმას. ამ მხრივ სოციალურ ფაქტორებს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. თუმცა, მეორე მხრივ, ამგვარი ნიშნების გამოყენება სწორედ საკუთარი, როგორც « ენობრივი არსების » ინდივიდუალობის შექმნა-გამოჩენასაც ემსახურება. მაშასადამე, ხატულები ერთი მხრივ ენობრივი იდენტობის ხაზგასმის საშუალებაა, მეორე მხრივ კი კონკრეტულ ენობრივ საზოგადოებაში ჩართულობას უზრუნველყოფს.

დასკვნა

ფრანგული მოკლე ტექსტური შეტყობინებების ჩვენს მიერ განხორციელებული კვლევა მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც იძლევა ღრმა ანალიზს სმს მეტყველებაში გამოყენებული ენობრივი ფორმებისა. ამავე სფეროში განხორციელებული სხვა ანალოგიური კვლევებისგან განსხვავებით,

მასში გამოკვეთულია არა მხოლოდ შემოკლების ფორმები, არამედ ზეპირმეტყველების გრამატიკის შუქზე განხილულია სინტაქსური მახასიათებლები, ხატულების სტრუქტურა და როლი.

ნაშრომის თეორიულ ნაწილში ხაზი გავუსვით “მეტყველების ცვლილებისა და გამოყენების მიმართ ტექნოლოგიურად განპირობებული მიდგომის” მოდელს, რომლის ამოსავალი წერტილია კომუნიკაციისა და ინფორმაციის ახალ ტექნოლოგიებსა და მეტყველებისა და სამეტყველო უნარების ახალ ფორმებს შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობა. ამავე მოდელის მიხედვით ახალი ფორმების გამოყენება შეიძლება აიხსნას სოციალური კონტექსტებისა და პრაქტიკული ქმედებების დინამიურობით. აქვე გადავწყვეტით, რომ ელექტრონულ მედიუმთან (ჩვენს შემთხვევაში მობილური აპარატი) დაკავშირებით გამოვიყენებთ ნორსის (North 2006 : 212) მიერ შემოღებულ ტერმინს “შესაძლებლობები”, რაც საშუალებას იძლევა უფრო მეტი ყურადღება მიექცეს მომხმარებლის ქმედების გავლენას ტექნოლოგიაზე. თუმცა გადამწყვეტი მაინც მომხმარებლის მიერ აღნიშნული შესაძლებლობების ეფექტურად გამოყენებაა.

დისკურსის ცნებისა და მისი სტრუქტურის მიმოხილვიდან გამომდინარე, დავადგინეთ აღნიშნული ცნების ჩვენელი სამუშაო დეფინიცია: დისკურსი, როგორც სოციალურ კონტექტში არსებული ენობრივი ქმედების დინამიური პროცესი და მისი შედეგი, რაც ჩვენს შემთხვევაში ემთხვევა ერთი მხრივ შეტყობინებათა წარმოებასა და ინტერპრეტაციას, მეორე მხრივ კი თავად მოკლე ტექსტურ შეტყობინებებს (ტექსტს). საბოლოო ჯამში შევთანხმდით, რომ საქმე გვაქვს ზეპირ-წერით დისკურსთან, რომელიც წარმოდგენილია ისეთი სამეტყველო ჟანრის სახით, როგორიც არის დიალოგი. ხოლო თავად კვლევა კი მიემართება მოკლე ტექსტური დისკურსის მიკროსტრუქტურას, კერძოდ კი მის ორთოგრაფიულ, სინტაქსურ და პროსოდიულ მხარეს.

მოცემული ობიექტის გრაფიკული კვლევის მეთოდის არჩევისას მიმოვიხილეთ რა ფონოგრაფიული და ავტონომიური კონცეფციები,

გადაწყვეტით, რომ უპირატესობა არ მიგვენიჭებინა რომელიმე ერთისთვის, არამედ გამოგვეყენებინა ორივე მათგანი იმისდა მიხედვით, თუ რა ტიპის აღწერა იქნებოდა საჭირო. ამის არგუმენტად დავასახელებთ რამდენიმე ფაქტი:

- ჩვენი კვლევა რომელიც უფრო ემპირიულ-ინდუქციურია, შეუთავსებადია აპრიორულ არჩევანთან.
- თუკი ვიფიქრებთ, რომ ორივე, ფონოგრაფისტული და ავტონომისტური მიდგომა ერთმანეთს ავსებს, ლოგიკურია, რომ ვერ გავჩერდებით მხოლოდ ერთ მათგანზე.
- ენის აღწერის დროს პრობლემატური შეიძლება აღმოჩნდეს გადაწყვეტი არჩევანის გაკეთება ერთ-ერთ მიდგომაზე იმიტომაც, რომ ჩვენი კვლევის საგანია არა სმს მეტყველების შემადგენელი “ფაქტები”, არამედ მთლიანად “პროცესი”.

ჩვენს ხელთ არსებული მონაცემების ანალიზიდან გამომდინარე დავასკვნით, რომ მოკლე ტექსტურ შეტყობინებებში გამოყენებული ორთოგრაფია არის:

- ჰეტეროგენული – ერთი სიტყვა შეიძლება ჩაწერილ იყოს სხვადასხვაგვარად როგორც ერთი და იმავე მომხმარებლის, ასევე სხვადასხვა მომხმარებლების მიერ.
- პოლივალენტური და პოლისემიური – ერთი და იგივე ელემენტი შეიძლება წაკითხულ იქნას სხვადასხვაგვარად.

სმს ორთოგრაფიის მიზანია როგორც დროისა და სივრცის ეკონომია, ასევე ენობრივი იდენტიფიკაცია.

მოკლე ტექსტურ შეტყობინებებში გამოყენებული ორთოგრაფია სტანდარტული წერითი მეტყველების ნორმებისგან საგრძნობლად განსხვავდება. ამგვარ კონტექსტში ენობრივი ვარიანტის ცნება, რომელიც აქამდე მონოლითური, „ერთადერთი“ ნორმირებული ორთოგრაფიის ჩრდილქვეშ იმყოფებოდა, სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება.

ზეპირმეტყველების მსგავსად სმს მეტყველებაც არასტანდარტული ობიექტია, თუმცა ამავდროულად უკავშირდება სტანდარტულ წერასაც. არასტანდარტული ობიექტის ანალიზი სტანდარტული, ტრადიციული სინტაქსური საშუალებებით, ცხადია, გარკვეულ პრობლემებს წარმოქმნის. მეორე მხრივ, მოკლე ტექსტურ დისკურსს ბევრი საერთო აქვს ზეპირ გრამატიკულ ფორმებთან, რაც მას პირისპირ სინქრონულ საუბართან აახლოებს. აქედან გამომდინარე, კვლევა წარვმართეთ წერითი და ზეპირი გრამატიკის ინტეგრირებული მოდელის მიხედვით. კონკრეტულად კი გამოვიყენეთ კარტერისა და მაკარსის (Carter and McCarthy 2006), ბიბერისა (Biber et al. 1999) და ჰოლიდის (Halliday 1994), გადეს (Gadet 1990), ბალის (Bally 1932), შიფრინის (Schiffrin 1987) პრაქტიკული ნაშრომები ზეპირმეტყველების გრამატიკის შესახებ და მათ ფონზე განვიხილეთ ისეთი კატეგორიები, როგორიცაა: კლაუზების კომბინაცია, დისლოკაცია, ე.წ. „კუდიანი კითხვები“, მოკლე საპასუხო რეპლიკები დისკურსული მარკერები, მისალმება-დამშვიდობების ფორმულები, სიტუაციური ელიფსი, გამეორება, სინაგმატური სტრუქტურის მარკერები და კონვერსია.

ზეპირმეტყველებისათვის დამახასიათებელი სინტაქსის შუქზე მოკლე ტექსტური შეტყობინებების განხილვამ აჩვენა, რომ მედიუმის შეზღუდვებთან შედარებით მომხმარებლებისთვის პრიორიტეტულია ინტერპერსონალური ურთიერთობები და ხშირად იყენებენ ზეპირის რესურსებს პირისპირ მეტყველებისთვის დამახასიათებელი არაფორმალურობის ეფექტის შესაქმნელად.

სმს მეტყველებისთვის დამახასიათებელი, სინტაგმატური სტრუქტურის არატრადიციული ელემენტების (გრაფიკული წაგრძელებები, კაპიტალიზაცია, ხატულები) განხილვამ ცხადჰყო, რომ შეტყობინებებში შედარებით ტრადიციული რესურსის (მაგ. პუნქტუაცია) გამოყენების დროს პოტენციური თვისობრივი გამორჩეულობა ხშირად არის ერთგვარად რაოდენობრივად კომპენსირებული არატრადიციული ელემენტით, რაც სმს დისკურსის ერთ-ერთ სპეციფიურ მახასიათებელს წარმოადგენს.

საბოლოო ჯამში, შეიძლება ვისაუბროთ ე.წ. «სმს სინტაქსზე», რომელიც განსხვავდება როგორც წერითი, ასევე ზეპირი მეტყველებისგან და თავისი საკუთარი მახასიათებლები გააჩნია.

ხატულების, როგორც ელექტრონული კომუნიკაციის ყველაზე ორიგინალური ერთეულის ანალიზისას ჩამოვყალიბეთ ჩვენეული განსაზღვრა, განვიხილეთ მისი სტრუქტურა და გამოვყავით ვერბალური და არავერბალური გამოყენების შემთხვევები. საბოლოოდ კი დავასკვნით, რომ ხატულების გამოყენების პირველადი მიზანი, მართალია, არის წერით მეტყველებაში არავერბალური მონაცემების გამოხატვა, მაგრამ ამავედროულად, ისევე როგორც გრაფიკული ადაპტაციები, ისინიც ემსახურება ერთი მხრივ მომხმარებლის ენობრივი იდენტობის ხაზგასმას, მეორე მხრივ კი მის ჩართულობას კონკრეტული საზოგადოების წიაღში.

მართალია, ჩვენს მიერ გამოყენებული საკვლევი კორპუსი შედარებით მცირეა, მაგრამ ანალიზის შედეგად ნათელი ხდება სმს დისკურსის ლინგვისტური თავისებურებები. ყოველივე ამაზე დაყრდნობით შეიძლება ვთქვათ, რომ სმს მეტყველების კვლევა და აღწერა უნდა მოხდეს არა ზეპირთან ან წერასთან შედარებით, არამედ როგორც თავისთავადი, საკომუნიკაციო სიტუაციის გავლენით ჩამოყალიბებული სამეტყველო ვარიანტისა, რომლის გრაფიკული და სინაქსური ასპექტების თავისებურებები სცილდება ტრადიციული წერა-ზეპირის დაპირისპირებას და ლინგვისტურ ინოვაციას გვთავაზობს.

